

ზიანის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2025, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2025, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2025, №2

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2025, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება	4
მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინპირობები	46
უკანონოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემით და უკანონო მსჯავრდებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება	57
გამამართლებელი განაჩენიდან გამომდინარე პროკურატურისთვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება	83

2. მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი	114
მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე სასარჩელო ხანდაზმულობა	146

3. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების საფუძველი	159
---	-----

1. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება

განმინება საქართველოს სახელმთო

№ბს-1235(კ-22)

15 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „...ის“ 50%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა – ი. ა-მა სა-
სარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრულების
ეროვნული ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა): სა-
ქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბი-
უროს შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მიყენებული მატერიალური
ზიანის ანაზღაურება 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარისა და 6 050.74
(ექვსიათას ორმოცდაათი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის
ოდენობით.

სარჩელის თანახმად, 2016 წლის 1 მარტს შპს „...ის“ დირექტორმა გ.
ბ-ემ საზოგადოების პარტნიორზე და 50%-იანი წილის მფლობელზე დ.
მ-ზე გასცა რწმუნებულება, რომლითაც ამ უკანასკნელს მიენიჭა სა-
ზოგადოების წარმომადგენლობის და ხელმძღვანელობის უფლება. შპს
„...ის“ 50%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა ი. ა-მა 2016 წლის 20
ივნისს სარჩელი აღძრა მოპასუხეების შპს „...ის“, დ. მ-ის, გ. ბ-ის და ლ.
ლ-ის მიმართ. მოსარჩელე მოითხოვდა მიუღებელი დივიდენდის დაკის-
რებას, ზიანის ანაზღაურებას და დირექტორის (გ. ბ-ის) თანამდებობი-
დან გათავისუფლებას. აღნიშნულ სამართალწარმოებაში სასამართლოს
2016 წლის 21 ივნისის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზ-
რუნველყოფის ღონისძიება და შპს „...ის“ დირექტორს – გ. ბ-ეს, მის
მინდობილ პირებს – დ. მ-სა და ლ. ლ-ეს დავის საბოლოო გადაწყვეტამ-

დე აეკრძალათ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე შპს „...ის“ ფულადი სახსრების განკარგვა, გარდა შპს „...ის“ საგადასახადო ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი თანხების განკარგვისა. 2016 წლის 21 ივნისის განჩინების მოქმედების პირობებში დ. მ-მა 2016 წლის 23 ივნისის ხელშეკრულებით, საზოგადოების სახელით ნ. კ-ისაგან აიღო სესხი, რათა „შეესრულებინა“ საზოგადოების სხვა ვალდებულებები. საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების შესაბამისად, დ. მ-ი კ-ისაგან მიღებულ თანხებს განკარგავს ერთპიროვნულად, ხოლო გადახდის ვალდებულებას აკისრებს საზოგადოებას. ამასთან, ხელშეკრულების პრემბულაში ხაზგასმით უთითებს, რომ მისთვის სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის განჩინება ცნობილია და ამ გარიგების დადების მიზანი არის თავი აარიდოს განჩინებით დაწესებულ შეზღუდვებს. ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, ცხადია, რომ სესხის ხელშეკრულების მხარეები არიან შპს „...ი“ და ნ. კ-ი. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნ. კ-ის მიერ გაცემული ნებისმიერ თანხა წარმოადგენდა საზოგადოების მატერიალურ სახსრებს, რომლის განკარგვის უფლებამოსილება ხელშეკრულებაში მითითებულ პირს დ. მ-ს აკრძალული ჰქონდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე.

ნ. კ-ის 2016 წლის 28 დეკემბრის №სპ161251735 განცხადების საფუძველზე დაწყებული №სპ161251735 გამარტივებული წარმოების ფარგლებში 2017 წლის 30 იანვარს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გამოსცა №სპ161251735/229126 ბრძანება დავალიანების გადახდის შესახებ, რომლითაც შპს „...ს“ ნ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 125 570.31 ლარის ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შეტყობინება ჩააბარა შპს „...ის“ დირექტორის მინდობილ და საზოგადოებაში 50%-იანი წილის მფლობელ პირს – დ. მ-ს, რომელმაც არანაირ ზომებს არ მიმართა (პროტესტის შეტანა) აღსრულების დაწყების თავიდან ასაცილებლად და უფრო მეტიც, მან პარტნიორსაც კი არ შეატყობინა ამ ფაქტის შესახებ. შესაბამისად, სააღსრულებო ბიურომ შპს „...ის“ წინააღმდეგ ნ. კ-ის სასარგებლოდ დაიწყო იძულებითი აღსრულება (სააღსრულებო საქმე №17012447), რომლის ფარგლებშიც იძულებითი აუქციონზე გაიყიდა საზოგადოების საკუთრებაში რიცხული უძრავი ნივთი ს/კ ... და სხვადასხვა მოძრავი ნივთები.

სააღსრულებო საქმეში დაცული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 2017 წლის 22 მარტის №05/08-1723 დასკვნის შესაბამისად, აუქციონზე რეალიზებული შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული უძრავი ნივთის მდებარე ქ. თბილისი, ...ის ქ. №63, ფართი 9 (ს/კ ...), ფართით – 64.17 კვ/მ საბაზრო ღირებულება შეადგენს 245 000

ლარს (100 000 აშშ დოლარი). რაც შეეხება შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხულ და აუქციონზე გაყიდულ მოძრავ ნივთებს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განკარგულებების შესაბამისად, მათი აუქციონზე რეალიზაციის ღირებულებამ შეადგინა 6 050.74 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულების ორივე მხარისათვის ცნობილი იყო სასამართლოს აკრძალვის შესახებ, რადგან ეს მითითებული იყო თავად 2016 წლის 23 ივნისის სესხის ხელშეკრულების პრეამბულაში. ასევე, აღნიშნული დასტურდებოდა ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრიდან. ხელშეკრულება თავიდანვე წარმოადგენდა არარა ხელშეკრულებას და მის საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ უნდა დაენიშნა გამარტივებული წარმოება, რის შესახებაც მიუთითა სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებაში, (საქმეზე №3ბ/2210-18). ამავე გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ბათილად ცნო აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის №SP161251735/339126 ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ. აგრეთვე, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 24 აპრილის A17012447-21/001 განკარგულება, 2017 წლის 11 მაისის A17012447-21/005, A17012447-21/006, A17012447-21/007, A17012447-21/008, A17012447-21/009, A17012447-21/010, A17012447-21/011, A17012447-21/012, A17012447-21/013, A17012447-21/014 განკარგულებები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმეზე №ბს-686(2კ-19)), ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით აღსრულება შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წარმოების წესით, რაც გულისხმობს, რომ აპლიკანტმა განცხადებით უნდა მიმართოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები და მოითხოვოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა. ვინაიდან მოთხოვნის არსებობა დგინდება კერძო პირთა მიერ წარდგენილი ინფორმაციით და არა ადმინისტრაციული და სასამართლო აქტების საფუძველზე, მსგავსი წარმოების ფარგლებში გაცილებით მეტი რისკი და საფრთხე არსებობს. არის რისკი, რომ არაკეთილსინდისიერად და უკანონოდ იქნეს წარმოდგენილი განცხადება და ინფორმაცია და დაირღვეს მოვალე დამთითებული პირის უფლებები. სწორედ ამიტომ, გამარტივებული წარმოების ფარგლებში განცხადების წარდგენისას სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უნდა

უზრუნველყოს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი მხარის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში, კი დაადგინოს ხარვეზი წარდგენილ განცხადებაზე.

2017 წლის 24 აპრილს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელმა გამოსცა № 17012447-021/001 განკარგულება, რომლის შესაბამისად, შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული უძრავი ნივთის, მდებარე: ქ. თბილისი, ...ის ქ. №63, ფართი №9 (ს/კ ...), იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით, მესაკუთრე გახდა ნ. კ-ი. 2017 წლის 15 მაისს იმავე აღმასრულებელმა გამოსცა განკარგულებები – № 17012447-021/005; № 17012447-021/006; № 17012447-021/007; № 17012447-021/008; № 17012447-021/009; № 17012447-021/010; № 17012447-021/011; № 17012447-021/012; № 17012447-021/013; № 17012447-021/014 რომელთა შესაბამისად, შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული სხვადასხვა მოძრავი ნივთები იძულებით აუქციონზე შეიძინა ნ. კ-მა.

მოსარჩელის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გამარტივებული წარმოების დაწყებისას არ შეამოწმა, არც წარდგენილი ხელშეკრულება და არც ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირთა რეესტრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში დაადგენდა, რომ ხელშეკრულება უფლებამოსილების გარეშე იყო დადებული და უარს იტყოდა გამარტივებული წარმოების დაწყებაზე. ნ. კ-მა ზემოაღნიშნული ქონება აუქციონზე შეძენის შემდგომ, 2017 წლის 20 ივნისს გაასხვისა ვ. პ-ზე. მიუხედავად იმისა, რომ აუქციონის შედეგები 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად ცნო თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ვ. პ-ი წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს და შეუძლებელია ქონების შპს „...ისათვის“ დაბრუნება. შესაბამისად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოჩენილმა გულგრილობამ გამოიწვია კომპანიის კუთვნილი ქონების გასხვისება და კომპანიისათვის ზიანის მიყენება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაეზნენ შპს „...ი“ და დ. მ-ი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...ის“ 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის – ი. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარისა და 6 050.74 (ექვსი ათას ორმოცდაათი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის

ოდენობით.

სასამართლომ მიუთითა შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით ირკვევა, რომ შპს „...ი“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მენარმე სუბიექტად, №... საიდენტიფიკაციო ნომრით, დარეგისტრირდა 2010 წლის 3 ივნისს; იურიდიული მისამართია – საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ...ს ქუჩა №49, ფართი №9; კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი – გ. ბ-ე; პარტნიორებს წარმოადგენენ – დ. მ-ი (წილი 50%) და ი. ა-ი (წილი 50%). ამავე ამონაწერის თანახმად, 2016 წლის 24 ივნისს რეგისტრირებულია აკრძალვა, რომლითაც დ. მ-ს, ლ. ლ-ეს და გ. ბ-ეს აეკრძალათ შპს „...ის“ კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა პარტნიორთა კრების თანხმობის გადანაცვეტილების გარეშე, გარდა, შპს „...ის“ საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი თანხების განკარგვისა; ბ) ი. ა-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა მოპასუხეების – დ. მ-ის, გ. ბ-ის, ლ. ლ-ისა და შპს „...ის“ მიმართ, გაუნაწილებელი მოგების გადახდევინებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. განსახილველ სარჩელზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც, შპს „...ის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს დ. მ-სა და ლ. ლ-ეს დავის საბოლოო გადანაცვეტამდე აეკრძალათ შპს „...ის“ კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა პარტნიორთა კრების თანხმობის გადანაცვეტილების გარეშე, გარდა, შპს „...ის“ საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი თანხების განკარგვისა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით უცვლელად დარჩა. აღნიშნულ დავაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 აპრილის გადანაცვეტილებით, ი. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გ. ბ-ეს (პ/ნ...) შეუწყდა შპს „...ის“ დირექტორის უფლებამოსილება და გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან; გ) 2016 წლის 23 ივნისს, ერთი მხრივ, ნ. კ-ს (შემდგომში – მესამე პირი) და მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-ის მინდობილ პირს – დ. მ-ს (შემდგომში – მოვალე) შორის გაფორმდა ხელშეკრულება მესამე პირის ვალდებულების შესრულების შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის სარჩელის უზრუნ-

ველყოფის შესახებ განჩინებით შპს „...ს“ აეკრძალა კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს მის წინაშე მდგარი ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობას, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მესამე პირი პირადი სახსრებით უზრუნველყოფდა მოვალის მიმდინარე და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებას ამ უკანასკნელის კრედიტორების სასარგებლოდ, ხოლო, თავის მხრივ, მოვალე ვალდებული იყო წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში დაებრუნებინა მესამე პირისათვის ამ უკანასკნელის მიერ მოვალის ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიზნით გადახდილი თანხები სრულად. დასახელებული ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, მხარეები ვალდებულნი იყვნენ ყოველთვიურად მოეხდინათ შედარების აქტების შედგენა, ერთმანეთის წინაშე არსებული ვალდებულებების არსებობის თაობაზე. დასახელებული ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, მესამე პირი ვალდებული იყო წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყო პირადი თანხების მოძიება და შპს „...ს“ მიმდინარე, გრძელვადიანი და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულება ჯეროვნად. ამასთანავე, უფლებამოსილი იყო მოვალისათვის მოეთხოვა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება. თავის მხრივ, მოვალე ვალდებული იყო დაებრუნებინა ამ უკანასკნელის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხები. დაებრუნებინა მესამე პირისათვის, ამ უკანასკნელის მიერ მოვალის მიმდინარე, გრძელვადიანი და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიზნით გადახდილი თანხები სრულად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ამასთანავე, უფლებამოსილი იყო მესამე პირისათვის მოეთხოვა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება. დასახელებული ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 15 დეკემბრამდე; დ) 2016 წლის 28 დეკემბერს ნ. კ-მა (აპლიკანტი) წარადგინა №SP161251735 განცხადება შპს „...ს“ (რესპოდენტი) მიმართ ფულადი დავალიანების – 125 470.31 ლარის გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განახორციელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოება №SP161251735. გამარტივებული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა 23.06.2016წ. ხელშეკრულება; 30.06.2016წ; 31.07.2016წ. 31.08.2016წ. 30.09.2016წ. 31.10.2016წ. 30.11.2016წ. 14.12.2016წ. შედარების აქტები.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის დავალიანების გადახდევინების შესახებ №SP161251735/229126 ბრძანებით, რესპოდენტ შპს „...ს“ აპლიკანტ ნ. კ-ის მიმართ დაეკისრა დავალიანების გადახდა 125 570.31 ლარის ოდენობით; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 24 აპრილის A17012447-021/001 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №63, ფართი №9 (ს/კ ...), შემძენი, 2017 წლის 20 აპრილს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 124 950 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან, დამატებული ღირებულების გადასახადს შეადგენს 19 060 ლარი. შემძენმა თანხა გადაიხადა სრულად. განკარგულებაში მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლი. ამავ განკარგულების თანახმად, რეალიზებული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტი არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. უძრავი ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან ძველმა მესაკუთრემ დაკარგა ყოველგვარი უფლება ამ ნივთზე; ვ) საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 28 აპრილის მდგომარეობით მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ...ის ქუჩა №63, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ..., ფართი №9, ფართი: 64.17 კვ.მ, საკუთრების უფლებით აღრიცხულია ნ. კ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია – განკარგულება №A17012447-021/001, დამოწმების თარიღი: 24/04/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო. საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 22 ივნისის მდგომარეობით მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ...ის ქუჩა №63, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ..., ფართი №9, ფართი: 64.17 კვ.მ, საკუთრების უფლებით აღრიცხულია ვ. პ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 20/06/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ზ) საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის შეფასებლის – გ. ე-ას 2017 წლის 22 მარტის დასკვნით დადგენილია,

რომ შპს „...ის“ (ს/ნ ...) სახელზე რიცხული უძრავი ქონების, ს/კ №..., მდებარე: ქალაქი თბილისი, ...ის ქუჩა №63, ფართი №9; ფართი 64.17 კვ.მ (საოფისე ფართი), საბაზრო ღირებულება შეფასების თარიღისათვის შეადგენს 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარს, ხოლო ობიექტის საბოლოო საბაზრო ღირებულება (დამრგვალებით) შეფასების თარიღისათვის ლარში შეადგენს 245 000 (ორას ორმოცდახუთი ათასი) ლარს; თ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17012447-021/005 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული ცენტრალური გათბობის სისტემის – გათბობის ქვების (ferroli), 5 ცალი სხვადასხვა ზომის ბატარიის შემძენი 2017 წლის 03 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 2000 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 305.08 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა. ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; ი) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17012447-021/006 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული მტვერსასრუტის (Bosch) შემძენი 2017 წლის 03 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 94.5 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 14.42 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა. ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; კ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17012447-021/007 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული კონდიციონერის (Siemens sizma, თეთრი ფერი) შიდა და გარე აგრეგატის შემძენი 2017 წლის 03 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა

600 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადს შეადგენს 91.53 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა. ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; ლ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17012447-021/008 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული: 1) მოშავო ფერის მეორადი საოფისე მაგიდის (150*75) – 1 ცალი; 2) მოშავო ფერის, მეორადი წიგნის თაროს – 1 ცალი; 3) მოშავო ფერის, მეორადი შუშებიანი კარადის (ვიტრინა) – 1 ცალი, კარადას აღენიშნება დაზიანებები; 4) მოშავო ფერის, მეორადი კარადის (210*060) – 1 ცალი; 5) მოთეთრო ფერის, მეორადი 11.93 კვ.მ ფარდა-ჯალუზის, საჭიროებს დემონტაჟს; 6) საოფისე მაგიდის – დიდი მაგიდა ტუმბოებით, მოშავო ფერის ვერცხლისფერი განყოფილებით, მეორადი მოხმარების – 1 ცალი; 7) ნაჭრის, შავი/ლურჯი ფერის საოფისე სკამის – 3 ცალი, აღენიშნება დაზიანებები; 8) შავი ფერის დაბალი საზურგით, მეორადი საოფისე სკამის – 1 ცალი; 9) შავი ფერის, ბადის საზურგით, მეორადი საკონფერენციო სკამის – 1 ცალი; 10) შავი/წითელი ფერის, ქრომირებული ფეხით, მეორადი სავარძლის – 2 ცალი, შემძენი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ.-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 670.54 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 102.29 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა. ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; მ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/009 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული ნოუთბუკის (Acer) შემძენი 2017 წლის 03 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ.-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 460 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 70.17 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა.

ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; ნ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/010 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული ელექტრო ჩაიდნის შემძენი 2017 წლის 04 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 21 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 3.2 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა. ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; ო) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/011 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული მონაცისფრო სეიფის (eagle safes) შემძენი 2017 წლის 04 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 600 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 93.81 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა. ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; პ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/012 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული სავარძლების სამეულის – 3+1+1 ხე/ნაჭერი, შემძენი 2017 წლის 4 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 700 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 106.78 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა.

ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/013 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული: 1) მრგვალი, თეთრი ფერის, მეორადი სანათის (apple) – 10 ცალი; 2) მეტალის, მომცრო ზომის სანათის – 1 ცალი; 3) თეთრი ფერის, მეორადი სანათის – 1 ცალი, შემძენი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 165.2 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 25.2 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა. ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; რ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/014 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული: 1) მეორადი მოხმარების სამზარეულოს ნიჟარის; 2) სამზარეულოს ავეჯის – 3 კვ.მ, მოყავისფრო, კრემისფერი ზედაპირით; 3) ჩასაშენებელი გაზქურის – zidaf, ზედა ნაწილი, შავი ფერის; 4) სამზარეულოს ონკანის – ქრომირებული, შემძენი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 724.5 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადი შეადგენს 110.52 ლარს, რომელიც შემძენმა სრულად გადაიხადა. ამავე განკარგულების თანახმად, აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებდა ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდებოდა საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. განკარგულებაში ასევე მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 პუნქტი; ს) დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. ა-მა მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუ-

როს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მესამე პირების – შპს „...ის“, დ. მ-ის, ნ. კ-ის მიმართ და მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №SP161251735/229126 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 24 აპრილის A17012447-021/001 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/005 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/006 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/007 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/008 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/009 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/010 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/011 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/012 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/013 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/014 განკარგულების ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/4673-17) ი. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო საჩივრით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №33/2210-18) ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის №SP161251735/229126 ბრძანება „დავალიანების გადახდევინების შესახებ“; ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 24 აპრილის A17012447-021/001 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/005 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/006 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/007 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/008 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/009 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/010 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/011 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/012 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/013 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/014 განკარგულება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ნ. კ-ის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივლისის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნ. კ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს დელიქტური ვალდებულება. ამგვარი ვალდებულებები არასახელშეკრულებო ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ზიანის მიყენების შედეგად წარმოიშობა. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია დელიქტური ურთიერთობის წარმოშობისათვის, კერძოდ, უნდა დადგინდეს ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ქმედებასა და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, მოხელის ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგენას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში, იმისათვის, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს ბრალეული ქმედება და ამ ბრალეულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის XVI¹ თავზე, 91³ მუხლზე, 91⁴ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, 91⁵ მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებზე, 91⁷ მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებზე მითითებით, სასამართლომ განმარტა, რომ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირე-

ბით აღსრულება შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წარმოების წესით, რაც გულისხმობს, რომ აპლიკანტმა (მოთხოვნის მფლობელმა) განცხადებით უნდა მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები და მოითხოვოს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა. თავის მხრივ, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან და აპლიკანტის მოთხოვნის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიეცევა. გამარტივებული წარმოების ფარგლებში არ ხდება სააღსრულებო ფურცლის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტის თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის წარდგენა, რომელიც სათანადო ორგანოს მიერ გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კონკრეტული გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად მიქცევის წინაპირობები. გამარტივებული წარმოების ფარგლებში მხარე წარადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ გააჩნია ვადამოსული ფულადი მოთხოვნა. ამდენად, ასეთი წარმოებისას მოთხოვნის არსებობა ადმინისტრაციულ თუ სასამართლო ორგანოთა მიერ გაცემული, ოფიციალური დოკუმენტით კი არ დგინდება, არამედ – კერძო პირთა მიერ წარდგენილი ინფორმაციით. შესაბამისად, მსგავსი წარმოების ფარგლებში გაცილებით მეტი რისკი და საფრთხე არსებობს, რომ არაკეთილსინდისიერად და უკანონოდ იქნეს წარდგენილი განცხადება, ინფორმაცია და დაირღვეს მოვალედ მითითებული პირის უფლებები. სწორედ ამიტომ, გამარტივებული წარმოების ფარგლებში, განცხადების წარდგენისას სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უნდა უზრუნველყოს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი მხარის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში კი, დაადგინოს ხარვეზი წარდგენილ განცხადებაზე.

სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან გამარტივებული წარმოების ფარგლებში სახეზე აუცილებლად უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული ფულადი სახის ვადამოსული მოთხოვნა, ხოლო განმცხადებელს ევალება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა, რაც ასეთი მოთხოვნის არსებობას ადასტურებს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განცხადების შინაარსობრივი მხარის შემოწმება, რის ვალდებულებასაც კანონმდებელი პირდაპირ ადგენს, გამოიხატება სწორედ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლასა და გადამოწმებაში, რომ ნამდვილად არის სახეზე აღსასრულებელი მოთხოვნა, რომელზეც შესაძლებელია გაიცეს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება და გატარდეს იძულებითი სააღსრუ-

ლებო მოქმედებები. მხოლოდ ამგვარი გადამონმების ფარგლებში არის შესაძლებელი კანონის უზენაესობისა და მხარეთა ინტერესების დაცვა, რადგან სააღსრულებო მოქმედების განხორციელებას, მოვალის მიერ მოთხოვნის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, უპირობოდ უკავშირდება მოვალის ქონების გასხვისება. ასევე, გასათვალისწინებელია ის მოცემულობა, რომ კანონის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო აპლიკანტის მოთხოვნის უფლების შემონმებისას ეყრდნობა მხოლოდ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებასა და თანდართულ წერილობით მტკიცებულებებში არსებულ მონაცემებს. ამასთანავე, ბიუროს, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, თუკი წარდგენილი ინფორმაცია ფორმალურად ან შინაარსობრივად საკმარისი არ არის სააღსრულებო წარმოების დასაწყებად, შეუძლია ხარვეზი დაადგინოს წარდგენილ განცხადებაზე და მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. მითითებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, სადავო შემთხვევაში, მოსარჩელისთვის განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს წარმოშობდა და არ მოხდებოდა შპს „...ის“ ქონების გასხვისება.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ნ. კ-მა (აპლიკანტი) დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა გამარტივებული წარმოების გზით შპს „...ისათვის“ (რესპოდენტი) დავალიანების – 125 470.31 ლარის დაკისრების მიზნით გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა. განცხადებას ერთვოდა: 2016 წლის 23 ივნისის ნ. კ-სა და შპს „...ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება (მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შესახებ), ასევე, მათ შორის შედგენილი – 30.06.2016წ. 31.07.2016წ. 31.08.2017წ. 30.09.2016წ. 31.10.2016წ. 30.11.2016წ. 14.12.2016წ. შედარების აქტები. სწორედ მითითებული დოკუმენტები უნდა შეესწავლა და შეემონმებინა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს აპლიკანტის მოთხოვნის საფუძვლიანობის გადამონმების კუთხით, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ბიუროს მიეღო ინფორმაცია სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, კერძოდ, 2016 წლის 23 ივნისის ხელშეკრულების დასაწყისშივე მხარეები განმარტავენ: იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით შპს „...ს“ აეკრძალა კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს მის წინაშე მდგარი ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობას, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მესამე პირი პირადი სახსრებით უზრუნველ-

ყოფდა მოვალის მიმდინარე და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებას ამ უკანასკნელის კრედიტორების სასარგებლოდ, ხოლო მოვალე ვალდებული იყო წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში დაებრუნებინა მესამე პირისათვის ამ უკანასკნელის მიერ მოვალის ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიზნით გადახდილი თანხები სრულად. ამდენად, სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი, ვალდებულების წარმომშობი ხელშეკრულება მიუთითებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე და, რომ ამ განჩინებით შპს „...ს“ აეკრძალა კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა. ამდენად, სსიპ სააღსრულებო ბიურო ვალდებული იყო რა, შეესწავლა წარდგენილი დოკუმენტაცია, უნდა გაცნობოდა მითითებულ ხელშეკრულებას, რა შემთხვევაშიც აღმასრულებელი იღებდა სრულ ინფორმაციას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობასა და სასამართლოს მიერ ხელშეკრულების მხარეთათვის კონკრეტული ქმედების აკრძალვის თაობაზე, რომლის გვერდის ავლის საშუალებასაც წარმოადგენს ეს ხელშეკრულება. თუკი სააღსრულებო ბიურო ხელშეკრულებაში მითითებულ ინფორმაციას არასაკმარისად მიიჩნევდა კონკრეტული ფაქტის – ვალდებულების არსებობის დადგენის კუთხით, ბიუროს შეეძლო, ხარვეზი დაედგინა განცხადებაზე და დამატებით სასამართლოს განჩინების წარდგენა მოეთხოვა. უფრო მეტიც, საგულისხმოა, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული აკრძალვა ასევე ფიქსირდებოდა ამონაწერში სარეწარმო რეესტრიდან, რომელიც მენარმის შესახებ დეტალურ ინფორმაციას იძლევა.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ არ იქნა დაცული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. შესაბამისად, მოსარჩელეს უკანონოდ შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება, ფაქტობრივად, საკუთრების უფლების ობიექტი გადაეცა სხვა პირებს, მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ, რაც შედეგობრივად განხორციელდა ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (აღნიშნული დასტურდება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით). ვინაიდან დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა პირის კანონიერი უფლებების შეზღუდვა და მატერიალური ზიანი, შესაბამისად, არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუ-

როს ქმედებასა და მოსარჩელისათვის დამდგარ შედეგს (მატერიალური ზიანი) შორის.

საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილზე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლზე, ამავე მუხლის მე-5 პუნქტზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული გარემოება, ი. ა-ი წარმოადგენს შპს „...ის“ 50% წილის მქონე პარტნიორს, ამასთან, მას თავისი სახელით, როგორც პარტნიორს, საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ სარჩელი აქვს აღძრული სასამართლოში მესამე პირის მიმართ. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოპასუხე მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სარჩელი არ არის წარმოდგენილი სასამართლოში უფლებამოსილი პირის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...ის“ 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის – ი. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად და მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარისა და 6 050.74 (ექვსიათას ორმოცდაათი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის ოდენობით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე, 992-ე, 1005-ე მუხლებზე მითითებით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უნდა დადგინდეს ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ქმედებასა და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის XVI¹

თავზე, კერძოდ, 91³ მუხლის მე-2 პუნქტზე, 91⁴ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, 91⁵ მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებზე, 91⁷ მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებზე მითითებით, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით აღსრულება შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წარმოების წესით, რაც გულისხმობს, რომ აპლიკანტმა (მოთხოვნის მფლობელმა) განცხადებით უნდა მიმართოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ნარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები და მოითხოვს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა. თავის მხრივ, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან და აპლიკანტის მოთხოვნის შემთხვევაში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცევა. გამარტივებული წარმოების ფარგლებში არ ხდება სააღსრულებო ფურცლის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტის, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის წარდგენა, რომელიც სათანადო ორგანოს მიერ გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კონკრეტული გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად მიქცევის წინაპირობები. გამარტივებული წარმოების ფარგლებში მხარე წარადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ გააჩნია ვადამოსული ფულადი მოთხოვნა. ამდენად, ასეთი წარმოებისას მოთხოვნის არსებობა ადმინისტრაციულ თუ სასამართლო ორგანოთა მიერ გაცემული, ოფიციალური დოკუმენტით კი არ დგინდება, არამედ – კერძო პირთა მიერ წარდგენილი ინფორმაციით. შესაბამისად, მსგავსი წარმოების ფარგლებში გაცილებით მეტი რისკი და საფრთხე არსებობს, რომ არაკეთილსინდისიერად და უკანონოდ იქნეს წარდგენილი განცხადება, ინფორმაცია და დაირღვეს მოვალედ მითითებული პირის უფლებები. სწორედ ამიტომ, გამარტივებული წარმოების ფარგლებში განცხადების წარდგენისას აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უნდა უზრუნველყოს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი მხარის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში კი, დაადგინოს ხარვეზი წარდგენილ განცხადებაზე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ვინაიდან გამარტივებული წარმოების ფარგლებში სახეზე აუცილებლად უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული ფულადი სახის ვადამოსული მოთხოვნა, ხოლო განმცხადებელს ევალება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა, რაც ასეთი მოთხოვნის არსებობას ადასტურებს, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განცხადების შინაარსობრივი მხარის შემოწმება, რის ვალ-

დებულებასაც კანონმდებელი პირდაპირ ადგენს, გამოიხატება სწორედ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლასა და გადამოწმებაში, რომ ნამდვილად არის სახეზე აღსასრულებელი მოთხოვნა, რომელზეც შესაძლებელია გაიცეს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება და გატარდეს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები. მხოლოდ ამგვარი გადამოწმების ფარგლებში არის შესაძლებელი კანონის უზენაესობისა და მხარეთა ინტერესების დაცვა, რადგან სააღსრულებო მოქმედების განხორციელებას, მოვალის მიერ მოთხოვნის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, უპირობოდ უკავშირდება მოვალის ქონების გასხვისება. ასევე, გასათვალისწინებელია ის მოცემულობა, რომ კანონის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო აპლიკანტის მოთხოვნის უფლების შემოწმებისას ეყრდნობა მხოლოდ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებასა და თანდართულ წერილობით მტკიცებულებებში არსებულ მონაცემებს. ამასთანავე, ბიუროს, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, თუკი წარდგენილი ინფორმაცია ფორმალურად ან შინაარსობრივად საკმარისი არ არის სააღსრულებო წარმოების დასაწყებად, შეუძლია ხარვეზი დაადგინოს წარდგენილ განცხადებაზე და მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. მითითებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, სადავო შემთხვევაში, მოსარჩელისთვის განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს წარმოშობდა და არ მოხდებოდა შპს „...ის“ ქონების გასხვისება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ნ. კ-მა (აპლიკანტი) დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა გამარტივებული წარმოების გზით შპს „...ისათვის“ (რესპოდენტი) დავალიანების – 125 470.31 ლარის დაკისრების მიზნით გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა. განცხადებას ერთვოდა: 2016 წლის 23 ივნისის ნ. კ-სა და შპს „...ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება (მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შესახებ), ასევე, მათ შორის შედგენილი – 30.06.2016წ. 31.07.2016წ. 31.08.2017წ. 30.09.2016წ. 31.10.2016წ. 30.11.2016წ. 14.12.2016წ. შედარების აქტები. ამდენად, სწორედ მითითებული დოკუმენტები უნდა შეესწავლა და შემოწმებინა აღსრულების ეროვნულ ბიუროს აპლიკანტის მოთხოვნის საფუძვლიანობის გადამოწმების კუთხით, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ბიუროს მიეღო ინფორმაცია სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ. 2016 წლის 23 ივნისის ხელშეკრულების დასაწყისშივე მხარეები განმარტავენ: იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით შპს „...ს“ აკრძალა კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს მის წინაშე მდგარი ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობას, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მესამე პირი პირადი სახსრებით უზრუნველყოფდა მოვალის მიმდინარე და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებას ამ უკანასკნელის კრედიტორების სასარგებლოდ, ხოლო მოვალე ვალდებული იყო, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში დაებრუნებინა მესამე პირისათვის ამ უკანასკნელის მიერ მოვალის ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიზნით გადახდილი თანხები სრულად. ამდენად, სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი, ვალდებულების წარმომშობი ხელშეკრულება მიუთითებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე და, რომ ამ განჩინებით შპს „...ს“ აკრძალა კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა. შესაბამისად, სააღსრულებო ბიურო ვალდებული იყო რა, შეესწავლა წარდგენილი დოკუმენტაცია, უნდა გასცნობოდა მითითებულ ხელშეკრულებას, რა შემთხვევაშიც აღმასრულებელი იღებდა სრულ ინფორმაციას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობასა და სასამართლოს მიერ ხელშეკრულების მხარეთათვის კონკრეტული ქმედების აკრძალვის თაობაზე, რომლის გვერდის ავლის საშუალებასაც წარმოადგენს ეს ხელშეკრულება. თუკი სააღსრულებო ბიურო ხელშეკრულებაში მითითებულ ინფორმაციას არასაკმარისად მიიჩნევდა კონკრეტული ფაქტის – ვალდებულების არსებობის დადგენის კუთხით, ბიუროს შეეძლო, ხარვეზი დაედგინა განცხადებაზე და დამატებით სასამართლოს განჩინების წარდგენა მოეთხოვა. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული აკრძალვა ფიქსირდებოდა ამონაწერში სამენარმოე რეესტრიდან, რომელიც მენარმის შესახებ დეტალურ ინფორმაციას იძლევა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ არ იქნა დაცული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. მოსარჩელეს უკანონოდ შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება, ფაქტობრივად საკუთრების უფლების ობიექტი გადაეცა სხვა პირებს მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ, რაც შედეგობრივად განხორციელდა ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (აღნიშნული დასტურდება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით). აღნიშნულის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ

მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა პირის კანონიერი უფლებების შეზღუდვა და მატერიალური ზიანი. შესაბამისად, არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქმედებასა და მოსარჩელისათვის დამდგარ შედეგს (მატერიალური ზიანი) შორის.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებზე მითითებით სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახეზეა ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული გარემოება, ი. ა-ი წარმოადგენს შპს „...ის“ 50%-იანი წილის მქონე პარტნიორს, ამასთან, მას თავისი სახელით, როგორც პარტნიორს, საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, სარჩელი აქვს აღძრული სასამართლოში. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სარჩელი არ არის წარმოდგენილი სასამართლოში უფლებამოსილი პირის მიერ.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით, კასატორი განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმები განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია დელიქტური ურთიერთობის წარმოშობისათვის, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს შედეგი – რეალური ზიანი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარისი ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მოხელის ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურეობრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის სახით, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ ქმედებაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი, მოხელე შეგნებულად უნდა უშვებდეს მესამე/გარე პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოებების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ზიანის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის

პირველ ნაწილზე მითითებით, კასატორი აღნიშნავს, რომ დავის სწორი გადაწყვეტისათვის ყურადღება უნდა მიექცეს მტკიცების ტვირთის გადანაწილებასა და ზოგადად მტკიცების პროცესის სწორ შეფასებას. საპროცესო და მატერიალურ კანონმდებლობაში გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტის დაცვით, სათანადო და უტყუარი მტკიცებულების წარდგენის გზით, მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა ზიანის დაკისრების საფუძვლად დასახელებული წინაპირობის არსებობა, კერძოდ, მხარეს უნდა დაედასტურებინა ზიანის, როგორც რეალური ფაქტის არსებობა, ზიანის ოდენობა და მიზეზობრივი კავშირი ქმედებას და დამდგარ შედეგს შორის.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას შპს „...ის“ სახელით ითხოვს ამავე ორგანიზაციის 50%-იანი წილის მფლობელი. სასამართლომ საერთოდ ყურადღების მიღმა დატოვა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, მიადგა თუ არა შპს „...ს“ ზიანი და თუ მიადგა, რა გახდა ამ ზიანის მიყენების საფუძველი. საქმის მასალების თანახმად, 2016 წლის 30 ივნისს, ერთი მხრივ, ნ. კ.-სა და, მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-ის მინდობილ პირს – დ. მ-ს შორის გაფორმებული შედარების აქტით, მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა, რომ 23.06.2016წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „...ის“ დავალიანება ნ. კ.-ის მიმართ შეადგენდა 3 930.62 ლარს, 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. 31.07.2016წ. ერთი მხრივ, ნ. კ.-სა და, მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-ის მინდობილ პირს – დ. მ-ს შორის გაფორმებული შედარების აქტით, მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა, რომ 23.06.2016წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „...ის“ დავალიანება ნ. კ.-ის მიმართ შეადგენდა 24 000.91 ლარს, 2016 წლის 31 ივლისის მდგომარეობით. 31.08.2016წ. ერთი მხრივ, ნ. კ.-სა და, მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-ის მინდობილ პირს – დ. მ-ს შორის გაფორმებული შედარების აქტით, მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა, რომ 23.06.2016წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „...ის“ დავალიანება ნ. კ.-ის მიმართ შეადგენდა 43 429.18 ლარს, 2016 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით. 30.09.2016წ. ერთი მხრივ, ნ. კ.-სა და, მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-ის მინდობილ პირს – დ. მ-ს შორის გაფორმებული შედარების აქტით, მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა, რომ 23.06.2016წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „...ის“ დავალიანება ნ. კ.-ის მიმართ შეადგენდა 62 356.24 ლარს, 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით. 31.10.2016წ. ერთი მხრივ, ნ. კ.-სა და, მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-ის მინდობილ პირს – დ. მ-ს შორის გაფორმებული შედარების აქტით, მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა, რომ 23.06.2016წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „...ის“ დავალიანება ნ. კ.-ის მიმართ შეადგენდა 74 953.94 ლარს,

2016 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით. 30.11.2016წ. ერთი მხრივ, ნ. კ-სა და, მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-ის მინდობილ პირს – დ. მ-ს შორის გაფორმებული შედარების აქტით, მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა, რომ 23.06.2016წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „...ის“ დავალიანება ნ. კ-ის მიმართ შეადგენდა 1 14890.53 ლარს, 2016 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით. 14.12.2016წ. ერთი მხრივ, ნ. კ-სა და, მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-ის მინდობილ პირს – დ. მ-ს შორის გაფორმებული შედარების აქტით, მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა, რომ 23.06.2016წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „...ის“ დავალიანება ნ. კ-ის მიმართ შეადგენდა 125 470.31 ლარს, 2016 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით. 2016 წლის 16 დეკემბერს, შპს „...ის“ წერილით მიმართა ნ. კ-მა, რომელმაც მიუთითა, რომ 2016 წლის 23 ივნისის ხელშეკრულებიდან და ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული შედარების აქტებით კომპანიის დავალიანება შეადგენს 125 470.31 ლარს. ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „...ის“ წინამდებარე დავალიანება მის მიმართ უნდა დაეფარა 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით, რაც მათი მხრიდან არ განხორციელებულა. კრედიტორმა კომპანიას მოთხოვა წერილის ჩაბარებიდან 01 (ერთი) კვირის ვადაში არსებული დავალიანების დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმართავდა კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ხსენებული დოკუმენტი შპს „...ის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს – დ. მ-ს ჩაბარდა 2017 წლის 05 იანვარს.

სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2016 წლის 28 დეკემბერს ნ. კ-მა (აპლიკანტი) წარადგინა №161251735 განცხადება შპს „...ის“ (რესპოდენტი) მიმართ ფულადი დავალიანების 125 470.31 ლარის გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით. მოთხოვნის საფუძველად მითითებულ იქნა 23.06.2017წ. ხელშეკრულება, 30.06.2016წ. 31.07.2016წ. 31.08.2017წ. 30.09.2016წ. 31.10.2016წ. 30.11.2016წ. 14.12.2016წ. შედარების აქტები. რესპოდენტის მიმართ მოთხოვნა განსაზღვრულ იქნა 125 470,31 ლარის ოდენობით. განაცხადს თან ერთვოდა: 23.06.2016წ. ხელშეკრულება, 30.06.2016წ. 31.07.2016წ. 31.08.2017წ. 30.09.2016წ. 31.10.2016წ. 30.11.2016წ. 14.12.2016წ. შედარების აქტები; 2016 წლის 16 დეკემბრის წერილი.

სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2017 წლის 09 იანვარს გამოსცა გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ №161251735/221072 შეტყობინება, რომლითაც რესპოდენტი შპს „...ის“ განესაზღვრა 10 კალენდარული დღე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გასათარებელი მოქმედებებისათვის. ხსენებული დოკუმენტი შპს „...ის“ წარმომადგენელმა – ლ. ლ-ემ ჩაიბარა 2017 წლის 12 იანვარს. სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2017 წლის 30 იანვარს

გამოსცა დავალიანების გადახდევინების შესახებ №161251735/229126 ბრძანება, რომლითაც რესპოდენტ შპს „...ს“ აპლიკანტ ნ. კ-ის მიმართ დაეკისრა დავალიანების გადახდა 125 570.31 ლარის ოდენობით, ვინაიდან არ იქნა წარდგენილი პროტესტი. გამარტივებული წარმოების დაწყების საფუძვლად მითითებულია 23.06.2016.წ, ხელშეკრულება; 30.06.2016წ; 31.07.2016წ. 31.08.2017წ. 30.09.2016წ. 31.10.2016წ. 30.11.2016წ. 14.12.2016წ. შედარების აქტები.

ზემოხსენებული დოკუმენტი შპს „...ს“ წარმომადგენელმა – დ. მ-მა ჩაიბარა 2017 წლის 3 თებერვალს, იგივე დოკუმენტი 6 თებერვალს ასევე ჩაიბარა ორგანიზაციის წარმომადგენელმა – ლ. ლ-ემ. სადავო აქტი ორგანიზაციის მხრიდან სადავოდ არ არის გამხდარი. თბილისის სააღსრულებო ბიუროში 2017 წლის 31 იანვარს ნ. კ-მა წარადგინა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის №61251735/229126 აღსრულების ქვემდებარე აქტი, მოითხოვა წარმოებაში მიღება და მოვალისათვის 125 570.31 ლარის დაკისრება.

კასატორის განმარტებით, საზოგადოების პარტნიორი უნდა აცნობიერებდეს, რომ თუ მის მიერ დანიშნული დირექტორი (ან დირექტორი, რომელიც უკვე დანიშნული იყო და რომლის დირექტორობასაც შეეგუა პარტნიორი) ვერ გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედს, არ გაუძღვება საზოგადოების საქმეებს კეთილსინდისიერად, არ იზრუნებს საზოგადოებაზე ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე ან ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი პირი და არ იმოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის, მაშინ ნეგატიური შედეგი უნდა დადგეს საზოგადოებისთვის და პარტნიორისთვის და არა გარეშე პირისთვის. აღნიშნულზე მეტყველებს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია, რომლის თანახმად, კომპანიის დირექტორის არაკეთილსინდისიერი მოქმედება, თავისთავად, წარმოადგენს ნებისმიერი მენარმე სუბიექტის ბუნებრივ, გარდაუვალ რისკს. დავაკვირდეთ – არა მენარმე სუბიექტის კონტრაგენტის ან სხვა მესამე პირის რისკს, არამედ თავად იმ საწარმოს რისკს, რომელსაც არაკეთილსინდისიერი დირექტორი ხელმძღვანელობს. საზოგადოების პარტნიორი რატომღაც თვლის, რომ ნეგატიური შედეგი უნდა დადგეს არა მის მიმართ ან მისივე საზოგადოების მიმართ, არამედ „ბიუროს“ მიმართ, ანუ ადგილი აქვს საკუთარი რისკის სხვა სუბიექტზე გადატანის მცდელობას, რაც უსამართლო და უკანონოა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ შპს „...ს“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დ. მ-ი, მის მიერ წარდგენილ შესაგებელში, სწორად მიიჩნევს იმ მოქმედებას, რომ იმ დროს, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა ეფუძნებოდა მყარ, პირდაპირ მტკიცებულებათა ჯაჭვს და ტოვებდა

მოლოდინს, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლოა მიუღწევადი ყოფილიყო ანდა მოთხოვნის შემცირება იქნებოდა შესაძლებელი, პროტესტის წარდგენა უფრო გაუმართლებელი იყო, ვიდრე გამართლებული. გამოდის, რომ ორგანიზაციას ჰქონდა ვალდებულებები, აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით გაიყიდა ორგანიზაციის ქონება, დაკმაყოფილდა კრედიტორი და ესლა ეს ორგანიზაცია ზიანს ითხოვს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსგან. ამასთან, ი. ა-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შპს „...ის“, დ. მ-ისა და ზ. ბ-ის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის დაკისრება და გაუნაწილებელი მოგების გადახდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით კანონიერ ძალაშია შესული. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს, რომ თუ დირექტორის მიერ მისი მოვალეობების დარღვევის გამო კომპანიას ზიანი მიადგა, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს უპირველეს ყოვლისა აღნიშნულ კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ამ უფლებას არ გამოიყენებს, მაშინ კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ სარჩელი შესაძლოა აღძვრას კომპანიის პარტნიორმაც, მათ შორის, უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა. თუმცა ასეთი სარჩელის აღძვრისას მან უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის და არა პირადად მისთვის მიყენებულ ზიანზე.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის

პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადან-
ყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელა-
ციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების
ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქ-
მეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკი-
ცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-
ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხ-
ლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,
ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას
საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი
შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.
საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო
სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემ-
დეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) მენარმეთა და არასამენარმეო (არა-
კომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახ-
მად, 2016 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით შპს „...ის“ (ს/ნ ...) ხელ-
მძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექ-
ტორი – გ. ბ-ე. პარტნიორებს წარმოადგენენ – დ. მ-ი (წილი 50%) და ი. ა-
ი (წილი 50%). 2016 წლის 24 ივნისს რეგისტრირებულია აკრძალვა, რომ-
ლითაც დ. მ-ს, ლ. ლ-ეს და გ. ბ-ეს აკრძალათ შპს „...ის“ კუთვნილი ფუ-
ლადი სახსრების განკარგვა პარტნიორთა კრების თანხმობის (გადაწ-
ყვეტილების) გარეშე, გარდა, შპს „...ის“ საგადასახადო ვალდებულებე-
ბის შესრულებისათვის აუცილებელი თანხების განკარგვისა; ბ) ი. ა-მა
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში
სარჩელი აღძრა მოპასუხეების – დ. მ-ის, გ. ბ-ის, ლ. ლ-ისა და შპს „...ის“
მიმართ, გაუნაწილებელი მოგების გადახდევინების და ზიანის ანაზღა-
ურების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა
მოსარჩელე ი. ა-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესა-
ხებ და შპს „...ის“ დირექტორს გ. ბ-ეს, დირექტორის მოვალეობის შემ-
სრულებელს დ. მ-ს და ლ. ლ-ეს დავის საბოლოო გადაწყვეტამდე აეკ-
რძალათ შპს „...ის“ კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა პარტნი-
ორთა კრების თანხმობის (გადაწყვეტილების) გარეშე, გარდა შპს „...ის“
საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი თან-
ხების განკარგვისა; გ) 2016 წლის 23 ივნისს, ერთი მხრივ, ნ. კ-ს (შემ-
დგომში – მესამე პირი) და მეორე მხრივ, შპს „...ის“ დირექტორის – გ. ბ-
ის მიზნობილ პირს – დ. მ-ს (შემდგომში – მოვალე) შორის გაფორმდა
ხელშეკრულება მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შე-
სახებ. ხელშეკრულების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით შპს „...ს“ აეკრძალა კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს მის წინაშე მდგარი ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობას, მესამე პირი პირადი სახსრებით უზრუნველყოფს მოვალის მიმდინარე, გრძელვადიანი და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებას ამ უკანასკნელის კრედიტორების სასარგებლოდ, ხოლო თავის მხრივ, მოვალე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში დაუბრუნოს მესამე პირს ამ უკანასკნელის მიერ მოვალის ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიზნით გადახდილი თანხები სრულად. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით; დ) 2016 წლის 28 დეკემბერს ნ. კ-მა (აპლიკანტი) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგინა №SP161251735 განცხადება შპს „...ის“ (რესპოდენტი) მიმართ ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განახორციელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოება №SP161251735, რომლის საფუძველს წარმოადგენდა: 23.06.2016წ, ხელშეკრულება; 30.06.2016წ; 31.07.2016წ; 31.08.2016წ; 30.09.2016წ; 31.10.2016წ; 30.11.2016წ. და 14.12.2016წ. შედარების აქტები. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის №SP161251735/229126 ბრძანებით რესპოდენტ შპს „...ს“ აპლიკანტ ნ. კ-ის მიმართ დაეკისრა დავალიანების გადახდა 125 570.31 ლარის ოდენობით; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 24 აპრილის A17012447-021/001 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №63, ფართი №9 (ს/კ ...), შემძენი, 2017 წლის 20 აპრილს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 124 950 ლარად; ვ) 2017 წლის 28 აპრილს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ...ის ქუჩა №63, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ..., ფართი №9, ფართი: 64.17 კვ.მ, საკუთრების უფლებით აღრიცხულია ნ. კ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია – განკარგულება №A17012447-021/001, დამოწმების თარიღი: 24/04/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

ტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო თბილისის სააღსრულებო ბიურო; ზ) 2017 წლის 22 ივნისის მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ...ის ქუჩა №63, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ..., ფართი №9, ფართი: 64.17 კვ.მ, საკუთრების უფლებით აღრიცხულია ვ. პ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია – უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 20/06/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; თ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის შემფასებლის – გ. ე-ას 2017 წლის 22 მარტის დასკვნის თანახმად, შპს „...ის“ (ს/ნ ...) სახელზე რიცხული უძრავი ქონების (ს/კ №...), მდებარე: ქალაქი თბილისი, ...ის ქუჩა №63, ფართი №9; ფართი 64.17 კვ.მ (საოფისე ფართი), საბაზრო ღირებულება შეფასების თარიღისათვის (დამრგვალებით) შეადგენს 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარს, ხოლო ობიექტის საბოლოო საბაზრო ღირებულება (დამრგვალებით) შეფასების თარიღისათვის ლარში შეადგენს 245 000 (ორას ორმოცდახუთი ათასი) ლარს; ი) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17012447-021/005 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული ცენტრალური გათბობის სისტემის – გათბობის ქვების (ferroli), 5 ცალი სხვადასხვა ზომის რადიატორის შემძენი, 2017 წლის 03 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 2 000 ლარად; კ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17012447-021/006 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული მტვერსასრუტის (Bosch) შემძენი 2017 წლის 03 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 94.5 ლარად; ლ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17012447-021/007 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული კონდიციონერის (Simens sizma, თეთრი ფერი), შიდა და გარე აგრეგატის შემძენი 2017 წლის 03 მაისის გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 600 ლარად; მ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17012447-021/008 განკარგულების

თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული: 1) მოშავო ფერის, მეორადი საოფისე მაგიდის (150*75) – 1 ცალი; 2) მოშავო ფერის, მეორადი ნიგნის თაროს – 1 ცალი; 3) მოშავო ფერის, მეორადი შუშებიანი კარადის (ვიტრინა) – 1 ცალი (კარადას აღენიშნება დაზიანებები); 4) მოშავო ფერის, მეორადი კარადის (210*060) – 1 ცალი; 5) მოთეთრო, მეორადი 11.93 კვ.მ ფარდა-ჯალუზის (საჭიროებს დემონტაჟს); 6) საოფისე მაგიდის – (დიდი მაგიდა ტუმბოებით, მოშავო ფერის ვერცხლისფერი გაწყობით, მეორადი მოხმარების) – 1 ცალი; 7) ნაჭრის, შავი/ლურჯი ფერის საოფისე სკამის – 3 ცალი, (აღენიშნება დაზიანებები); 8) შავი ფერის დაბალი საზურგით, მეორადი საოფისე სკამის – 1 ცალი; 9) შავი ფერის, ბადის საზურგით, მეორადი საკონფერენციო სკამის – 1 ცალი; 10) შავი/წითელი ფერის, ქრომირებული ფეხით, მეორადი სავარძლის – 2 ცალი, შემდეგი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 670.54 ლარად; ნ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/009 განკარგულებით, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული „ნოუთბუკის“ (Acer) შემდეგი 2017 წლის 03 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 460 ლარად; ო) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/010 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული ელექტროჩაიდანის შემდეგი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 21 ლარად; პ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/011 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული მონაცისფრო სეიფის (eagle safes) შემდეგი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 615 ლარად; ჟ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/012 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული სავარძლების სამეულის (3+1+1 ხე/ნაჭერი), შემდეგი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 700 ლარად; რ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის

A17012447-021/013 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული: 1) მრგვალი, თეთრი ფერის, მეორადი სანათის (opple) – 10 ცალი; 2) მეტალის, მომცრო ზომის სანათის – 1 ცალი; 3) თეთრი ფერის, მეორადი სანათის – 1 ცალი, შემძენი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 165.2 ლარად; ს) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/014 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული: 1) მეორადი მოხმარების სამზარეულოს ნიჟარის; 2) სამზარეულოს ავეჯის – 3 კვ.მ, (მოყავისფრო, კრემისფერი ზედაპირით); 3) ჩასაშენებელი გაზქურის (zidaf) (ზედა ნაწილი, შავი ფერის); 4) სამზარეულოს ონკანის (ქრომირებული), შემძენი 2017 წლის 04 მაისს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 724.5 ლარად; ტ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. ა-მა მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მესამე პირების – შპს „...ის“, დ. მ-ისა და ნ. კ-ის მიმართ და მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №SP161251735/229126 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 24 აპრილის A17012447-021/001 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/005 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/006 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/007 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/008 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/009 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/010 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/011 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/012 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/013 განკარგულების, 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/014 განკარგულების ბათილად ცნობა; უ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო საჩივრით; ფ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/2210-18) ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და მი-

ლებულ იქნა ახალი გადანყვეტილება, რომლითაც ი. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის №SP 161251735/229126 ბრძანება „დავალიანების გადახდევინების შესახებ“; ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს: 2017 წლის 24 აპრილის A17012447-021/001 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/005 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/006 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/007 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/008 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/009 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/010 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/011 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/012 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/013 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/014 განკარგულება; ქ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადანყვეტილება, საკასაციო საჩივრებით იქნა გასაჩივრებული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ნ. კ-ის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივლისის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ნ. კ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე შპს „...ის“ 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი – ი. ა-ი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის შპს „...ის“ სასარგებლოდ 100 000 აშშ დოლარისა და 6 050.74 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას ითხოვს. ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შპს „...ის“ წინააღმდეგ ნ. კ-ის სასარგებლოდ დაიწყო იძულებითი აღსრულება, რომლის ფარგლებშიც, იძულებით აუქციონზე გაიყიდა საზოგადოების საკუთრებაში რიცხული უძრავი და მოძრავი ქონება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადანყვეტილებით (საქმე №3ბ/2210-18) ბათილად იქნა ცნობილი აღნიშნული სააღსრულებო წარმოების ფარგლებში გამოცემული ყველა ბრძანება და განკარგულება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის განჩინებით სააპელაციო პალატის გადანყვეტილება ძალაში დარჩა (საქმე №ბს-686(2კ-19)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს წინამდებარე სარჩელის სასამართლოში შემოტანის დროისათვის მოქმედ „მენარმეთა შესახებ“ სა-

ქართველოს კანონზე (ძალადაკარგულია – 02.08.2021, №875), რომლის 9.1 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამავე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

ამავე კანონის 46.5 მუხლის თანახმად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს პარტნიორს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში განეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზოგადოებისათვის საზიანო აღმოჩნდა. თუ პარტნიორი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, პარტნიორს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში განეული იმ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, რომლებიც წარმოიშვა პარტნიორის მოთხოვნასთან დაკავშირებით. პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადაუყადოს მას სასამართლო ხარჯების

ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული საკანონდებლო ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კომპანიის პარტნიორს შეუძლია საკუთარი სახელით, კომპანიის ნაცვლად და მის სასარგებლოდ წარადგინოს დერივაციული სარჩელი (რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების ქონებრივი ინტერესების დაცვა), თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია თავად არ ახორციელებს საკუთარი უფლებების დაცვას. დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად. ამასთან, დერივაციული სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვამდე შპს-ს პარტნიორი ვალდებულია ოფიციალურად მიმართოს კომპანიას და დაელოდოს 90-დღიანი ვადის გასვლას. თუმცა პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას ისეთი ვითარება, როცა აზრს მოკლებულია აღნიშნული ვადის დაცვა. თუ საქმის გარემოებებიდან ცალსახად არ იკვეთება საზოგადოებისადმი მიმართვის უპერსპექტივობა, მოსარჩელე ვალდებულია სარჩელში მიუთითოს და დაასაბუთოს, რომ საწარმოსათვის შესაბამისი მოთხოვნით მიმართვა და კანონით გათვალისწინებული ვადის დაცვა უშედეგო იქნებოდა. განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია მესამე პირის – შპს „...ის“ შესაგებელი, რომლითაც კომპანია არ დაეთანხმა სარჩელს და მოითხოვა უარი ეთქვას ი. ა-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, შესაგებელში დაფიქსირებული პოზიციით აშკარაა, რომ კომპანია არ აპირებდა და არც აპირებს იდავოს წინამდებარე სარჩელით განსახილველ საკითხზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა დასკვნას, რომ ი. ა-ი, როგორც შპს „...ის“ 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი არის უფლებამოსილი პირი კომპანიის ნაცვლად და მის სასარგებლოდ წარმოედგინა სარჩელი (მსგავს შემთხვევებზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: სუსგ №ას-457-436-2015, 6 ივნისი, 2016 წელი; სუსგ №ას-687-658-2016, 6 ნოემბერი, 2018 წელი; სუსგ №ას-727-695-2016, 23 იანვარი, 2019 წელი; სუსგ №ას-370-344-2017, 18 აპრილი, 2019 წელი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება, კერძოდ, კონსტიტუციის 18.4 მუხლის მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ანალოგიური შინაარსის დათქმას ითვალის-

წინებდა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების რეალიზაციას ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი (207-209-ე მუხლები), რომელიც უშუალოდ აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხს, კერძოდ, 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1005.1 მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამ ნორმით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე, პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ყველას ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება – სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც – ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსე-

ბობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა განამტკიცებს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას. ამდენად, კანონმდებლობა ადგენს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ამასთან, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის უნდა დადასტურდეს ნორმატიულად განსაზღვრული შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა: სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლის ქმედების უკანონობა; პირისთვის ზიანის მიყენება; მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა დამდგარ შედეგსა და სახელმწიფო ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, ასევე, სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეულობა.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოქმედებების კანონიერება, თავად სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს არსებობის მიზნებისა და მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდგომში მის მიერ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად და კანონის შესაბამისად განხორციელების კუთხით. ამასთან, უნდა დადგინდეს და შეფასდეს სახეზე არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ვინაიდან ამ შედეგის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს მოცემული დავისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – არსებობს თუ არა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მოქმედებების კანონიერება, რასთან მიმართებითაც საყუ-

რადღებოა კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №33/2210-18), რომლითაც ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის №SP161251735/229126 ბრძანება „დავალიანების გადახდევინების შესახებ“; ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს: 2017 წლის 24 აპრილის A17012447-021/001 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/005 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/006 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/007 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/008 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/009 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/010 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/011 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/012 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/013 განკარგულება; 2017 წლის 11 მაისის A17012447-021/014 განკარგულება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურომ და ნ. კ-მა, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივლისის №ბს-686(2კ-19) განჩინებაში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „გამარტივებული წარმოების ფარგლებში განცხადების წარდგენისას არ ხდება სააღსრულებო ფურცლის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტის თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის წარდგენა, რომელიც სათანადო ორგანოს მიერ გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კონკრეტული გადაწყვეტილების იძულებითი აღსასრულებლად მიქცევის წინაპირობები. გამარტივებული წარმოების ფარგლებში მხარე წარადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ გააჩნია ვადამოსული ფულადი მოთხოვნა. ამდენად, ასეთი წარმოებისას მოთხოვნის არსებობა ადმინისტრაციულ თუ სასამართლო ორგანოთა მიერ გაცემული, ოფიციალური დოკუმენტით კი არ

დგინდება, არამედ კერძო პირთა მიერ წარდგენილი ინფორმაციით. შესაბამისად, მსგავსი წარმოების ფარგლებში გაცილებით მეტი რისკი და საფრთხე არსებობს, რომ არაკეთილსინდისიერად და უკანონოდ იქნეს წარდგენილი განცხადება და ინფორმაცია და დაირღვეს მოვალედ მითითებული პირის უფლებები. საკასაციო სასამართლოს მითითებით, სწორედ ამიტომ, გამარტივებული წარმოების ფარგლებში აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უნდა უზრუნველყოს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ყურადღებით და საგულდაგულოდ შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში კი, დაადგინოს ხარვეზი წარდგენილ განცხადებაზე. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც შპს „...ის“ (რესპოდენტი) მიმართ ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით ნ. კ-ის (აპლიკანტი) მიერ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილ განცხადებას, შედარების აქტებთან ერთად, ერთვოდა 2016 წლის 23 ივნისის ხელშეკრულება, სადაც პირდაპირ იყო მითითება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ივნისის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე, რომლითაც შპს „...ს“ აეკრძალა კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ უნდა გამოეცა დავალიანების გადახდევინების შესახებ 2017 წლის 30 იანვრის №SP 161251735/229126 ბრძანება და შემდგომ ამ ბრძანების აღსრულების უზრუნველსაყოფად – განკარგულებები“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებების აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკუთრების უფლება ბუნებით უფლებათა რიცხვს განეკუთვნება და წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს და ამავდროულად როგორც პიროვნულ უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულებები – უზრუნველყოს საკუთრების, როგორც ინსტიტუტის დაცვა, ყოველი ინდივიდის მიერ სა-

კუთრების შეუფერხებელი მოხმარება (პოზიტიური ვალდებულება) და იმავდროულად არ ჩაერიოს საკუთრების უფლებაში თვითნებურად (ნეგატიური ვალდებულება). აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება ის ლეგიტიმური მიზანია, რომელიც ამართლებს საკუთრების უფლებაში ჩარევას – როგორც შეზღუდვის, ისე ექსპროპრიაციის ფორმით. საკუთრების უფლების ჩამორთმევისას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება მკაცრ და კონკრეტულ განმარტებას ექვემდებარება. კერძო სამართლის სუბიექტის საკუთრების უფლების შეზღუდვა უნდა ჩამოყალიბდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვით. საკუთრების უფლების შეზღუდვის შეფასების საზომი თანაზომიერების პრინციპია. საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერების საკითხის დადგენისას კი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ზღვარი – შეზღუდვა საკუთრების უფლებას არ უნდა უკარგავდეს არსს და ექვემდებარება აყენებდეს საკუთრების უფლების შინაარსს (შედ: იხ. საქმე №ბს-979(2კ-21), 16/03/2023).

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2017 წლის 30 იანვარს გამოცემული „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №SP161251735/229126 ბრძანების და ამ ბრძანების აღსრულების ფარგლებში ჩატარებული იძულებითი აუქციონის შედეგად გამოცემული განკარგულებებით, განიკარგა შპს „...ის“ კუთვნილი მოძრავი და უძრავი ნივთები. ამასთან, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/2210-18) დადგენილია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2017 წლის 30 იანვარს გამოცემული „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ №SP161251735/229126 ბრძანების და ამ ბრძანების აღსრულების ფარგლებში ჩატარებული იძულებითი აუქციონის შედეგად გამოცემული განკარგულებების უკანონობა, რაც სრულად გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2019 წლის 18 ივლისის №ბს-686(2კ-19) განჩინებით, სახეზეა მიზეზშედეგობრივი კავშირი შპს „...ის“ მიერ განცდილ მატერიალურ ზიანსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცემულ უკანონო აქტებს შორის, შესაბამისად, მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის შპს „...ის“ სასარგებლოდ უკანონო აქტებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის არსებობისას მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა. „ზიანის ანაზღაურების (როგორც ფაქტობ-

რივად დამდგარი დანაკლისის, ასევე მიუღებელი შემოსავლის) მოვალეობის დაკისრების უმთავრესი წინაპირობა მიზეზობრივი კავშირია მოვალის ქმედებასა და ქმედების შედეგად დამდგარ ზიანს შორის, რაც დგინდება ე.წ. ეკვივალენტურობის თეორიის საფუძველზე, რომლის თანახმად, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისთვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს („ეკვივალენტურს“), თუკი დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა. მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი შეიძლება აერთიანებდეს ერთ ან რამდენიმე, შემთხვევით ან მოსალოდნელ, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიზეზს. პალატა აღნიშნავს, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირისას უმნიშვნელოვანესია მიზეზებისა და დამდგარი შედეგის ფაქტობრივი ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნით, დაზარალებული პირი ვალდებულია დაამტკიცოს როგორც ზიანის არსებობა, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად იმ პირმა ვისაც ზიანი მიადგა, უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რათა დაამტკიცოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ზიანის არა მარტო არსებობა, არამედ მისი რაოდენობა და ღირებულება“ (სუსგ საქმეზე №ბს-705(კ-21), 03.05.2022წ.).

ამრიგად, პალატა მიუთითებს, რომ მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის მართებულად გადაწყვეტისთვის, რაც განპირობებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაწესით, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა ასევე, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველსა და მე-3 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამრიგად, მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შპს „...ის“

სასარგებლოდ დაეკისროს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარისა და 6 050.74 (ექვსიათას ორმოცდაათი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის ოდენობით. ამასთან, მოპასუხისათვის 100 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში, მოსარჩელე მოთხოვნის ოდენობას უკავშირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის შემფასებლის – გ. ე-ას 2017 წლის 22 მარტის დასკვნას, რომლის თანახმად, შპს „...ის“ (ს/ნ ...) სახელზე რიცხული უძრავი ქონების (ს/კ №...), მდებარე: ქალაქი თბილისი, ...ის ქუჩა №63, ფართი №9; ფართი 64.17 კვ.მ (საოფისი ფართი), საბაზრო ღირებულება შეფასების თარიღისათვის (დამრგვალებით) შეადგენს 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარს, ხოლო ობიექტის საბოლოო საბაზრო ღირებულება (დამრგვალებით) შეფასების თარიღისათვის ლარში შეადგენს 245 000 (ორას ორმოცდახუთი ათასი) ლარს. რაც შეეხება მოთხოვნას მოპასუხისათვის 6 050.74 ლარის დაკისრების თაობაზე, აღნიშნულ თანხად (ჯამურად) იძულებით აუქციონზე რეალიზებულ იქნა კომპანიის კუთვნილი მოძრავი ნივთები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის №SP161251735/229126 ბრძანებით რესპოდენტ შპს „...ის“ აპლიკანტ ნ. კ-ის მიმართ დაეკისრა დავალიანების გადახდა 125 570.31 ლარის ოდენობით. ამასთან, კრედიტორის მოთხოვნის მოცულობა განისაზღვრა 2016 წლის 23 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე ნ. კ-ის მიერ შპს „...ის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის ფინანსური ვალდებულებების შესრულებისათვის გადახდილი თანხების გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2016 წლის 23 ივნისის ხელშეკრულების მოქმედების პირობებში, მესამე პირმა – ნ. კ-მა შპს „...ის“ წინაშე შეასრულა ხელშეკრულების მე-3 პუნქტით აღებული ვალდებულება (მესამე პირი ვალდებული იყო წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყო პირადი თანხების მოძიება და შპს „...ის“ მიმდინარე, გრძელვადიანი და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულება ჯეროვნად. ამასთანავე, უფლებამოსილი იყო მოვალისათვის მოეთხოვა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება) 125 570.31 ლარის ოდენობით, რაზეც არც ერთ მხარეს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ წარმოუდგენია. საყურადღებოა, რომ შპს „...ის“ წინამდებარე დავაში წარმოდგენილი შესაგებლით ადასტურებს ნ. კ-ის წინაშე არსებულ ფინანსურ ვალდებულებას, რაც მოსარჩელე ი. ა-ს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვი-

ნაიდან, 2017 წლის 20 აპრილს, 3 და 4 მაისს გამართულ იძულებით აუქციონებზე კომპანიის კუთვნილი ქონების გასხვისებით მიღებული თანხიდან დაიფარა ამავე კომპანიის ვალდებულება, შპს „...ის“ მიმართ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმდგვარად, რომ აუქციონზე გასხვისებული ქონების საბაზრო ღირებულებას გამოაკლდეს იმ ფინანსური ვალდებულების მოცულობა, რომელიც დაიფარა იძულებითი აუქციონის შედეგად ამონაგები თანხით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა ვლინდება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. საკასაციო პალატა არ არის შებოჭილი ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლოს პროცესუალური როლის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო. მტკიცებულებების გამოკვლევისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე უფლებამოსილი სასამართლო სააპელაციო სასამართლოა. განსახილველ შემთხვევაში, მართალია მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის №SP 161251735/229126 ბრძანებით რესპოდენტ შპს „...ს“ აპლიკანტ ნ. კ-ის მიმართ დაეკისრა დავალიანების გადახდა 125 570.31 ლარის ოდენობით, თუმცა საყურადღებოა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მიერ დადგენილი არ არის შპს „...ის“ მიმართ დაწყებული გამარტივებული წარმოების ფარგლებში ჩატარებულ იძულებით აუქციონებზე კომპანიის კუთვნილი ქონების გასხვისებით მიღებული თანხიდან რა ოდენობა იქნა მიქცეული ნ. კ-ის წინაშე კომპანიის ვალდებულების დასაფარად (მაგ: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია აღსრულების საფასური და ხარჯები). ასევე დადგენილი არ არის შპს „...ის“ კუთვნილი მოძრავი და უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე გასხვისებით ამონაგები თანხის კონკრეტული ოდენობა (მაგ: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 24 აპრილის A17012447-021/001 განკარგულების თანახმად, მოვალე შპს „...ის“ საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №63, ფართი №9 (ს/კ ...), შემძენი, 2017 წლის 20 აპრილს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორი – ნ. კ-ი, რომელმაც

ქონება შეიძინა 124 950 ლარად. ქონების შემძენის მიერ გადახდილი თანხიდან, დამატებული ღირებულების გადასახადს შეადგენს 19 060 ლარი. შემძენმა თანხა გადაიხადა სრულად. ამავდროულად, საქმეში წარმოდგენილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 24 აპრილის A17012447-007/001 წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 30 იანვრის № SP161251735/229126 ქვემდებარე აქტის აღსრულების შედეგად ამოღებული თანხა შეადგენს 113 838,44 ლარს, საიდანაც კრედიტორს გადაერიცხა – 108518,88 ლარი, ხოლო აღსრულების საფასურია – 5319,56 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დაბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკ-

მაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 აპრილის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები

გადანყვანილობა საქართველოს სახელმწიფო

№ბს-760(კ-23)

26 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჩ-ამ 2020 წლის 25 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ და მოსარჩელისათვის უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების გამო მიყენებული მატერიალური ზიანის – 15000 ლარის ოდენობით მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის თანახმად, 2011 წლის 21 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ იქნა განაჩენი, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება გ. ჩ-ასთან; გ. ჩ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვა-

ლისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი. მოსარჩელეს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 15000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 22 სექტემბრის განაჩენით დაკმაყოფილდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორ ფ.ლ-ის შუამდგომლობა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის გამამტყუნებელი განაჩენი და გ.ჩ-ა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მისი, როგორც უკანონოდ მსჯავრდებულის მიერ განაჩენით განსაზღვრული ჯარიმა – 15000 ლარი გადახდილ იქნა 2011 წლის 07 მარტს, თუმცა, მიუხედავად გამამართლებელი განაჩენის არსებობისა, მას აღნიშნული თანხა არ დაბრუნებია, შესაბამისად, სახეზეა მოპასუხის მხრიდან მატერიალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 08 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციულ №3-8207-20 საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაბმულ იქნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით გ.ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევალა მოსარჩელე გ.ჩ-ას სასარგებლოდ, უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების გამო, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება 15000 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა; იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სკ-ის 408.1 მუხ.), ამასთანავე, ზიანის ფულადი ანაზღაურება ხორციელდება იმ შემთხვე-

ვაში, როდესაც ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები (სკ-ის 409-ე მუხ.). 4.2. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ჩ-ამ 2011 წლის 7 მარტს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხა მისთვის სასჯელის სახით დაკისრებული 15000 ლარი, რომელიც დღემდე აღნიშნულ ანგარიშზეა განთავსებული და მოსარჩელეს არ დაბრუნებია, მიუხედავად გამამართლებელი განაჩენის გამოტანისა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე გ. ჩ-ას უკანონოდ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემით და უკანონოდ მსჯავრდებით, ასევე აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის უკანონოდ გამოყენებით მიაღდა მატერიალური ზიანი, რაც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს მისთვის სასჯელის სახით დაკისრებულ 15000 ლარს, რომელსაც იგი ვერ იბრუნებს იმ მიზეზით, რომ არ არსებობს ამის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტები, პირის გამართლებისა და რეაბილიტაციის შემთხვევაში, პირის მიმართ მიყენებული მატერიალური ზიანის სახელმწიფოს მიერ უპირობოდ ანაზღაურებას ითვალისწინებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, როგორი ტექნიკური მიზეზით, თუ რომელი სახელმწიფო დაწესებულების გამო ვერ ხორციელდება პირისათვის განაჩენის საფუძველზე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რეაბილიტირებულ პირს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი ჯარიმა, რადგან მოცემულ შემთხვევაში ეს ჩაითვლება მისთვის მიყენებულ ზიანად, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ცალკეულ მიზეზებზე მითითებით, იგი შეზღუდულია ისარგებლოს მისი კუთვნილი ნივთით – ფულით, ხოლო მოცემული ზიანი გამოწვეულია, მის მიმართ განხორციელებული უკანონო სისხლისამართლებრივი დევნით და უკანონო მსჯავრდებით, რაზეც პასუხისმგებელია მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურა.

აღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი; უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 თებერვლის გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანცი-

ის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონიერად დაავალა საქართველოს გენერალურ პროკურატურას მატერიალური ზიანის სახით 15000 ლარის გადახდა, რამდენადაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 სექტემბრის განჩინება საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა.

კასატორი – საქართველოს გენერალური პროკურატურა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19, 37-ე, 32-ე 268-ე, 274-ე, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 40-ე, 42-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნავს, რომ ზიანის ასანაზღაურებლად პირს ზიანი უნდა მიადგეს ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლის უკანონო და ბრალეული ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, საქართველოს პროკურატურის მხრიდან ამგვარ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სადავო თანხა – 15 000 ლარი მოსარჩელის მიერ შეტანილ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე, რაც დღეის მდგომარეობით კვლავ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზეა განთავსებული, არ მომხდარა გ. ჩ.-ას მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულება ჯარიმის ნაწილში, შესაბამისად მითითებული თანხა არ ჩარიცხულა საქართველოს ბიუჯეტში; კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს იმგვარი მსჯელობა, რომ სისხლის სამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების გამო მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია პროკურატურა, აღნიშნული თანხის დაბრუნება კი სხვადასხვა მიზეზებით ვერ ხერხდება და ამიტომ პროკურატურას დამატებით უნდა დაეკისროს 15 000 ლარი, როგორც მიყენებული მატერიალური ზიანი, უსაფუძვლოა. გარდა ამისა, კასატორი განმარტავს, რომ საქართველოს პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოა, ხო-

ლო სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

კასატორის მითითებით, საქართველოს პროკურატურისთვის ზიანის სახით დაკისრებული თანხა – 15 000 ლარი დღეის მდგომარეობითაც განთავსებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე, აღნიშნული ფაქტი არ უნდა გახდეს პროკურატურისათვის თანხის, როგორც ზიანის დაკისრების საფუძველი, არამედ უნდა განხორციელდეს მისი დაბრუნება ბიუროს შესაბამისი ანგარიშიდან. კასატორს მიაჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა აღნიშნულ დავაში არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს, აღნიშნული თანხის პროკურატურისთვის დაკისრება კი დააზარალებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ვინაიდან მოხდება ბიუჯეტიდან თანხის გადახდა, აღსრულების ეროვნული ბიურო კი ვერანაირი სამართლებრივი საფუძვლით ვერ მოახერხებს ამ თანხის ვერც ბიუჯეტში გადარიცხვას და ვერც მოსარჩელისათვის დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ.ჩ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში სადავო საკითხს წარმოადგენს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოსარჩელისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობების არსებობა/დადგენა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ

ფაქტობრივ გარემოებებზე:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 მარტის განაჩენით გ. ჩ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით სასჯელად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი. მოსარჩელეს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 15000 ლარის ოდენობით. გ. ჩ-ას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო 2010 წლის 6 ივლისიდან 2010 წლის 7 ოქტომბრამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 22 სექტემბრის განაჩენით დაკმაყოფილდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორ – ჯ. ლ-ის შუამდგომლობა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის გამამტყუნებელი განაჩენი და გ. ჩ-ა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში.

გ. ჩ-ამ 2011 წლის 7 მარტს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხა მისთვის სასჯელის სახით დაკისრებული 15000 ლარი. მოსარჩელეს მიერ გადახდილი 15000 ლარი დღემდე არ დაბრუნებულია.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებიერივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით

კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის მოსამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამავ კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანი შესაბამისმა სახელმწიფო დაწესებულებამ უნდა აანაზღაუროს სრულად. ამასთან, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის უნდა დადასტურდეს ნორმატიულად განსაზღვრული შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა: სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლის ქმედების უკანონოობა; პირისთვის ზიანის მიყენება; მიზეზმდევობრივი კავშირის არსებობა დამდგარ შედეგსა და სახელმწიფო ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, ასევე, სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეულობა.

რაც შეეხება უშუალოდ მატერიალურ ზიანს, აღსანიშნავია, რომ ქონებრივი უფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის მოთხოვნათა გათვალისწინებით ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებები აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში, რაც ასევე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, სრულად აუნაზღაუროს პირს უკანონო (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედებით გამოწვეული მატერიალური ზიანი, ასეთის დადასტურების შემთხვევაში. ამავ კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარიყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუ-

ალო შედეგს.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი ფიზიკური პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, ხოლო იმავე კანონის მე-20 მუხლის თანახმად კი, სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე კანონითვე დადგენილი გამოჩაკლისი შემთხვევების გარდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო/ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოწესრიგებისგან განსხვავებული წესი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლით დადგენილი წესისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის კანონიერ ძალაში შესასვლელად საჭირო არ არის მისი გასაჩივრების ვადის გასვლა ან გასაჩივრების შედეგად მისი უცვლელად დატოვება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიეცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე, ხოლო იმავე კოდექსის 280-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად იწერება სააღსრულებო ფურცელი.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მიუხედავად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და მოსარჩელის მიერ ჯარიმის გადახდის ფაქტის არსებობისა, გ.ჩ-ას მიერ ჯარიმის სახით გადახდილი 15000 ლარი კვლავ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზეა განთავსებული და არ მომხდარა მითითებული განაჩენის სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება და გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების და სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის პოზიციას, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა არა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ არსებული დელიქტური ვალდებულება, არამედ მოსარჩელის მიერ გადახდილი ფულადი ჯარიმის სათანადო მოპასუხისგან – სსიპ აღსრულების ბიუროს შესაბამისი ანგარიშიდან თანხის დაბრუნების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე

გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის არსებობა, რომლის აღსასრულებლადაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეტანილ იქნა ჯარიმის თანხა, სადაც განთავსებულია დღემდე, არ მომხდარა განაჩენის აღსრულება და მითითებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა; შესაბამისად, გ.ჩ.-ას მიერ წარდგენილი სარჩელი მიემართება და წარდგენილ უნდა იქნეს არა საქართველოს გენერალური პროკურატურის, არამედ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით.

სწორედ ამიტომ, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სათანადო მოპასუხის ცნობაზე და მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ კასატორმა ქვედა ინსტანციის სასამართლოებში იშუამდგომლა საქართველოს გენერალური პროკურატურის ნაცვლად სათანადო მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართვის თაობაზე, თუმცა მოსარჩელე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო საქმეში ჩაერთო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით; საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოცემული სამართლებრივი ნორმის ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან მოსარჩელემ, მიუხედავად

შუამდგომლობის ქვედა ინსტანციის სასამართლოებში დაყენებისა, უარი განაცხადა საქართველოს გენერალური პროკურატურის ნაცვლად სათანადო მოპასუხედ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართვაზე, აღნიშნული სამართლებრივი გარემოება სარჩელზე უარის თქმის საფუძველია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის ზიანის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. გარდა აღნიშნულისა, კასატორისთვის ზიანის დაკისრების პირობებში, შეუძლებელი გახდება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე განთავსებული 15000 ლარის განკარგვა, ვინაიდან ვერ მოხერხდება ვერც აღნიშნული თანხის მოსარჩელესთვის დაბრუნება და ვერც სახელწმიფო ბიუჯეტში ასახვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მართალია დასაშვებია ზიანის ანაზღაურების სახით განაჩენით განსაზღვრული ჯარიმის თანხის საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის დაკისრება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მითითებული თანხა მიქცეული არის აღსასრულებლად, მოცემულ შემთხვევაში კი დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ.ჩ-ასთვის დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის – 15 000 ლარის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე განთავსებით, მისთვის დაკისრებული დამატებითი სასჯელი არ აღსრულებულა. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ სააღსრულებო წარმოება დღემდე არ არის დასრულებული და მოცემული თანხა განკარგული.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე (საქმე №ბს-900(კ-22)), რომელიც იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება, რაც წარმოდგენილია განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნულ საქმეში სარჩელი აღძრულ იქნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ და კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დაევალა კასატორს მოსარჩელის მიერ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხული (დამატებითი სასჯელის სახით განაჩენით დაკისრებული ჯარიმის – 10 000 ლარის) თანხის უკან დაბრუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ გ.ჩ-ასთვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი დადასტურებულია, მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეში არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს გენერალური პროკურატურა, ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურებუ-

ლია განაჩენის საფუძველზე მოსარჩელის მიერ გადახდილი 15000 ლარის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე არსებობის ფაქტი; აღნიშნული გარემოება კი გამორიცხავს კასატორისთვის – საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობას, საკასაციო პალატის განმარტებით მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით სარჩელი აღძრულ უნდა იქნეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ ქმედების განხორციელების, კერძოდ მის ანგარიშზე განთავსებული და ჯერ კიდევ აღუსრულებელი 15000 ლარის უკან დაბრუნების მოთხოვნით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 სექტემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ჩ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უკანონოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში
მიტანილი და უკანონო მსჯავრდებით მიყენებული
მატერიალური ზიანის ანაზღაურება**

**გადანყვეტილება
საქართველოს სახელმით**

№ბს-685(კ-23)

27 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქ-
მება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ჭ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა (დაზუსტებული მოთხოვნა): ა) მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისროს მოსარჩელე გ. ჭ-ას სასარგებლოდ, 8 თვის განმავლობაში მიუღებელი ხელფასი 5200 ლარის ოდენობით, ასევე გ. ჭ-ას მიერ ძაღლების მოვლისათვის გადახდილი 4000 ლარი; ბ) მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისროს 8 თვის განმავლობაში მიუღებელი სარგებელი 16 000 ლარის ოდენობით; გ) მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისროს მოსარჩელე გ. ჭ-ას მიერ, სს „... ბანკი“ 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული №1044926-10079338 სასესიო ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმის და პირგასამტეხლოს გადახდა, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისთვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით; დ) მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, 2018 წლის 28 სექტემბერს გ. ჭ-ას ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მოსარჩელე 2018 წლის 28 სექტემბრიდან 2019 წლის 3 ივნისამდე იმყო-

ფეხობდა უკანონო პატიმრობაში. 2019 წლის 3 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გ. ჭ-ა ცნო უდანაშაულოდ. ამავე განაჩენით გაუქმდა მოსარჩელის მიმართ გამოყენებული პატიმრობა და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. განაჩენი დარჩა უცვლელი თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. მოსარჩელე იყო თვითდასაქმებული და ჰქონდა ყოველთვიური შემოსავალი ხელფასის სახით, რომელიც ერიცხებოდა ბანკში. 2018 წლის 10 სექტემბერს სს „... ბანკიდან“ გ. ჭ-ამ აიღო სესხი 5000 ლარი, რითაც სურდა გაეკეთებინა რემონტი და გაეხსნა საოჯახო სასტუმრო, საიდანაც ექნებოდა შემოსავალი თვეში 2000 ლარამდე, თუმცა დაკავების გამო ვერ შეძლო აღნიშნულის განხორციელება. 5 თვის განმავლობაში მოსარჩელე ახლობლების დახმარებით ახერხებდა სესხის დაფარვის მიზნით თანხის შეტანას, თუმცა 5 თვის შემდეგ ველარ შეძლო დაფარვა და სესხზე დარიცხულმა ჯარიმამ შეადგინა 4654.88 ლარი. მოსარჩელეს ჰყავს 2 მონადირე ძაღლი და გ. ჭ-ას დაკავების შემდეგ მათი მოვლისთვის საჭირო გახდა მომვლელის მოძიება. ძაღლების მომვლელს გ. ჭ-ა უხდიდა თვეში 500 ლარს, რადგან ძაღლების მოვლას ვერავინ ახერხებდა – მათი აგრესიულობის გამო მათთან მიახლოება მხოლოდ ახლობელ პირებს ან/და სპეციალისტებს შეეძლოთ. მოსარჩელემ 8 თვის განმავლობაში მხოლოდ ძაღლების მოვლისთვის გადაიხადა 4000 ლარი. საპატიმრო დანესებულებაში ყოფნა მოსარჩელისთვის იყო ძლიერი სულიერი ტანჯვისა და ტკივილის მომტანი, რითაც მას მიადგა მორალური ზიანი, რომელიც უნდა ანაზღაურდეს 100000 ლარის ოდენობით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მაისის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა მოსარჩელე გ. ჭ-ას სასარგებლოდ, როგორც რეაბილიტირებული პირისათვის, უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის, უკანონო პატიმრობისა და უკანონო მსჯავრდების გამო მიყენებული მატერიალური ზიანის – მიუღებელი ხელფასის 3833,33 ლარის ოდენობით ანაზღაურება. მოპასუხეს ასევე დაეკისრა გ. ჭ-ას სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით. სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) მოსარჩელე გ. ჭ-ას 2018 წლის 28 სექტემბერს წარედგინა

ბრალდება საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და იმავე დღეს იქნა იგი დაკავებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 1 ოქტომბრის № 10ა/4534-18 განჩინებით, გ. ჭ-ას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა; პატიმრობის ვადის ათვლა დაიწყო დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 28 სექტემბრის 21:55 საათიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 3 ივნისის № 1/5109-18 განაჩენით, გ. ჭ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. გ. ჭ-ას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ამავე განაჩენით განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მოეთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის განაჩენით, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 2 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად. სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის № 127349/24 წერილის თანახმად, გ. ჭ-ა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 1 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე შესახლებულ იქნა №... პენიტენციურ დაწესებულებაში, საიდანაც გათავისუფლდა 2019 წლის 3 ივნისს; ბ) გ. ჭ-ა იყო თვითდასაქმებული და შპს „...ისგან“ სს „... ბანკში“ მას ხელფასის სახით ერიცხებოდა თანხა. წარმოდგენილია სს „... ბანკის“ ამონაწერი ანგარიშიდან, 2016 წლის 13 იანვრიდან 2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით. სს „... ბანკის“ ანგარიშიდან ამონაწერით დგინდება, რომ გ. ჭ-ას შპს „...ისგან“ ხელფასის სახით 2017 წლის 2 ოქტომბერს ჩაერიცხა 300 ლარი, 2017 წლის 16 ოქტომბერს ჩაერიცხა 250 ლარი, 2017 წლის 31 ოქტომბერს ჩაერიცხა 200 ლარი, 2017 წლის 16 ნოემბერს ჩაერიცხა 150 ლარი, 2017 წლის 1 დეკემბერს ჩაერიცხა 200 ლარი, 2017 წლის 25 დეკემბერს ჩაერიცხა 400 ლარი, 2018 წლის 1 იანვარს ჩაერიცხა 200 ლარი, 2018 წლის 30 მარტს ჩაერიცხა 250 ლარი, 2018 წლის 30 აპრილს ჩაერიცხა 725 ლარი, 2018 წლის 1 ივნისს ჩაერიცხა 425 ლარი, 2018 წლის 2 ივლისს ჩაერიცხა 450 ლარი, 2018 წლის 16 ივლისს ჩაერიცხა 550 ლარი, 2018 წლის 31 ივლისს ჩაერიცხა 350 ლარი, 2018 წლის 15 აგვისტოს ჩაერიცხა 300 ლარი, 2018 წლის 24 აგვისტოს ჩაერიცხა 300 ლარი, 2018 წლის 17 სექტემბერს ჩაერიცხა 450 ლარი, 2018 წლის პირველ ოქტომბერს ჩაე-

რიცხა 250 ლარი. აღნიშნული ამონაწერით დგინდება, რომ ერთი წლის ჩარიცხული ხელფასის ჯამი წარმოადგენდა 5750 ლარს, ხოლო საშუალო ერთი თვის ხელფასი – 479,16 ლარს; გ) 2018 წლის 10 სექტემბერს, სს „... ბანკსა“ და გ. ჭ-ას შორის დაიდო №1044926-10079338 სესხის ხელშეკრულება. კრედიტის თანხას წარმოადგენდა 5000 ლარი, კრედიტის დაფარვის ვადას – 978 დღე და ყოველთვიურ შენატანს – 199.32 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, გაცემული სესხის ფიქსირებული პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის იყო ერთჯერადად 20.00 ლარი ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე. სესხის უცხოურ ვალუტაში არსებობისას არაუმეტეს ერთჯერადი 20 ლარის ექვივალენტი შესაბამის ვალუტაში, ხოლო ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის, დავალიანების თანხის 0,5% (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-ისა). 2021 წლის 24 მაისის სს „... ბანკის“ დავალიანების შესახებ ცნობის მიხედვით, №1044926-10079338 სწრაფ სამომხმარებლო სესხზე ჯამურ დავალიანებას შეადგენს 10,986.00 ლარი. 2022 წლის 5 აპრილის სს „... ბანკის“ ...ის №2 სერვისცენტრის მიერ გაცემული №142/103-01 წერილის თანახმად, გ. ჭ-ა 2018 წლის 10 სექტემბრიდან სს „... ბანკში“ ფლობდა სწრაფ სამომხმარებლო სესხს (ხელშ. №1044926-10079338), რომელზეც ფიქსირდებოდა არაჯეროვანი დაფარვები. 2021 წლის სექტემბრის თვიდან, აღნიშნულ ვალდებულებაზე ბანკის გადანყვეტილებით, შეიცვალა კრედიტორი და ვალდებულებაზე მოთხოვნის უფლების დათმობა მოხდა შპს „ფ...ზე“. სესხზე მიმდინარე დავალიანებისა და სხვა დეტალების შესახებ ინფორმაცია გაიცემა ზემოაღნიშნული კომპანიის მიერ. შპს „ფ...ოს“ 2022 წლის 30 აგვისტოს წერილის თანახმად, გ. ჭ-ას უფიქსირდება სასესხო ვალდებულება. ვალდებულების სრული თანხა შეადგენს 11,276.29 ლარს, საიდანაც ძირითადი 4371.07 ლარი, საკომისიო – 10,37 ლარი, პროცენტი – 1319.47 ლარი, ხოლო ჯარიმა – 5575.38 ლარი; დ) 2022 წლის 5 მაისის სასამართლო სხდომაზე, გ. ჭ-ას საქმის განხილვისას მოწმის სახით დაიკითხა გ. რ-ი, რომელმაც განმარტა, რომ გ. ჭ-ას დაპატიმრების შემდეგ მას დაუკავშირდა გ. გ-ა, რომელმაც თვეში 500 ლარის გადახდის სანაცვლოდ სთხოვა მოვლა-პატრონობა გაენია გ. ჭ-ას სახლში მყოფი ორი ძაღლისათვის, რასაც იგი დათანხმდა და 8 თვის განმავლობაში უვლიდა მოსარჩელის ძაღლებს, რისთვისაც მას გადაუხადეს 4000 ლარი.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის, წარდგენილი ბრალდების დაუდასტურებლობის გამო, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, იმთავითვე გულისხმობს პირის სამართლებრივ რეაბილიტაციას და წარმოშობს მის უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი კომპენსა-

ცია. მოსარჩელე გ. ჭ-ა რეაბილიტირებულად ჩაითვალა სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე. გ. ჭ-ას უკანონოდ სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემით და უკანონო მსჯავრდებით მიადგა მატერიალური ზიანი, რის გამოც სარჩელი მიუღებელი ხელფასის სახით 5200 ლარის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ და საქართველოს გენერალური პროკურატურას დავალებოდა მოსარჩელე გ. ჭ-ას სასარგებლოდ, 8 თვის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება 3833,33 ლარის ოდენობით.

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით სასამართლომ განმარტა, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულების განხორციელება სახელმწიფოს ერთ-ერთ სპეციფიკურ ფუნქციას წარმოადგენს და მისი შედეგის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია წინასწარ უცნობ ფაქტობრივ, თუ სამართლებრივ გარემოებებზე. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების საფუძველზე წარმოშობილი უარყოფითი ემოციების, განცდების, თუ სხვა სამართლებრივი შედეგების გარკვეულ წილად თმენის ვალდებულება აქვს ყველას, რაც არ გამოორიცხავს შემდგომ, უკანონო გამართლებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუმცა გავლენას ახდენს მორალური ზიანის ოდენობაზე. სასამართლოს განმარტებით, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში, მოსარჩელე გ. ჭ-ას მიმართ გამოყენებული დაკავების, აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის, ასევე უკანონო ბრალდებისა და აქედან გამომდინარე, მის მიერ განცდილი სტრესის, შიშის და უარყოფითი ემოციების ხარისხის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნილი 100 000 ლარი არ წარმოადგენს გონივრულ ოდენობას, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დავალებოდა მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 8 თვის განმავლობაში მიუღებელი სარგებელის 16 000 ლარის ოდენობით ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ 2018 წლის 10 სექტემბერს სს „... ბანკიდან“ აიღო სესხი 5000 ლარი, რითაც სურვილი ჰქონდა გაეკეთებინა საკუთარ სახლში რემონტი და გაეხსნა საოჯახო სასტუმრო, საიდანაც სისტემატიურად შემოსავალი ექნებოდა, სარგებლის სახით თვეში 2000 ლარამდე, თუმცაღა სესხის აღებიდან 18 დღეში, გ. ჭ-ა დააკავეს და მან ვერ შეძლო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი

მტკიცებულებით არ დასტურდება ზემოაღნიშნული გარემოებები.

სასამართლოს მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა გ. რისათვის ძალების მოვლისათვის გადახდილი 4000 ლარის ანაზღაურების ნაწილში, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა, რომ ძალების მოვლა-პატრონობისათვის გაღებული ხარჯი წარმოადგენს მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს, ვინაიდან, როგორც მოწმის ახსნა-განმარტებით ირკვევა, იგი დაიქირავა და თანხა გადაუხადა მოსარჩელის მეგობარმა.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის სახით საბანკო კრედიტის დარღვევისათვის, სასესიო ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმის და პირგასამტეხლოს გადახდის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, სასამართლომ განმარტა, რომ მოთხოვნილი თანხის მოპასუხისათვის დაკისრების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ამ თანხის კავშირი სისხლისსამართლებრივ დევნასთან. საბანკო კრედიტის გადახდა მხარის მიერ ისეთი სახის გაწეული ხარჯია, რომელიც არ არის კავშირში ბრალდებულის სახით პასუხისგებასა თუ აღკვეთის სახით წინასწარ პატიმრობასთან. პირის მიმართ პატიმრობა იქნებოდა გამოყენებული, თუ პირი საერთოდ არ იქნებოდა პასუხისგებაში მიცემული, აღნიშნული თანხის განწევა ისედაც წარმოადგენს მხარის სამოქალაქო სამართლებრივ ვალდებულებას, ასეთი საკრედიტო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში. კრედიტის მიღების შემთხვევაში პირს ეკისრება ვალდებულება, უკან დაუბრუნოს საბანკო დანესებულებას მიღებული თანხა შესაბამისი პროცენტების გათვალისწინებით. ხელშეკრულების შესრულების რისკის მატარებელია თავად კრედიტის მიმღები. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობის კავშირში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოსარჩელის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა იყო უშუალო და პირდაპირი საფუძველი ამ ხარჯის გაწევისა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. ჭ-ასა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გ. ჭ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მატერიალური ზი-

ანის სახით, ძაღლების მოვლისათვის გაღებული ხარჯისა და სესხის ჯარიმისა და საპროცენტო ვალის საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. გ. ჭ-ას სასარჩელო მოთხოვნები ძაღლების მოვლისათვის გაღებული ხარჯისა და სესხის ჯარიმისა და საპროცენტო ვალის საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის დაკისრების შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის სახით ძაღლების მოვლისათვის გაღებული თანხის – 3 200 ლარის ანაზღაურება. საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის სახით, გ. ჭ-ას მიერ, სს „... ბანკში“ 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებულ № 1044926-10079338 სასესხო ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმისა და საპროცენტო ვალის ანაზღაურება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გ. ჭ-ა გამართლდა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, რაც წარმოადგენს მარეაბილიტირებელ გარემოებას. გამამართლებელი განაჩენი თავის მხრივ განაპირობებს მის უფლებებში აღდგენას, ანუ რეაბილიტაციას. გ. ჭ-ამ პატიმრობაში გაატარა რვა თვეზე მეტი. განსახილველ შემთხვევაში არსებობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კანონით დადგენილი საფუძვლები, კერძოდ, ხელყოფილია მოსარჩელის კონსტიტუციით გარანტირებული ისეთი ძირითადი უფლებები, როგორიცაა პატივი და ღირსება. აღნიშნული სამართლებრივი სიკეთის სპეციფიკიდან და განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონმდებელი მათი ხელყოფისას პირს ანიჭებს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის ცხოვრების პირობებს (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალური სტატუსი, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხს და სხვა გარემოებებს. ვინაიდან, მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების სრული რესტიტუცია, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული უხერხულობის, ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურე-

ბის სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს. დელიქტით გამოწვეული შედეგის გათვალისწინებით, აპელანტის – მოსარჩელე გ. ჭ-ას მიმართ განხორციელებული ქმედებების, პერიოდის, საოჯახო, ყოფითი, მატერიალური და რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, პალატამ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს შედეგი მორალური ზიანის სახით საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 5 000 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

სააპელაციო საჩივრებზე მსჯელობის ფარგლებში პალატა დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შედეგი მატერიალური ზიანის – მიუღებელი ხელფასის 3833,33 ლარის (ერთი თვის საშუალო ხელფასის ოდენობის და პერიოდის გათვალისწინებით ($479,16 \times 8 = 3833,33$)) ოდენობით თანხის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო არ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა და შედეგი ძალლების მოვლისათვის გადახდილი 4 000 ლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

პალატამ ყურადღება გაამახვილა, სააპელაციო სასამართლოს დავალების საფუძველზე წარდგენილ ძალლების პასპორტის ასლებზე, რეგისტრირებული კავშირის „...ის“ გამგეობის თავმჯდომარის მიერ, 2012 წლის 4 მაისს გაცემულ მოწმობაზე და დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ჭ-ას ნამდვილად ჰყავდა 2010 წლის 4 აპრილს დაბადებული ყავისფერ-ჭრელი ძუ კურცჰარი (სახელი – ჯ...). საქმეში წარმოდგენილი ვეტერინარი ექიმის, ვ. ნ-ის, მიერ გაცემული მოწმობით, პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ჭ-ას ჰყავდა 2016 წლის 7 ნოემბერს დაბადებული შავყავისფერი ხვადი იაკტერიერი (სახელი – ბ...). პალატამ მიუთითა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მოწმის სახით გამოკითხული გ. გ-ას იმ განმარტებაზე, რომ გ. ჭ-ა არის მისი მეზობელი, რომელმაც დაკავების შემდგომ გადასცა ბანკიდან სესხის სახით აღებული თანხა და სთხოვა აღნიშნული თანხა გამოეყენებინა ბანკის ყოველთვიური გადასახადის დასაფარად, ასევე ძალლების მოვლისათვის კონკრეტული პირისათვის, კერძოდ, გ. რ-ისთვის გადასაცემად, რომელსაც დაუკავშირდა გ. ჭ-ას სახელით. მოწმე გ. გ-ას განმარტებით, ძალლების მოვლისათვის მის მიერ, რვა თვის განმავლობაში ხელზე გადახდილი იქნა 4 000 ლარი, თითოეულ თვეზე 500 ლარი, რაც გულისხმობდა როგორც ძალლების მოვლა-პატრონობის, ასევე კვების თანხას.

პალატამ მიუთითა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის ნესის პირველ მუხლზე, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, მე-3 მუხლის მე-

2 პუნქტზე და განმარტა, რომ მითითებული რეგულაცია, წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოწმის სახით გამოკითხული პირის ახსნა-განმარტება აქარწყლებს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მსჯელობას ძალების არსებობის სათუოობის თაობაზე და ადასტურებს პატრონიანი სტატუსის მქონე ძალების, რვა თვის განმავლობაში უშუალო მეპატრონის გარეშე დარჩენის ფაქტს. კონკრეტული მოთხოვნის ნაწილში, ძალების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი/მტკიცებულება მოსარჩელე მხარემ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა. მოწმის განმარტებით, ასევე დადასტურდა ხარჯების განევა ძალების მოვლა-პატრონობისათვის. ამდენად, პალატამ მართებულად მიიჩნია ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა მოცემული მოთხოვნა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაკისრებოდა მატერიალური ზიანის სახით ძალების მოვლისათვის გაღებული თანხის – 3 200 ლარის ანაზღაურება, კერძოდ, თითოეულ თვეზე 500 ლარის ნაცვლად 400 ლარის ოდენობით ($400 \times 8 = 3200$), ხოლო 800 ლარის ნაწილში, კერძოდ, თითოეულ თვეზე 100 ლარის ნაწილში უარი ეთქვა. თავისუფლების შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაშიც, მოსარჩელე/აპელანტ გ. ჭ-ას მაინც ექნებოდა ძალების მოვლასთან დაკავშირებული ისეთი ხარჯის განევის საჭიროება, როგორცაა, ძალების კვება. რაც შეეხება, აპელანტ საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის იმ მოსაზრებას, რომ კონკრეტული მტკიცებულებით არ დასტურდება გ. გ-ას მიერ, გ. რ-ისთვის ძალების მოვლისათვის თანხ(ებ)ის გადაცემის ფაქტი, პალატა მიუთითებს მოწმის იმ განმარტებაზე, რომ თანხას გადასცემდა ხელზე და ამდენად, ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის არსებობის მიუხედავად, პალატამ შედეგზე ორიენტირებულად ვერ მიიჩნია საგადასახადო ინფორმაციის გამოთხოვა შემოსავლების სამსახურიდან.

რაც შეეხება აპელანტის (მოსარჩელე) გ. ჭ-ას მოთხოვნას 8 თვის განმავლობაში მიუღებელი სარგებლის 16 000 ლარის ოდენობით თანხის ანაზღაურების ნაწილში, პალატა დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შედეგი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და განმარტა, რომ მიუხედავად იმ გარემოების დადასტურებისა, რომ 2018 წლის 10 სექტემბერს სს „... ბანკიდან“ გ. ჭ-ამ აიღო სესხი 5000 ლარის ოდენობით, რითაც, მხარის განმარტებით, სურვილი ჰქონდა გაეკეთებინა საკუთარ სახლში რემონტი და გაეხსნა საოჯახო სასტუმრო, საიდანაც, როგორც მხარე განმარტავს, სისტემატური შემოსავალი ექნებოდა, სარგებლის სახით თვეში 2 000 ლარამდე, სესხის აღებიდან 18 დღეში დააკავეს და მან ვერ შეძლო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი ვერც ერთი მტკიცებულებით და ვერც სააპელაციო ინსტანციის

სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე ვერ დადასტურდა ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობა, რის გამოც, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო/სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

რაც შეეხება აპელანტის (მოსარჩელე) მოთხოვნას, ზიანის სახით, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისროს, საბანკო კრედიტის დარღვევისათვის, სასესხო ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმის და პირგასამტეხლოს გადახდა, პალატამ აღნიშნა, რომ კრედიტის დროულად გადაუხდელობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის და საპროცენტო ვალის დაკისრება ცალსახად კავშირშია ბრალდებულის სახით პასუხისგებასა და აღკვეთის სახით წინასწარ პატიმრობასთან. პალატა, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძვლად არ მიიჩნევს პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ მსჯელობას, რომ პირის მიმართ პატიმრობა იქნებოდა გამოყენებული, თუ პირი არ იქნებოდა პასუხისგებაში მიცემული, აღნიშნული თანხის გადახდა ისედაც წარმოადგენს მხარის სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებას, ასეთი საკრედიტო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში. მართალია, კრედიტის მიღების შემთხვევაში პირს ეკისრება ვალდებულება, საბანკო დაწესებულებას უკან დაუბრუნოს მიღებული თანხა შესაბამისი პროცენტების გათვალისწინებით, თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია მსჯელობის ის ლოგიკური ჯაჭვი, რომ 2018 წლის 10 სექტემბერს მოსარჩელემ სესხი აიღო გარკვეული მიზნებისთვის და უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის, უკანონო პატიმრობისა და უკანონო მსჯავრდების გამო, 2018 წლის 28 სექტემბრიდან 2019 წლის 3 ივნისამდე იმყოფებოდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში. აღნიშნული კი, ადასტურებს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობის კავშირს უკანონო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან. მოსარჩელის (აპელანტის) მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა იყო უშუალო და პირდაპირი საფუძველი ჯარიმის და საპროცენტო ვალის წარმოშობისა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ.

კასატორი აღნიშნავს, რომ პირს ზიანი უნდა მიაღვეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით. ამასთან, მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ზიანს შორის. ასევე, მოხელის უკანონო ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურეობრივი მდგომარეობიდან და იყოს ბრალეუ-

ლი, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი და უნდა არსებობდეს პირ-დაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, საქართველოს პროკურატურის მხრიდან ამგვარ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია. სისხლის-სამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი წევრების უსაფრთხოების დაცვას. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველზე წარმოშობილი უარყოფითი ემოციების, განცდების თუ სხვა სამართლებრივი შედეგების გარკვეულწილად თმენის ვალდებულება აქვს ყველას. ამასთან, წინასწარ ვერ განისაზღვრება კონკრეტული საქმის შედეგი, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას.

განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ 2018 წლის 28 სექტემბერს გ. ჭ-ას (ნასამართლევ) ბრალი წარედგინა სსკ-ის 151-ე მიუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. 2018 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით ალკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენით გ. ჭ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა. აღნიშნული განაჩენი ძალაში დარჩა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. მიუხედავად პირის გამართლები-სა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებულმა ყველა მოქმედებამ არამართლზომიერი ხასიათი შეიძინა. აღნიშნული არ შეიძლება გაგებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს – პროკურატურის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებად.

კასატორი მიუთითებს, რომ განსახილველი შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული მორალური ზიანის ოდენობა 5000 ლარი შეუსაბამოდ მაღალია და არ გამომდინარეობს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიდან. შესაბამისად, გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და გ. ჭ-ას სრულად უნდა ეთქვას უარი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

კასატორი ასევე არ ეთანხმება სასამართლო გადაწყვეტილებას მატერიალური ზიანის სახით მიუღებელი ხელფასის – 3833.33 ლარის დაკისრების თაობაზე. მითითებული დასკვნა სასამართლომ ისე გააკეთა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა შპს „...თან“ შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულება, ასევე, რა ვადით იყო კონტრაქტი დადებული, რა გახდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი და აღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდებოდა თუ არა შპს

„...თან“ მუშაობის გაგრძელებისა და შემოსავლის მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გარკვეული პერიოდი პირს კონკრეტული ფირმისგან ხელფასი ერიცხებოდა, არ არის იმის დამადასტურებელი, რომ გარკვეული პერიოდის შემდგომ იგი მუშაობას გააგრძელებდა და მიიღებდა შემოსავალს. ასევე არ დასტურდება, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა პროკურატურის ქმედების გამო მოხდა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე დარღვეული იყო შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპები. სასამართლომ აპელანტს (გ. ჭ-ას) თავისი სააპელაციო მოთხოვნის დადასტურების მიზნით შესთავაზა დამატებით მონმისა და მტკიცებულებების წარდგენა. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება 2012 წლის 4 მაისს გაცემულ მონმობასა და ასევე ვეტერინარ, ვ. ნ-ის მიერ გაცემულ მონმობაზე. აღნიშნული დოკუმენტებით არ დგინდება ის ფაქტი, რომ 2018 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით გ. ჭ-ას მითითებული 2 ძალში ისევე ჰყავდა და მათ უვლიდა. დაუსაბუთებელია მონმე გ. გ-ას ჩვენების მოშველიება იმის დამადასტურებლად, რომ გ. ჭ-ამ მას დაუტოვა თანხა, რაც უნდა გადაეხადა ძალის პატრონობისა და კვებისათვის. საქმეში წარმოდგენილი არ არის არც გ. გ-ასთვის ფულის გადახდის/დატოვების ამსახველი დოკუმენტი, არც ძაღლების მომვლელის – გ. რ-ის დაქირავებისა და მისთვის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ გ. ჭ-ას განმარტებით, ძაღლები მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში იმყოფებოდნენ. შესაბამისად, კონკრეტული პირისათვის მათი შესანახად გადაცემა არ მომხდარა. ძაღლების არსებობის პირობებშიც კვებისა თუ სხვა საჭიროებების თანხა გ. ჭ-ას თავისუფლების პირობებშიც სახეზე იქნებოდა. გ. გ-ასთვის უცნობი იყო რამდენი იყო ძაღლის მოვლისათვის გადასახდელი თანხა, ეს იყო ძაღლების კვების თუ ასევე, მოვლის ანაზღაურების თანხა. აღნიშნული ჩვენებები ეწინააღმდეგება გ. რ-ის ჩვენებას, რომელმაც განაცხადა, რომ იგი დაქირავდა მოსარჩელის მეგობარმა. სასამართლოს არ უმსჯელია და არ გამოუკვლევია, შესაძლებელი იყო თუ არა ოჯახის წევრს/მეგობარს ან სხვა პირს ფინანსური ანაზღაურების გარეშე განეხორციელებინა ძაღლების კვება. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ძაღლების მოვლის ხარჯი 3 200 ლარი ნამდვილად განუღო იქნა, აუცილებლობას წარმოადგენდა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების გარეშე ეს ხარჯი არ იქნებოდა გასაწევი.

კასატორი არ იზიარებს მატერიალური ზიანის სახით სს „...ბანკში“ 2018 წლის 10 სექტემბერს დადებულ №1044926-10079338 სასესხო ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმისა და საპროცენტო ვალის ანაზ-

ლაურების დაკისრებას. საბანკო კრედიტის გადახდა მხარის მიერ ისეთი სახის გაწეული ხარჯია, რომელიც არ არის კავშირში ბრალდებულის სახით პასუხისგებასა თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობასთან. პირის მიმართ პატიმრობა იქნებოდა გამოყენებული თუ საერთოდ არ იქნებოდა პასუხისგებაში მიცემული აღნიშნული თანხის გადახდა ისედაც წარმოადგენს მხარის სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებას. კრედიტის მიღების შემთხვევაში პირს ეკისრება ვალდებულება, უკან დაუბრუნოს საბანკო დანესებულებას მიღებული თანხა შესაბამისი პროცენტების გათვალისწინებით. ხელშეკრულების შესრულების რისკის მატარებელია თავად კრედიტის მიმღები. განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობის კავშირი სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობასთან. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ გ. ჭ-ას მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა იყო უშუალო და პირდაპირი საფუძველი ამ ხარჯების გაწევისა. კასატორი ყურადღებას ამახვილებს სს „... ბანკის“ 2019 წლის 23 ივლისის №2353/106-30 წერილზე, რომლის თანახმად გ. ჭ-ას მიმართ 2018 წლის 19 სექტემბრიდან არსებულ სესხზე ვადაგადაცილება ფიქსირდება 2019 წლის მარტიდან და არა 2018 წლის 1 ოქტომბრიდან, როდესაც მისი სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა მოხდა. საგულისხმოა გ. ჭ-ას განმარტება სააპელაციო სასამართლოში სხდომისას, როდესაც მან განაცხადა, რომ გ. გ-ას გადასცა თანხა, მათ შორის, საბანკო კრედიტის გადასახდელად, რაც ასევე დაადასტურა მოწმე გ. გ-ამ და განმარტა, რომ იგი იხდიდა საბანკო კრედიტს. 2019 წლის მარტში გადაუხდელობის მიზეზად მიუთითა ანგარიშზე დადებულ ინკასოზე სხვა ბარათთან დაკავშირებით. შესაბამისად, დგინდება, რომ საბანკო კრედიტის გადახდა ხორციელდებოდა და 2019 წლის მარტში ვადაგადაცილების საფუძველი გახდა არა გ. ჭ-ას პატიმრობაში ყოფნა, არამედ სხვა მიზეზი. შპს „ფ...ოს“ 2022 წლის 30 აგვისტოს №1-57 წერილის თანახმად, მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიზნით კრედიტორის მხრიდან სასამართლოსათვის მიმართვა მოხდა 2022 წლის 27 იანვარს, თუმცა სარჩელი დახარვეზდა. კომპანიის მიერ მოხდება დოკუმენტების გამოთხოვა და ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვა. კომპანიის მხრიდან ზემოაღნიშნული ვალდებულების თაობაზე გამარტივებული წარმოების დაწყების მიზნით აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მიმართვა არ მომხდარა. მითითებული დოკუმენტით ირკვევა, რომ სესხთან დაკავშირებული დავა გადაწყვეტილია. სასამართლოში ხელმეორედ სარჩელი წარდგენილი არ არის 2022 წლის 30 აგვისტოს მდგომარეობით. შესაბამისად, სესხი და მასზე დარიცხული ჯარიმა ხელშეკრულების მხარეებს

შორის სადავოა და სახეზე არ არის დადასტურებული ზიანი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 30 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 1 თებერვლის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის სახით ძაღლების მოვლისათვის გაღებული ხარჯის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება – გ. ჭ-ას სარჩელი საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის სახით ძაღლების მოვლისათვის გაღებული თანხის დაკისრების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასევე, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის სახით, გ. ჭ-ას მიერ, სს „... ბანკში“ 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებულ №1044926-10079338 სესხის ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმისა და საპროცენტო ვალის ანაზღაურება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) მოსარჩელე გ. ჭ-ას 2018 წლის 28 სექტემბერს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და იმავე დღეს იქნა იგი დაკავებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 1 ოქტომბრის №10ა/4534-18 განჩინებით, გ. ჭ-ას მიმართ აღკვეთის ღონის-

ძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა; პატიმრობის ვადის ათ-
ვლა დაიწყო დაკავების მომენტიდან – 2018 წლის 28 სექტემბრის 21:55
საათიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილ-
ვის კოლეგიის 2019 წლის 3 ივნისის №1/5109-18 განაჩენით, გ. ჭ-ა ცნო-
ბილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 151-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. გ. ჭ-
ას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქ-
მდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარ-
ბაზიდან. ამავე განაჩენით განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მოეთხო-
ვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამარ-
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის
განაჩენით, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019
წლის 3 ივნისის განაჩენი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს
2020 წლის 2 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვე-
ბული განსახილველად. სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021
წლის 2 ივნისის №127349/24 წერილის თანახმად, გ. ჭ-ა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს 2018 წლის 1 ოქტომბრის განჩინების საფუძველ-
ზე შესახლებულ იქნა №... პენიტენციურ დაწესებულებაში, საიდანაც
გათავისუფლდა 2019 წლის 3 ივნისს; ბ) გ. ჭ-ას შპს „...ისგან“ სს „... ბან-
კში“ ხელფასის სახით ერიცხებოდა თანხა. სს „... ბანკის“ ანგარიშიდან
ამონაწერით დგინდება, რომ გ. ჭ-ას შპს „...ისგან“ ხელფასის სახით 2017
წლის 2 ოქტომბერს ჩაერიცხა 300 ლარი, 2017 წლის 16 ოქტომბერს –
250 ლარი, 2017 წლის 31 ოქტომბერს – 200 ლარი, 2017 წლის 16 ნოემ-
ბერს – 150 ლარი, 2017 წლის 1 დეკემბერს – 200 ლარი, 2017 წლის 25
დეკემბერს – 400 ლარი, 2018 წლის იანვარში – 200 ლარი, 2018 წლის 30
მარტს – 250 ლარი, 2018 წლის 30 აპრილს – 725 ლარი, 2018 წლის 1
ივნისს – 425 ლარი, 2018 წლის 2 ივლისს – 450 ლარი, 2018 წლის 16
ივლისს – 550 ლარი, 2018 წლის 31 ივლისს – 350 ლარი, 2018 წლის 15
აგვისტოს – 300 ლარი, 2018 წლის 24 აგვისტოს – 300 ლარი, 2018 წლის
17 სექტემბერს – 450 ლარი, 2018 წლის პირველ ოქტომბერს – 250 ლა-
რი. შესაბამისად, ერთი წლის ჩარიცხული ხელფასის ჯამი წარმოადგენ-
და 5750 ლარს, ხოლო საშუალო ერთი თვის ხელფასი – 479,16 ლარს; გ)
2018 წლის 10 სექტემბერს, სს „... ბანკსა“ და გ. ჭ-ას შორის დაიდო
№1044926-10079338 სესხის ხელშეკრულება. კრედიტის თანხას წარ-
მოადგენდა 5000 ლარი, კრედიტის დაფარვის ვადას – 978 დღე და ყო-
ველთვიურ შენატანს – 199.32 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, გა-
ცემული სესხის ფიქსირებული პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის
იყო ერთჯერადად 20.00 ლარი ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამ-
დე, სესხის უცხოურ ვალუტაში არსებობისას არაუმეტეს ერთჯერადი

20 ლარის ექვივალენტი შესაბამის ვალუტაში, ხოლო ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის, დავალიანების თანხის 0,5% (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-ისა). 2021 წლის 24 მაისის სს „... ბანკის“ დავალიანების შესახებ ცნობის მიხედვით, №1044926-10079338 სწრაფ სამომხმარებლო სესხზე ჯამურ დავალიანებას შეადგენს 10,986.00 ლარი. 2022 წლის 5 აპრილის სს „... ბანკის“ ...ის №2 სერვისცენტრის მიერ გაცემული №142/103-01 წერილის თანახმად, გ. ჭ-ა 2018 წლის 10 სექტემბრიდან სს „... ბანკში“ ფლობდა სწრაფ სამომხმარებლო სესხს (ხელშ. №1044926-10079338), რომელზეც ფიქსირდებოდა არაჯეროვანი დაფარვები. 2021 წლის სექტემბრის თვიდან, აღნიშნულ ვალდებულებაზე ბანკის გადაწყვეტილებით, შეიცვალა კრედიტორი და ვალდებულებაზე მოთხოვნის უფლების დათმობა მოხდა შპს „ფ... ზე“. შპს „ფ...ოს“ 2022 წლის 30 აგვისტოს წერილის თანახმად, გ. ჭ-ას უფიქსირდება სასესხო ვალდებულება. ვალდებულების სრული თანხა შეადგენს 11,276.29 ლარს, საიდანაც ძირია 4371.07 ლარი, საკომისიო – 10,37 ლარი, პროცენტი – 1319.47 ლარი, ხოლო ჯარიმა – 5575.38 ლარი; დ) განსახილველ საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა გ. რ-ი, რომელმაც განმარტა, რომ გ. ჭ-ას დაპატიმრების შემდეგ მას დაუკავშირდა გ. გ-ა, რომელმაც თვეში 500 ლარის გადახდის სანაცვლოდ სთხოვა მოვლა-პატრონობა გაენია გ. ჭ-ას სახლში მყოფი ორი ძაღლისათვის, რასაც იგი დათანხმდა და 8 თვის განმავლობაში უფლიდა მოსარჩელის ძაღლებს, რისთვისაც მას გადაუხადეს 4000 ლარი (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 მაისის სხდომის ოქმი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ხაზს უსვამს ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ნორმა კონკრეტულად შეეხება უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდული პირის უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კონსტიტუციის მე-13 მუხლთან კავშირშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი, რომლითაც აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ყველა მსხვერპლს,

ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება.

ამდენად, სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება ალიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 5.5 მუხლით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. ამასთან, კოდექსის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული... (სუს 10.04.2014წ. №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება).

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამ-

დგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახუროდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე, კერძოდ, 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. მნიშვნელოვანია, რომ 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე უნდა იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტებიდან გამომდინარე, „...პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს..“ (სუს 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება და სხვ.).

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 3 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც გ. ჭა-ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, წარმოადგენს მისი რეაბილიტაციის საფუძველს. განაჩენით უტყუარად დასტურდება დანაშაულის ჩადენის ფაქტის არარსებობა, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიმართ ფორმალურად კანონიერად გამოყენებული ზემოქმედების ღონისძიებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზ-

ნებისთვის, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზიანი ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმეების მწარმოებელ ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე. „...ამ მუხლის მიზნებისათვის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა და შესაბამისი ქმედების უკანონობის დადგენა. ამ შემთხვევაში, რელევანტურია, დადგინდეს პირობა, ურომლისოდაც ზიანის გამომწვევი შედეგი არ დადგებოდა. შეფასების საგანს სცილდება ბრალეული მიზეზობრიობის (კონკრეტული პირის ბრალეული ქმედების არსებობის) დადგენა, რამაც გამოიწვია ზიანი. ბრალი არ წარმოადგენს უკანონო ბრალდების/მსჯავრდების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობას..“ (სუს 2021 წლის 27 მაისის №ბს-222(კ-კს-20) გადაწყვეტილება). „...დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992-ე, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში..“ (სუს 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს: (1) მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისროს მოსარჩელე გ. ჭ-ას სასარგებლოდ, 8 თვის განმავლობაში მიუღებელი ხელფასი 5200 ლარის ოდენობით, ასევე გ. ჭ-ას მიერ ძაღლების მოვლისათვის გადახდილი 4000 ლარი; (2) მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისროს 8 თვის განმავლობაში მიუღებელი სარგებელი 16 000 ლარის ოდენობით; (3) მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისროს მოსარჩელე გ. ჭ-ას მიერ, სს „...ბანკში“ 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული №1044926-10079338 სეს-

ხის ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმის და პირგასამტეხლოს გადახდა, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისთვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით; (4) მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გ. ჭ-ას საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში და საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მოცემულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლებსა და ასეთის არსებობის შემთხვევაში მორალური ზიანის ოდენობაზე.

პალატა განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამ, შესაბამისი საპროცესო ღონისძიებების გამოყენებამ, შესაძლოა წარმოშვას ნეგატიური განცდები, სტრესული მდგომარეობა, რეპუტაციის შელახვის საფრთხე. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ამგვარი განცდებით გამოწვეული მორალური ზიანის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონანსნორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, ასანაზღაურებელი მორალური ზიანის მოცულობა სასამართლომ უნდა განსაზღვროს გონივრულად და სამართლიანად. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპი-

რობების არსებობისას, წარმოიშობა შესაბამისი პირის მიმართ გამოყენებული სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების შინაარსის, მისი ხასიათის და სიმძიმის კვლევის ვალდებულება, იმ მიზნით, რომ არაქონებრივი ზიანის მოცულობასთან დაკავშირებული დასკვნა არ გასცდეს გონივრულობის ფარგლებს. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო კოდექსი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ადგენს კანონით მხოლოდ პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (413-ე მუხლი). თავის მხრივ, კანონით გათვალისწინებული შემთხვევები შეიძლება უკავშირდებოდეს პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და სხვა.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ გ. ჭ-ა პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა 2018 წლის 28 სექტემბრიდან 2019 წლის 3 ივნისამდე. საკასაციო პალატა ასევე მხედველობაში იღებს მოსარჩელის მიმართ წარდგენილი ბრალდების არსს, სიმძიმეს, მის გავლენას და მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის განსაზღვრა 5000 ლარის ოდენობით შესაბამისობაშია გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპთან.

მატერიალური ზიანის სახით მიუღებელი ხელფასის 3833.33 ლარის დაკისრების ნაწილში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გ. ჭ-ას შპს „...ისგან“ საბანკო ანგარიშზე ხელფასის სახით ერიცხებოდა თანხა. საბანკო ანგარიშიდან ამონაწერით დადგენილია, რომ მოსარჩელის დაკავებამდე ბოლო ერთი წლის პერიოდზე მის ყოველთვიურ საშუალო ხელფასს წარმოადგენდა 479.16 ლარი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა 8 თვის განმავლობაში, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ უკანონოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემით და უკანონო მსჯავრდებით გ. ჭ-ას მიადგა მატერიალური ზიანი მიუღებელი ხელფასის სახით 3833.33 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის სახით ძალღების მოვლაზე განეული ხარჯის დაკისრებას, აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძვლად სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს რეგისტრირებული კავშირი „...ის“ გამგეობის თავმჯდომარისა და ვეტერინარის მიერ გაცემულ მონმობებს, ასევე მონმეთა ჩვენებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-

17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთს ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს, თუმცა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მეორე მხარე არ თავისუფლდება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულებებისაგან, რომლებზეც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას თუ შესაგებელს. ამდენად, კანონის მითითებული დანაწესი მოსარჩელეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, ამტკიცოს მის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა/კანონშესაბამისობა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადანყევტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადანყევტების მიღება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებს, რომ ჰყავს 2 მონადირე ძაღლი და მისი დაკავების შემდეგ ძაღლების მოვლის მიზნით თანხას უხდიდა გ. რ-ს. აღნიშნული თანხის გადახდას გ. რ-ისთვის ახდენდა გ. გ-ა, რომელსაც ეს თანხა, თავის მხრივ, მიღებული ჰქონდა მოსარჩელისაგან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობა, არ ნიშნავს, რომ მოსარჩელე თავისუფლდება ვალდებულებისაგან ამტკიცოს მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი და ზიანის ოდენობა. მოსარჩელე არა მხოლოდ ვალდებულია მიუთითოს, რომ მას მიადგა ზიანი, არამედ ვალდებულია სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს, რომ ზიანი გამოწვეულია სწორედ სისხლის სამართლის საქმეზე იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი (დღეისათვის მოქმედი რედაქცია მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი) ზარალის ანაზღაურების უფლებას რამ-

დენიმი წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი. შესაბამისად, ზიანის არსებობის ფაქტის და ზიანის ოდენობის დადასტურების ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრება. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, ისე მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისი ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ, გარდა იმისა, რომ ვერ შეძლო დაედასტურებინა, ძალების მოვლისათვის ხარჯის გაწევის აუცილებლობა, ამასთან, ვერ წარმოადგინა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მისი მოთხოვნა ემყარება უკანონო მსჯავრდებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას, თუმცა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო იმგვარი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც ძალების მოვლაზე გაწეული ხარჯების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას განაპირობებდა. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ პირთა ჩვენებები არ არის ის უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დელიქტის არსებობასა და ზიანის ოდენობას ადგენს. მოწმის სახით დაკითხული გ. გ-ასა და გ. რ-ის ჩვენებები არ წარმოადგენს ძალების მოვლაზე ხარჯის გაწევის დამადასტურებელ საკმარის და უტყუარ მტკიცებულებას. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული ხარჯების საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის დაკისრების საფუძვლები.

რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის გ. ჭ-ას სასარგებლოდ მატე-

რიალური ზიანის სახით, გ. ჭ-ას მიერ, სს „... ბანკში“ 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებულ № 1044926- 10079338 სესხის ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმისა და საპროცენტო ვალის ანაზღაურების დაკისრებას, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელის მიერ ფორმულირებული იყო შემდეგი სახით: მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისროს მოსარჩელე გ. ჭ-ას მიერ, სს „... ბანკში“ 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული № 1044926- 10079338 სესხის ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმის და პირგასამტეხლოს გადახდა, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისთვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამომწებებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მიხედვით, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო ემსჯელა მოპასუხისათვის მხოლოდ პირგასამტეხლოს (ჯარიმის) და არა საპროცენტო ვალის დაკისრების საფუძვლიანობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნიდან გამომდინარე შედეგთან. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს, რამდენად არის დაკავშირებული გ. ჭ-ას მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა 2018 წლის 10 სექტემბერს გ. ჭ-ასა და სს „... ბანკს“ შორის დადებული № 1044926- 10079338 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპროცენტო ვალის წარმოშობასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გაცემაში აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პროცენტი არის პერიოდული საზღაური სხვისი ფულადი კაპიტალით სარგებლობისათვის ანუ ეს არის კომპენსაცია ფულადი საშუალების „დროებითი“ დაკავებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში 2018 წლის 10 სექტემბერს გ. ჭ-ასა და სს „...

ბანკს“ შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №1044926-10079338, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ საპროცენტო განაკვეთზე წლიური 17%-ის ოდენობით. მითითებული საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს ერთგვარ საზღაურს სესხით სარგებლობისათვის, რომლის გადახდაც არ უკავშირდება მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევას. შესაბამისად, აღნიშნული თანხის მოპასუხეზე დაკისრების შემთხვევაში შეფასებულ უნდა იქნეს იყო თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა აღნიშნული ვალის წარმოშობის უშუალო და პირდაპირი საფუძველი.

რაც შეეხება ჯარიმის (პირგასამტეხლოს) დაკისრების საფუძველიანობას, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლოს არსი მის საჯარიმო (სანქციურებით) ხასიათში ვლინდება. მისი გამოყენება ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება მოაზრებულია მხოლოდ ძირითადი ან/და დამატებითი ვალდებულების შესრულების დარღვევისას. პირგასამტეხლო შეიძლება განისაზღვროს როგორც ჯარიმის (განსაზღვრული ფულადი თანხის), ისე საურავის სახით (ვადაგადაცდენილი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა) (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ს. ჯორბენაძე, მუხლი 417).

დადგენილია, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულება გ. ჭ-ას მიერ გაფორმებულ იქნა 2018 წლის 10 სექტემბერს, ხოლო მოსარჩელე პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა 2018 წლის 28 სექტემბრიდან 2019 წლის 3 ივნისამდე. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების თანახმად, №1044926-10079338 სესხზე 2019 წლის 15 მარტიდან ფიქსირდება ვადაგადაცილება (იხ. სს „... ბანკის“ 2019 წლის 23 ივლისის №2353/106-30 წერილი, რომლის თანახმად გ. ჭ-ას მიმართ 2018 წლის 19 სექტემბრიდან არსებულ სესხზე ვადაგადაცილება ფიქსირდება 2019 წლის 15 მარტიდან). საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით მოპასუხისათვის ზიანის სახით პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველების არსებობის შესახებ და განმარტავს, რომ პირველ რიგში უნდა დადგინდეს და შეფასება მიეცეს პირგასამტეხლოს გადახდის წარმოშობის პერიოდს, ხოლო შემდეგ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიმართ გამოყენებული პატიმრობა გაუქმდა 2019 წლის 3 ივნისს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის სახით ძაღლების მოვლისათვის გაღებული ხარჯის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება – გ. ჭ-ას სარჩელი საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის სახით ძაღლების მოვლისათვის გაღებული თანხის დაკისრების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასევე, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის სახით, გ. ჭ-ას მიერ, სს „... ბანკში“ 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებულ №1044926-10079338 სესხის ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმისა და საპროცენტო ვალის ანაზღაურება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 412-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის სახით ძაღლების მოვლისათვის გაღებული ხარჯის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

2.1. გ. ჭ-ას სარჩელი საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის სახით ძაღლების მოვლისათვის გაღებული თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ჭ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის სახით, გ. ჭ-ას მიერ, სს „... ბანკში“ 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებულ №1044926-

10079338 სესხის ხელშეკრულებაზე დარიცხული ჯარიმისა და საპროცენტო ვალის ანაზღაურება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გამამართლებელი განაჩენიდან გამომდინარე
პროკურატურისთვის მორალური და მატერიალური ზიანის
ანაზღაურება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1277(2კ-22

27 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ქ. ცინცაძე,

გ. მაკარიძე

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 1 ივნისს ნ. ჯ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ და სარჩელის დაზუსტების შემდგომ მოითხოვა: მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე – ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მატერიალური ზიანის ანაზღაურება 30 339.27 (ოცდაათი ათას სამას ოცდაცხრამეტი ლარი და ოცდაშვიდი თეთრი) ლარის ოდენობით (საადვოკატო და საექსპერტო მომსახურების ხარჯი – 16 976 ლარი; საპროცენტო ხარჯი (საადვოკატო, საექსპერტო და გირაოსთვის გადახდილ თანხებზე გადახდილი პროცენტი) – 10 300.47 ლარი; სწავლის საფასური –

450 ლარი; მგზავრობის ხარჯი – 2 612.80 ლარი), მისი უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის გამო. ასევე, მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე – ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 7 200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით, მისი უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლის 20 მარტს დაკავებული იქნა ნ. ჯ-ე და წარედგინა ბრალი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, მას ბრალი დაედო იმაში, რომ ქ. თბილისში, ...ის მ/რაიონში, ...ის ქუჩა №48-ში მდებარე სს ... „...“ 2017 წლის 19 მარტს, დაახლოებით 00:15 საათზე, ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, მეტალის წვეტიანი საგნის დემონსტრირებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, თავს დაესხა აღნიშნული ...ის თანამშრომლებს, რა დროსაც დაეუფლა ...ის კუთვნილ ფულად თანხას – 175 ლარის ოდენობით. მისივე განმარტებით, მართალია 2017 წლის 23 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიამ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა ბრალდებულ ნ. ჯ-ისათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შესახებ და პროკურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის ნაცვლად, აღკვეთის ღონისძიების სახით მას 10 000 (ათი ათასი) ლარიანი გირაო შეუფარდა, მაგრამ აღნიშნული გირაოს გადახდისა და 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე პროცედურების გამო, ნ. ჯ-ემ განიცადა მატერიალური და მორალური ზიანი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის განაჩენით, ნ. ჯ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის წარდგენილ ბრალდებაში. აღნიშნული განაჩენი ბრალდების მხარეს არ გაუსაჩივრებია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 აპრილის განჩინებით, საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით, 1. ნ. ჯ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 2. მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე – ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა

მატერიალური ზიანის ანაზღაურება 13 976 (ცამეტი ათას ცხრაას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით (საექსპერტო მომსახურების ხარჯი – 4 300 ლარი, სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლის ხარჯი – 9 676 ლარი); 3. მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე – ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით; 4. მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე – ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 23 მარტის განჩინებით (საქმე №10ა-1347), ბრალდებულ ნ. ჯ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო, გირაოს თანხად განისაზღვრა 10 000 (ათი ათასი) ლარი. გირაოს თანხა გადახდილი იქნა სრულად, ნ. ჯ-ის მამის – გ. ჯ-ის მიერ 2017 წლის 23 მარტს, ...ის მეშვეობით. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 25 აპრილის განაჩენით (საქმე №1/1919-17), ნ. ჯ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ამავდროულად, გამართლებულ ნ. ჯ-ეს განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების შესახებ.

სასამართლოს მიერ ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2017 წლის 27 მარტს ერთი მხრივ, გ. ჯ-ის („კლიენტი“) და მეორე მხრივ, ადვოკატ გ. ნ-ს (ადვოკატი) შორის დაიდო ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის თანახმად, იურიდიული მომსახურების გაწევის საგანს წარმოადგენდა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა საგამოძიებო ორგანოებში და სასამართლო ინსტანციაში მისი შვილის, ბრალდებულ ნ. ჯ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. იურიდიული მომსახურების საფასური (ჰონორარი) კი წარმოადგენდა 3 450 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. სასამართლოს მითითებით, საქმეში ასევე წარმოდგენილია საადვოკატო მომსახურების ღირებულების ეტაპობრივად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ: 1. სს „...ის“ 28/03/2017 წლის №5127679158 შემოსავლის ორდერის თანახმად, საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილია 2 500 ლარი; 2. სს „...ის“ 01/05/2017 წლის №... საგადასახადო დავალების თანახმად, საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილია 1 221 ლარი; 3. სს „...ის“ 01/05/2017 წლის №5128973950 შემოსავლის ორდერის თანახმად, საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილია 1

000 ლარი; 4. სს „...ის“ 29/05/2017 წლის №5130050108 შემოსავლის ორდერის თანახმად, საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილია 2 430 ლარი; 5. სს „...ის“ 23/12/2017 წლის №5137978676 შემოსავლის ორდერის თანახმად, საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილია 1 525 ლარი; 6. სს „...ის“ 01/05/2018 წლის №5142610174 შემოსავლის ორდერის თანახმად, საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილია 1 000 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია 2017 წლის 24 აპრილის ხელშეკრულება №04/11, რომლის თანახმად, ერთი მხრივ, შპს ... „...“ („ცენტრი“) და მეორე მხრივ, გ. ჯ-ე („მხარე“) შეთანხმდნენ, რომ „ცენტრი“ „მხარის“ დაკვეთით ასრულებდა კომპლექსურ სასამართლო სამედიცინო და ტექნიკურ ექსპერტიზას №... სისხლის სამართლის საქმეზე (ბრალდებული ნ. ჯ-ე). ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება მთლიანად შეადგენდა 4 300 (ოთხი ათას სამას) ლარს, საიდანაც ტექნიკური ექსპერტიზის ღირებულება იყო 3 000 (სამი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის – 1 300 (ათას სამასი) ლარი. სასამართლოს მითითებით, საქმეში ასევე წარმოდგენილია სს „...ის“ 26/04/2017 წლის №1604273298 სალაროს შემოსავლის ორდერი, საიდანაც ირკვევა, რომ გ. ჯ-ის მიერ შპს ... „...სთვის“ გადახდილია №04/11 ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელი ექსპერტიზის თანხა 3 100 ლარის ოდენობით, ხოლო 02/10/2017 წლის №01/1017 სალაროს შემოსავლის ორდერის თანახმად, 1 200 ლარის ოდენობით (ჯამში 4 300 ლარი).

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილებაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 1005-ე მუხლებზე, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებებზე (საქმე №ბს-648-623(2კ-13), 10.04.2014წ.; №ბს-52-47(კ-13), 23.07.2013წ.) და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებაზე (საქმეზე №3გ-ად-329-კ-02(24.03.2003წ.)), უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებებზე (№ბს-972-936(3კ-08), 08.04.2009წ.; №ბს-648-

623(2კ-13), 10.04.2014წ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე მუხლებზე და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის, პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. გამამართლებელი განაჩენის არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლოს ეს აქტი ეხება სწორედ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. მოქმედი კანონმდებლობით არსებობს გამართლებული პირის უფლების დაცვის მექანიზმი და გამართლებულ პირს შეუძლია აღიდგინოს დარღვეული უფლებები. კერძოდ, გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით. გამართლებულ პირს, რომელსაც გამამართლებელი განაჩენით შეეზღუდა უფლებები, შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს განაჩენით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებაზე (რამიშვილი და კოხრიძე საქართველოს წინააღმდეგ) მითითებით აღნიშნა, რომ ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა. აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთი მხრივ, შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება მისი ნატურით ან მაშინ, როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამასთან, მხარემ სათანადო მტკიცებულებებით უტყუარად უნდა დაადასტუროს გაწეული ხარჯები, სამომავლოდ გასაწევი ხარჯების აუცილებლობა და ოდენობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ვერ დაკმაყოფილდება და ვერ დაეფუძნება ხარჯების სავარაუდო ოდენობას.

სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც იგი ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს

მიერ უნდა გადაწყდეს. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოსარჩელე ნ. ჯ-ეს უნდა აუნაზღაურდეს მორალური ზიანის სახით 3 000 (სამი ათასი) ლარი.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მატერიალური ზიანის სახით ითხოვს საადვოკატო და საექსპერტო მომსახურების თანხის ანაზღაურებას – 16 976 ლარის ოდენობით, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში წარმომადგენლის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც შეადგენს 3 000 ლარს, თუმცა სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ვერ იქნება განხილული მატერიალური ზიანის ფარგლებში და ამ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისთვის გაწეულ ხარჯზე სასამართლო იმსჯელებს საპროცესო ხარჯების ნაწილში, რაც შეეხება დანარჩენ 13 976 ლარს (16 976-3 000), სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. სასამართლომ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, აღნიშნა, რომ მხარისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი, რომლის არსებობა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და ზიანის წარმოქმნას შორის დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით, ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას, რადგან ზიანის ანაზღაურების მთავარ მიზანს წარმოადგენს მიყენებული დანაკლისის გამოსწორება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნია, რომ ნ. ჯ-ის მიერ სამართლებრივი პროცედურების დაწყებისა და საექსპერტო ხარჯების გაწევის საფუძველი გახდა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება. შესაბამისად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს შორის, რაც გამოიხატა ნ. ჯ-ის მიერ დამატებითი ხარჯების გაწევაში, საადვოკატო მომსახურების მიღებისა და საექსპერტო მომსახურების მიზნით. ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 13 976 (ცამეტი ათას ცხრაას სამოცდათექვსმეტი) ლარის ანაზღაურება ($9\,676 + 4\,300 = 13\,976$).

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ მატერიალური ზიანის სახით ნ. ჯ-ე ასევე ითხოვს საპროცენტო ხარჯის (საადვოკატო, საექსპერტო და გირაოსთვის გადახდილ თანხებზე გადახდილი პროცენტი) ანაზღაურებას 10 300.47 ლარის ოდენობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში სარჩელი იყო უსაფუძვლო. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარე უთითებს, რომ 2017 წლის 21 აპრილს, ნ. ჯ-ის მამამ – გ. ჯ-ემ, ...იდან მიიღო იპოთეკური სესხი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 13.4%. სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაოს, ადვოკატებისა და ექსპერტების მომსახურების ხარჯების დასაფარად გაცემული სესხის თანხაზე გადახდილმა პროცენტმა კი 20.05.2021 წლის მდგომარეობით შეადგინა 10 300.47 ლარი. სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია და განმარტა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომელიც აღნიშნული სესხის მიზნობრიობას დაადასტურებს, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ნ. ჯ-ის მამის – გ. ჯ-ის სახელზე სასამართლოს განჩინებამდე და ზოგადად, ნ. ჯ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებამდეც არსებობდა იპოთეკური სესხი. ამასთან, სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაო და ადვოკატის მომსახურების ხარჯის ნაწილიც სესხის აღებამდე იქნა გადახდილი. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ ნ. ჯ-ის ოჯახის მიერ იპოთეკური სესხები სწორედ მის საქმეზე სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაოს, ადვოკატებისა და ექსპერტების მომსახურების ხარჯების დასაფარად იყო აღებული, ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ.

სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო წარმოებისას მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევას, შესწავლასა და შეფასებას. მიუთითებს რა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე, მხარემ უნდა წარადგინოს შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მტკიცებულებას შეიძლება წარმოადგენდეს მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, ფაქტების კონსტატაციის მასალები, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტთა დასკვნები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით ცალსახადაა განსაზღვრული, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში მხარემ ვერ უზრუნველყო იპოთეკური სესხის მიზნობრიობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, შესაბამისად, ვერც აღნიშნულ სესხზე გადახდილი პროცენტი იქნება მიჩნეული საფუძვლიანად. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი ეფუძნება საქმეში არსებულ მტკი-

ცებულებებს და იგი შეზღუდულია, რომ დაეყრდნოს მხოლოდ ერთი, დაინტერესებული მხარის ახსნა-განმარტებას. შესაბამისად, ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ მატერიალური ზიანის სახით ნ. ჯ-ე ასევე ითხოვს სწავლის საფასურის ანაზღაურებას – 450 ლარის ოდენობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში სარჩელი იყო უსაფუძვლო. სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია შპს „...ის“ მიერ გაცემული ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ ნ. ჯ-ის მე-5 და მე-6 სემესტრის დავალიანება შეადგენს 450 ლარს (225+225). მოსარჩელე მხარე უთითებს, რომ ნ. ჯ-ემ უკანონო დევნის გამო ვერ შეძლო 2018-2019 წლის მე-5 და მე-6 სემესტრის სასწავლო პროგრამის დაძლევა. აღნიშნული პერიოდის სწავლის საფასურმა კი შეადგინა 450 (225+225) ლარი. სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ნ. ჯ-ეს თავისუფლება შეზღუდული არ ჰქონია, ვინაიდან მას თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 23 მარტის განჩინებით (საქმე № 10ა-1347), აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო. შესაბამისად, სასამართლოსთვის გაუგებარია რა კავშირი აქვს ნ. ჯ-ის მიმართ დაწყებულ სისხლის-სამართლებრივ დევნას მის მიერ 2018-2019 წლის მე-5 და მე-6 სემესტრის სასწავლო პროგრამის ვერ დაძლევასთან. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების (მტკიცების საგანი), ასევე მათი დამტკიცების ტვირთი (მტკიცების ტვირთი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ვალდებული იყო მიეთითებინა და სარწმუნოდ დაემტკიცებინა, რომ მის მიერ 2018-2019 წლის მე-5 და მე-6 სემესტრის სასწავლო პროგრამის დაუძლევლობა გამოწვეული იყო მოპასუხის ქმედებით, რაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით არ დასტურდება. შესაბამისად, ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას ასევე წარმოადგენს მატერიალური ზიანის სახით მოპასუხისთვის მგზავრობის ხარჯის ანაზღაურება – 2 612.80 ლარის ოდენობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში სარჩელი იყო უსაფუძვლო. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარე უთითებს, რომ ნ. ჯ-ე უკანონო დევნის გამო 26 თვის განმავლობაში კვირაში ერთხელ ცხადდებოდა პრობაციის ეროვნულ ბიუროში. სულ 19 104-ჯერ გამოცხადდა პრობაციაში, ერთი მიმართულებით გადაადგილების საშუალო ხარჯი შეადგენდა 7 ლარს, რამაც ჯამში შეადგინა 1 456 ($14 \times 104 = 1456$) ლარი. მისივე განმარტებით, სასამართლოში ის გამოცხადდა 42-ჯერ. ერთი მიმართუ-

ლებით გადაადგილების საშუალო ხარჯი შეადგენდა 11.60 ლარს, სულ ხარჯმა შეადგინა 974.40 ($23.20 \times 42 = 974.40$) ლარი. პოლიციაში გამოცხადდა 12-ჯერ, ერთი მიმართულებით გადაადგილების საშუალო ხარჯი შეადგენდა 7.60 ლარს, სულ ხარჯმა შეადგინა 182.40 ($15.20 \times 12 = 182.40$) ლარი. ამასთან, მგზავრობის საშუალო ღირებულების დასადგენად მოსარჩელეს გამოყენებული აქვს „...ის“ ეკონომ პაკეტით მგზავრობის ტარიფი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ნ. ჯ-ე ნამდვილად სარგებლობდა ტაქსით, ყოველ ჯერზე იხდიდა მის მიერ მითითებულ თანხას და გადაადგილებაში დახარჯული აქვს 2 612.80 ლარი. შესაბამისად, საქმეში მტკიცებულებების არარსებობის გამო, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნულ ნაწილში დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეულ ხარჯთან დაკავშირებით, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილია 2021 წლის 20 მაისს ნ. ჯ-ესა და გ. ნ-ს შორის დადებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის თანახმად, მომსახურების ღირებულებად განისაზღვრა 3 000 ლარი. შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხეს დაეკისროს მის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

სასამართლოს მითითებით, მართალია საქმეში არ არის წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების მიზნით გ. ნ-ისთვის თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი მტკიცებულება, მაგრამ ვინაიდან მოსარჩელეს სასამართლოში საქმის წარმოებისას იცავდა ადვოკატი, რომლის მომსახურებაც როგორც წესი, სასყიდლიანია და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმება წარმოდგენილია სასამართლოში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ადვოკატის მომსახურების ღირებულება, როგორც საპროცესო ხარჯი, რომლის გადახდის ვალდებულებაც მას წარმოეშვა, უნდა აუნაზღაურდეს გონივრული ოდენობით. ფულადი ვალდებულების წარმოშობა შეიძლება დაკავშირებული იყოს სამომავლო გადახდის პირობასთან, შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში, მისი ანაზღაურება უნდა დაეკისროს მოპა-

სუხეს, რომლის მიმართაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებებზე (№ას-792-1114-07, 11 თებერვალი, 2008წ.; №ბს-1330-1315-კ-11, 09.02.2012წ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 09.06.2005 წლის გადაწყვეტილებაზე საქმეზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“ (განაცხადის №55723/00) და აღნიშნა, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ოდენობის განსაზღვრისას მოქმედებს გონივრული და სამართლიანი შეფასების სტანდარტი, რადროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დავის საგანი (საქმის კატეგორია), საქმის სირთულე, განხილვის ხანგრძლივობა და ა.შ. ეს დებულება სამართლებრივი ურთიერთობის ამოსავალი პრინციპია, რომელიც ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასამართლომ გონივრულად მიიჩნია მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე – ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ჯ-ემ და საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ. ნ. ჯ-ემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება, ხოლო საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ნ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. ჯ-ის სასარჩელო განცხადება და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება ნ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ; ნ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, დაკმაყოფილდა; საქართველოს გენერალურ პრო-

კურატურას ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურება; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 1 500 ლარის ოდენობით; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტები მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი წარმოადგენს ისეთ მარეაბილიტირებელ გარემოებას, რომელიც იწვევს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ნ. ჯ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობდა 2017 წლიდან, ხოლო განაჩენი დადგა 2019 წლის 25 აპრილს. აღნიშნული დროის ხანგრძლივობით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოება თავისთავად ადასტურებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული მორალური ზიანის ანაზღაურების თანხა არ არის შეუსაბამოდ მაღალი ან მცირე ოდენობის. მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული მორალური ზიანის ოდენობა 7 200 ლარს შეადგენდა. სააპელაციო პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გაითვალისწინა ყველა ის გარემოება, რაზეც მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა და მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, რაც მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია და ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე

მუხლის პირველ ნაწილზე, 412-ე მუხლზე და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გამო, იძულებული იყო სისხლის სამართლის საქმეში საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის აეყვანა ადვოკატი, ესარგებლა მისი მომსახურებით სასამართლოში და ჩაეტარებინა ექსპერტიზა, რათა სრულყოფილად ესარგებლა სისხლის სამართლის კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

პალატამ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილებაზე მითითებით აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის დროისა და მასში ადვოკატის ჩართულობის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართებულად იქნა განსაზღვრული თანხის ოდენობა, რომელიც იქნა დაკისრებული მოპასუხე მხარისათვის, როგორც სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება. ამასთან, პალატის განმარტებით, ნ. ჯ-ის მიერ ადვოკატისა და საექსპერტო მომსახურების ხარჯების განევა ცალსახად განპირობებული იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მის მიმართ ჩატარებული ღონისძიებებით, რის გამოც არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მიყენებული მატერიალური ზიანის სახით ადვოკატისა და ექსპერტიზის მომსახურების 13 976 ლარის ანაზღაურების წინაპირობები.

ამასთან, სააპელაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების ნაწილში. პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული საქმეზე დადგენილი მტკიცებულებები, რაც ქმნის ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ პერიოდზე, როდესაც მოსარჩელეს მოუწია მოთხოვნილი ხარჯის გაღება. კერძოდ, ნ. ჯ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიება გირაოს სახით გამოყენებული იქნა 2017 წლის 23 მარტს. გირაოს შეტანის ვადად განისაზღვრა 30 დღე. დადგენილია, რომ ნ. ჯ-ის მამამ 10 000 ლარის ოდენობით გირაოს თანხა შეიტანა ანგარიშზე 2017 წლის 23 მარტს. პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული

მხოლოდ 2017 წლის 21 აპრილს გ. ჯ-ის (ნ. ჯ-ის მამა) სახელზე გაცემულ იპოთეკურ სესხზე. საქმის მასალებში დაცულია ასევე ...ის მიერ 2020 წლის 14 თებერვალს გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, გ. ჯ-ეს 2017 წლის 16 მარტსაც ჰქონდა აღებული იპოთეკური კრედიტი. სისხლის სამართლის საქმეში გ. ჯ-ის ჩართულობის (უშუალოდ მის მიერ ხდებოდა ნ. ჯ-ისათვის საჭირო თანხის გადახდა) გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია აპელანტის – ნ. ჯ-ის განმარტება მასზედ, რომ „...ის“ მიერ გაცემული იპოთეკური სესხით იქნა დაფარული მისი სისხლის სამართლის საქმის ხარჯების ნაწილი. სესხი იყო სარგებლიანი.

პალატამ აღნიშნა, რომ საქმეზე წარმოდგენილია ექსპერტიზის ხარჯისა და გირაოს თანხის სახით გადახდილი სესხის პროცენტის გაანგარიშების ცხრილი, რომლითაც დასტურდება, რომ საექსპერტო მომსახურება „...სთვის“ გადახდილი 1 200 ლარისა და 3 100 ლარის დარიცხული პროცენტი, ჯამში არის 2 274 ლარი და 22 თეთრი (584.17 ლარი და 1 690.05 ლარი). გირაოს თანხაზე გადახდილი პროცენტია 3 028.77 ლარი. აღნიშნული ფაქტები ადასტურებენ, რომ მოცემული ხარჯების (საექსპერტო მომსახურებაზე და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის) გაღება დაკავშირებულია ნ. ჯ-ის მიმართ ნაწარმოებ სისხლის სამართლის საქმესთან. მართალია, გირაოს თანხა მოსარჩელეს დაუბრუნდა, თუმცა იპოთეკურ სესხზე დარიცხული პროცენტი გაღებული იქნა და მისი ანაზღაურება უნდა მოხდეს მატერიალური ზიანის სახით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადანყევტილებით საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით. პალატამ მოცემული ოდენობით საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება არ მიიჩნია გონივრულად და განმარტა, რომ ზოგადი ნების მიხედვით, ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება გაწეულია.

პალატის მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2021 წლის 20 მაისს ნ. ჯ-ესა და გ. ნ-ს შორის დადებულია ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის თანახმად, მომსახურების ღირებულებად განისაზღვრა 3 000 ლარი. მოცემულ თანხა-

ში ხელშეკრულების მხარეთა მიერ მოაზრებულია სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდი. აღნიშნულს ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ ნ. ჯ-ეს სააპელაციო სასამართლოში ცალკე არ მოუთხოვია წარმომადგენლობითი მომსახურეობის ხარჯის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ სასამართლოს გარეშე ხარჯების ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აგრეთვე გაითვალისწინა წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები. ამასთან, აღნიშნა, რომ საპროცესო ხარჯის ოდენობა უნდა განისაზღვროს საქმეზე დამდგარი საბოლოო შედეგის მიხედვით, ორივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგის გათვალისწინებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ნ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შესაბამის ნაწილში არსებობს ასევე საადვოკატო მომსახურების ხარჯის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების წინაპირობაც. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, დავის სირთულისა და წარმომადგენლის მიერ გაწეული მომსახურების, ასევე დავის გადაწყვეტის შედეგის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა, ადმინისტრაციული წარმოებისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურეობის ანაზღაურების ნაწილში, უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს გენერალურ პროკურატურას ნ. ჯ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის ანაზღაურება 1 500 ლარის ოდენობით.

მატერიალური ზიანის სახით სწავლის საფასურისა და მგზავრობის ხარჯის ანაზღაურების თაობაზე ნ. ჯ-ის მოთხოვნებთან დაკავშირებით, პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ნ. ჯ-ეს შეფარდებული ჰქონდა აღკვეთის ღონისძიება გირაოს სახით, მას თავისუფლება არ შეზღუდვია. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის პოზიცია 2018-2019 წლის მე-5 და მე-6 სემესტრების სასწავლო პროგრამის დაუძლეველობასთან დაკავშირებით და მოცემული პერიოდის სასწავლო საფასურის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ, არ არის სათანადოდ დასაბუთებული და ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, მგზავრობის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, მხარემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ და-

ადასტურა სარჩელის აღნიშნული მოთხოვნა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მგ ზავრობის საშუალო ღირებულების დასადგენად, ნ. ჯ-ეს გამოყენებული აქვს „...ის“ ეკონომ პაკეტით მგ ზავრობის ტარიფი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ მოთხოვნასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ნ. ჯ-ე ნამდვილად სარგებლობდა ტაქსით, ყოველ ჯერზე იხდიდა მის მიერ მითითებულ თანხას და გადაადგილებაში დახარჯული ჰქონდა 2 612.80 ლარი. პალატის მითითებით, გადაადგილების საშუალება არ შემოიფარგლება მხოლოდ აპელანტის მიერ დასახელებული სატრანსპორტო საშუალებით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს ნ. ჯ-ე სტუდენტის სტატუსით სარგებლობდა, რაც შესაძლოა ყოფილიყო საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის საფუძველი. პალატის განმარტებით, საქმის მასალებით უტყუარად არ დასტურდება, რომ აპელანტის მიერ მითითებული ხარჯი – 2 612.80 ლარი, წარმოადგენს მოპასუხე მხარის მიერ განხორციელებული ქმედებების უშუალო და გარდაუვალ შედეგს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად დასაბუთებულია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-ემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ნ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ნ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

კასატორი – საქართველოს გენერალური პროკურატურა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე, 992-ე, 1005-ე მუხლებზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-19, 32-ე, 33-ე, 166-ე, 167-ე მუხლებზე, საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ნ. ჯ-ეს თავისუფლება არცერთ ეტაპზე შეზღუდული არ ჰქონია. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სა-

მართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 25 აპრილის გამამართლებელი განაჩენი პროკურატურის მიერ არ გასაჩივრებულა. ასევე, სისხლის სამართლის საქმის წარმოებას ნ. ჯ-ის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, კერძოდ, დაავადების წარმოშობა ან უკვე არსებულის გართულება არ გამოუწვევია. კასატორის განმარტებით, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი წევრების უსაფრთხოების დაცვას. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველზე წარმოშობილი უარყოფითი ემოციების, განცდების თუ სხვა სამართლებრივი შედეგების გარკვეულწილად თმენის ვალდებულება აქვს ყველას. ამასთან, წინასწარ ვერ განისაზღვრება კონკრეტული საქმის შედეგი, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას.

კასატორი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე: „ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, „კასრაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“, „კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართლებრივი ნორმებისა და მითითებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მორალური ზიანის სახით 3 000 ლარის დაკისრება უსაფუძვლოა, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების არაპროპორციულია და არ ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის ნ. ჯ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლის ხარჯის – 9 676 ლარისა და საექსპერტო მომსახურების ხარჯის – 4 300 ლარის ანაზღაურების დაკისრებასთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლებზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე და აღნიშნავს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურებისას უნდა იქნეს წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს ზიანის გამომწვევ გარემოებებს და განსაზღვრავს მიყენებული ზიანის ოდენობას. კასატორის განმარტებით, მართალია ნ. ჯ-ის მიერ წარმოდგენილია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და გადახდის ქვითრები, თუმცა აღნიშნული ქვითრებით არ დგინდება გადახდის მიზნობრიობა. ამასთან, ერთ-ერთ ქვითარში მიმღებს წარმოადგენს არა ის პირი, ვისთანაც გაფორმდა საადვოკატო მომ-

სახურების ხელშეკრულება, არამედ სხვა ფიზიკური პირი.

კასატორი მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 07.09.2017 წლის გადაწყვეტილებაზე საქმეზე „მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №26657/07), საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებაზე (საქმე №ბს-432-429(2კ-17)), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ეტაპზე განხორციელებული მოქმედებები – ადვოკატის აყვანა და ექსპერტიზის ჩატარება, პირის (ბრალდებულის) უფლებაა და ამ უფლებით სარგებლობა (გაღებული ხარჯების დადასტურების შემთხვევაშიც კი) არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც დევნის განმახორციელებელი ორგანოს – პროკურატურის მიერ მიყენებულ ზიანად.

საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის ნ. ჯ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის, კერძოდ, პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებისათვის გადახდილი თანხის – 5 302.99 ლარის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტი – 2 274 ლარი და 22 თეთრი და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტი – 3 028 ლარი და 77 თეთრი) ანაზღაურების დაკისრებასთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სრულიად დაუსაბუთებლად აღნიშნავს, რომ ნ. ჯ-ის მამის მიერ გირაო შეტანილი იქნა 2017 წლის 23 მარტს, მაშინ როცა 2017 წლის 23 მარტს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით ნ. ჯ-ის მიმართ გამოიყენა გირაო. კასატორის განმარტებით, სასამართლო თავის არგუმენტს ამყარებს იმ გარემოებით, რომ ნ. ჯ-ის მამას მანამდეც უფიქსირდება იპოთეკური სესხი, აღებული 2017 წლის 16 მარტს. შესაბამისად, გაუგებარია რატომ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, რომ გირაოს თანხის შეტანა 2017 წლის 23 მარტს ადასტურებდა იპოთეკური სესხის აღების მიზნობრიობას. კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომელიც აღნიშნული სესხის მიზნობრიობას დაადასტურებდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ნ. ჯ-ის მამის – გ. ჯ-ის სახელზე სასამართლოს განაჩენამდე და ზოგადად, ნ. ჯ-ის სისხლის სამართლის საქმის დაწყებამდეც არსებობდა იპოთეკური სესხი. ამასთან, სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაო და ადვოკატის მომსახურების ხარჯის ნაწილიც სესხის აღებამდე იქნა გადახდილი. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვარაუდი, რომ ნ. ჯ-ის ოჯახის მიერ იპოთეკური სეს-

ხები სწორედ მის სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაოს, ადვოკატებისა და ექსპერტების მომსახურების ხარჯების დასაფარად იყო აღებული, უსაფუძვლოა.

კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებებზე (საქმე №ას-1117-1074-2016, 06.03.2017წ.; №ას-839-805-2016, 06.03.2017წ.) და აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია ამკარა მიზეზობრივი კავშირის დადგენა მოთხოვნილ ზიანსა და სავარაუდო დარღვევას შორის. სასამართლო ვერ დაკმაყოფილებდა უმნიშვნელო კავშირით სავარაუდო დარღვევასა და ზიანს შორის და ვერც ვარაუდებს დაეყრდნობა იმის შესახებ, თუ რას შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. სასამართლოს ამგვარი მიდგომა და გადაწყვეტილება კი სრულიად გაუგებარი, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

ამასთან, რაც შეეხება მოცემული ადმინისტრაციული დავის ფარგლებში წარმომადგენლობის ხარჯის სახით საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის 1 500 ლარის დაკისრებას, კასატორი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც უსაფუძვლოა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ივლისის განჩინებით, ნ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 1 თებერვლის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გა-

უქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის ნ. ჯ-ის სასარგებლოდ პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მიმართ, სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლიანობა და დაკისრებული თანხის ოდენობის გონივრულობა. ამასთან, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ივლისის განჩინებით, ნ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი, სასამართლო ვერ იმსჯელებს სადავო გადაწყვეტილების კანონიერებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 23 მარტის განჩინებით (საქმე № 10ა/1347), ბრალდებულ ნ. ჯ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო, გირაოს თანხად განისაზღვრა 10 000 (ათი ათასი) ლარი. გირაოს თანხა გადახდილი იქნა სრულად, გ. ჯ-ის მიერ 2017 წლის 23 მარტს, „...ის“ მეშვეობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 25 აპრილის განაჩენით (საქმე № 1/1919-17), ნ. ჯ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ამავე განაჩენით, გამართლებულ ნ. ჯ-ეს განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების შესახებ. განაჩენში მათ შორის მითითებულია ბრალდებულ ნ. ჯ-ის ადვოკატები – გ. ნ-ი და გ. ტ-ი. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა.

დადგენილია, რომ 2017 წლის 27 მარტს ერთი მხრივ, გ. ჯ-ეს („კლიენტი“) და მეორე მხრივ, ადვოკატ გ. ნ-ს („ადვოკატი“) შორის დაიდო

ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების განევის თაობაზე, რომლის თანახმად, იურიდიული მომსახურების განევის საგანს წარმოადგენდა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა საგამოძიებო ორგანოებში და სასამართლო ინსტანციებში გ. ჯ-ის შვილის, ბრალდებულ ნ. ჯ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, იურიდიული მომსახურების საფასური (ჰონორარი) შეადგენდა 3 450 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. საქმეში წარმოდგენილია საადვოკატო მომსახურების ღირებულების ეტაპობრივად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლითაც დგინდება, რომ ნ. ჯ-ის საქმეზე საადვოკატო მომსახურებისთვის 2017 წლის 28 მარტიდან 2018 წლის 1 მაისის ჩათვლით პერიოდში გ. ნ-ისთვის გადახდილია ჯამში 8 455 ლარი, ხოლო ამავე დანიშნულებით 2017 წლის 1 მაისს გ. ტ-ისთვის გადახდილია 1 221 ლარი. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხა ჯამში შეადგენს 9 676 ლარს.

ასევე დადგენილია, რომ 2017 წლის 24 აპრილს ერთი მხრივ, შპს ... „...“ („ცენტრი“) და მეორე მხრივ, გ. ჯ-ის („მხარე“) შორის დაიდო ხელშეკრულება №04/11, რომლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ცენტრი“ „მხარის“ დაკვეთით შეასრულებდა კომპლექსურ სასამართლო სამედიცინო და ტექნიკურ ექსპერტიზას №... სისხლის სამართლის საქმეზე (ბრალდებული ნ. ჯ-ე). ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება მთლიანად შეადგენდა 4 300 (ოთხი ათას სამას) ლარს, საიდანაც ტექნიკური ექსპერტიზის ღირებულება იყო 3 000 (სამი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ღირებულება იყო 1 300 (ათას სამასი) ლარი. საქმეში წარმოდგენილია სს „...ის“ 26.04.2017 წლის №1604273298 სალაროს შემოსავლის ორდერი, საიდანაც ირკვევა, რომ გ. ჯ-ის მიერ შპს ... „...სთვის“ გადახდილია №04/11 ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელი ექსპერტიზის თანხა 3 100 ლარის ოდენობით, ხოლო 02.10.2017 წლის №01/1017 სალაროს შემოსავლის ორდერის თანახმად, ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, გადახდილია ექსპერტიზის თანხა 1 200 ლარის ოდენობით. ამდენად, ჯამში შპს ... „...სთვის“ გადახდილი ექსპერტიზის თანხა შეადგენს 4 300 ლარს.

საქმის მასალებში წარმოდგენილი სს „...ის“ 2020 წლის 14 თებერვლის ცნობით დგინდება, რომ ბანკის მიერ გ. ჯ-ეზე 2017 წლის 16 მარტს გაცემულია იპოთეკური კრედიტი (სესხის №4291376) – 24 800 ლარის ოდენობით, საპროცენტო განაკვეთი – 11.50%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 13%; 2017 წლის 21 აპრილს გაცემულია იპოთეკური კრედიტი (სესხის №4376471) – 41 360 ლარის ოდენობით, საპროცენტო განაკვეთი – 12%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 13.40%; 2017 წლის

19 მაისს გაცემულია შერეული იპოთეკური სესხები (სესხის №4462054) – 49 000 ლარის ოდენობით, საპროცენტო განაკვეთი – 12.25%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 13.50%.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ხოლო ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებების აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკა-

ნონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, ზიანი ანაზღაურდება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ზიანი ანაზღაურდება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს ქმნის ქმედების უკანონობა და პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. კანონმდებლობა არ შეიცავს მარეაბილიტირებელი გარემოების ჩამონათვალს, თუმცა უდავოა, რომ ასეთ გარემოებას განეკუთვნება გამამართლებელი განაჩენის არსებობა, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს. ის გარემოება, რომ მოსარჩელე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, წარმოადგენს მისი რეაბილიტაციის საფუძველს, რის გამოც საკასაციო სასამართლო იზიარებს ნ. ჯ-ის სასარგებლოდ საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მართლზომიერებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი, რადგან პირის თავისუფლების ხელყოფას და ხელმეუხეშელობის დარღვევას, როგორც წესი, თან სდევს პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა. არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვ., თუმცა ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყველა სახის მორალური ზიანი, არამედ მხოლოდ ის, რომლის ანაზღაურებაც მოქმედი კანონმდებლობით (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხ.) არის გათვალისწინებული (სუსგ 2015 წლის 4 ივნისის საქმე №ბზ-485-474(2კ-14)).

უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მი-

მართებაში სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia). მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამონეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამონევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბზ-972-936(3კ-08), 2009 წლის 8 აპრილი.).

მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელისთვის მიკუთვნებული თანხა ვერ მოახდენს მისთვის მიყენებული ზიანის სრულ კომპენსირებას, იგი ემსახურება მხოლოდ მიყენებული უარყოფითი შედეგების შემსუბუქებას და შეუძლებელია თანხის ოდენობამ გადაფაროს ყველა ის ნეგატიური განცდა, რაც მოსარჩელეს სადავო შემთხვევაში მიაღდა. პალატა აღნიშნავს, რომ ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, რის გამოც კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. იგი უნდა განისაზღვროს გონივრულად და სამართლიანად, რაც მართებულად შეაფასეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის უფლებების უკანონო შეზღუდვის ინტენსივობის, ხანგრძლივობისა და მის ცხოვრებაზე აღნიშნული გარემოებების ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის ნ. ჯ-ის სასარგებლოდ 3 000 (სამი ათასი) ლარის დაკისრება, მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია და ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ოდენობის არაპროპორციულობას დარღვეულ უფლებებთან მიმართებით.

მატერიალური ზიანის სახით სისხლის სამართლის საქმეზე წარმო-

მადგენლისთვის განეული ხარჯისა და ექსპერტიზის ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას ნ. ჯ-ე წარმოდგენილი იყო ადვოკატებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 25 აპრილის განაჩენში (საქმე №1/1919-17) მათ შორის მითითებულია ბრალდებულ ნ. ჯ-ის ადვოკატები – გ. ნ-ი და გ. ტ-ი. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია 2017 წლის 27 მარტს გ. ჯ-ესა და ადვოკატ გ. ნ-ს შორის დადებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების განევის თაობაზე, რომლის თანახმად, იურიდიული მომსახურების განევის საგანს წარმოადგენდა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა საგამოძიებო ორგანოებში და სასამართლო ინსტანციაში გ. ჯ-ის შვილის, ბრალდებულ ნ. ჯ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, იურიდიული მომსახურების საფასური (ჰონორარი) შეადგენდა 3 450 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებით დგინდება, რომ ნ. ჯ-ის საქმეზე საადვოკატო მომსახურებისთვის გ. ნ-ისთვის და გ. ტ-ისთვის გადახდილი თანხა ჯამში შეადგენს 9 676 ლარს.

პალატა აქვე ექსპერტიზის ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია 2017 წლის 24 აპრილს შპს ... „...“ და გ. ჯ-ეს შორის დადებული №04/11 ხელშეკრულება, №... სისხლის სამართლის საქმეზე (ბრალდებული ნ. ჯ-ე) კომპლექსური სასამართლო სამედიცინო და ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება მთლიანად შეადგენდა 4 300 (ოთხი ათას სამას) ლარს. ასევე, წარმოდგენილია ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, თანხის გადახდის დამადასტურებელი სალაროს შემოსავლის ორდერები, რომლითაც დგინდება, რომ შპს ... „...სთვის“ გადახდილი ექსპერტიზის თანხა ჯამში შეადგენს 4 300 ლარს. ამდენად, აღნიშნული მტკიცებულებები მიუთითებენ ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ეტაპზე განხორციელებული მოქმედებები – ადვოკატის აყვანა და ექსპერტიზის ჩატარება, პირის (ბრალდებულის) უფლებაა და ამ უფლებით სარგებლობა (გაღებული ხარჯების დადასტურების შემთხვევაშიც კი) არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც დევნის განმახორციელებე-

ლი ორგანოს – პროკურატურის მიერ მიყენებულ ზიანად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობაში უზრუნველყოფს ბრალდებულის ინტერესებისა და უფლებების მაქსიმალურ დაცვასა და რეალიზებას. ბრალდებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა ჯეროვნად და ეფექტიანად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისაგან. დაცვა არის სისხლის სამართლებრივი დევნის საწინააღმდეგო ფუნქცია, სწორედ ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფს შეფხირებითობის პრინციპის სრულ რეალიზებას და ბრალდებულის ინტერესების არსებით დაცვას. ამასთან, „სისხლის სასამართლოწარმოების ფარგლებში, შეთანხმებით დაცვის შემთხვევაში, გამართებულის მიერ ადვოკატისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების წესით“ (სუსგ №ბზ-432-429(2კ-17), 2019 წლის 7 თებერვალი).

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების გამო, იძულებული იყო სისხლის სამართლის საქმეში საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის აეყვანა ადვოკატები, რათა სრულყოფილად ესარგებლა სისხლის სამართლის კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. გარდა ამისა, ცალსახაა, რომ ექსპერტიზის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა პირის უდანაშაულობის დადასტურება. შესაბამისად, ექსპერტიზის ხარჯების გაწევის აუცილებლობა სწორედ სისხლის სამართლებრივი დევნის მიმდინარეობამ გამოიწვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობას ფულად ზარალსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის ქმედებას შორის. ამასთან, მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე წარმომადგენლის მომსახურებისა და ექსპერტიზისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, არსებობდა მოპასუხისთვის ნ. ჯ-ისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის სახით, ადვოკატისა და ექსპერტიზის მომსახურების თანხის, ჯამში 13 976 ლარის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები.

ნ. ჯ-ის სასარგებლოდ პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებითათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22

თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობას აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლიანობის თაობაზე და მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებების აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში (*restitutio in integrum*). ქონებრივი ზიანის შემთხვევაში მისი დადგენისა და გამოთვლისას გამოიყენება ე.წ. დიფერენციის ჰიპოთეზა, ანუ სხვაობა „უნდა ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის. დიფერენციის ჰიპოთეზის თანახმად, ზიანი არის ნეგატიური სხვაობა არსებულ ქონებრივ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა. (გ. ბათლიძე, ავტორთა კოლექტივი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი III, გვ. 689, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019 წ.).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. განცდილი ზიანის ოდენობა განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს. ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა. ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრების უმთავრესი წინაპირობა მიზეზობრივი კავშირია მოვალის ქმედებასა და ქმედების შედეგად დამდგარ ზიანს შორის, რაც დგინდება ე.წ. ეკვივალენტურობის თეორიის საფუძველზე, რომლის თანახმად, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისთვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს („ეკვივალენტურს“), თუკი დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა (*condicio sine qua non*). მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი შეიძლება აერთიანებდეს ერთ ან რამდენიმე, შემთხვევით ან მოსალოდნელ, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიზეზს. პალატა აღნიშნავს, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირისას უმნიშვნელოვანესია მიზეზებისა და დამდგარი შედეგის ფაქტობრივი ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნით, დაზარალებული პირი ვალდებულია დაამტკიცოს როგორც ზიანის არსებობა, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მიზეზობრივი კავშირი, ხოლო

მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად იმ პირმა, ვისაც ზიანი მიაღდა, უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რათა დაამტკიცოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ზიანის არა მარტო არსებობა, არამედ მისი რაოდენობა და ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია რეალური ზიანის ზუსტი გამოანგარიშება, სასამართლო გამოანგარიშებას განახორციელებს მის ხელთ არსებული ფაქტების საფუძველზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის მართებულად გადაწყვეტისთვის, რაც განპირობებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაწესით, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამდენად, მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით. მითითებული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი ადგენს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე მატერიალური ზიანის სახით ნ. ჯ-ის სასარგებლოდ პროცენტის სახით საბანკო დაწესე-

ბულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ 2017 წლის 21 აპრილს, ნ. ჯ-ის მამამ – გ. ჯ-ემ „...იდან“ აიღო იპოთეკური სესხი №4376471, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 13.4%. სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაოს, ადვოკატებისა და ექსპერტების მომსახურების ხარჯების დასაფარად გაცემული სესხის თანხაზე გადახდილმა პროცენტმა კი 20.05.2021 წლის მდგომარეობით შეადგინა 10 300.47 ლარი. მითითებული გარემოებების დასადასტურებლად, მოსარჩელეს წარმოდგენილი აქვს სს „...ის“ 2020 წლის 14 თებერვლის ცნობა და გაანგარიშების ცხრილი.

სააპელაციო პალატამ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დადასტურებული იყო მოსარჩელის მიერ სისხლისამართლებრივი დევნის გამო, სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაოს, ადვოკატებისა და ექსპერტიზის ხარჯების დასაფარად აღებულ სესხის თანხაზე პროცენტის გადახდისა და შესაბამისად, მისთვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი. აღნიშნული დასკვნა კი საკასაციო პალატის მოსაზრებით, საკმარისად დასაბუთებული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ სესხის პროცენტის გაანგარიშების ცხრილზე და აღნიშნა, რომ მართალია გირაოს თანხა მოსარჩელეს დაუბრუნდა, თუმცა იპოთეკურ სესხზე დარიცხული პროცენტი გაღებული იქნა და მისი ანაზღაურება უნდა მოხდეს მატერიალური ზიანის სახით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ცხრილი შედგენილია მოსარჩელე მხარის მიერ. შესაბამისად, მასში დაფიქსირებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია (სესხის პროცენტის მიხედვით, თანხების ოდენობა) მითითებულია მოსარჩელის მიერ. ამდენად, მხოლოდ აღნიშნული გაანგარიშების ცხრილი ვერ იქნება მიჩნეული სარჩელის ფაქტობრივი დასაბუთების საკმარის მტკიცებულებად.

ამასთან, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გაურკვეველია, რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადგინა სააპელაციო პალატამ გ. ჯ-ის მიერ აღებული იპოთეკური სესხების მიზნობრიობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა აღნიშნული სესხების აღებასა (სესხზე პროცენტის გადახდას) და ნ. ჯ-ის გირაოს, ადვოკატების მომსახურების ან ექსპერტიზის ხარჯების დაფარვას შორის, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სს „...ის“ 2020 წლის 14 თებერვლის ცნობის თანახმად, გ. ჯ-ეს უფიქსირდება იპოთეკური სესხის აღება 2017 წლის 16 მარტსაც,

ანუ ნ. ჯ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე. ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი მხარის მიერ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბანკისთვის პროცენტის სახით თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც. საკასაციო პალატისთვის გაუგებარია არა მარტო მოსარჩელის მიერ აღებული იპოთეკური სესხების პროცენტების დასასაბუთებლად წარდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობა, არამედ, სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული თანხის დაანგარიშების მეთოდიკაც. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მატერიალური ზიანის სახით ნ. ჯ-ის სასარგებლოდ პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში სრულყოფილად არ გამოიკვლია და დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამ საკითხის მართებულად გადაწყვეტისთვის, სს „...ის“ 2020 წლის 14 თებერვლის ცნობა, რომელიც მხოლოდ შეიცავს ინფორმაციას გ. ჯ-ის მიერ აღებული სესხების ოდენობის და მათი საპროცენტო განაკვეთების შესახებ და მოსარჩელის მიერ შედგენილი გაანგარიშების ცხრილი, არ იძლევა სათანადო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სააპელაციო პალატა არა მარტო უფლებამოსილია შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობა, არამედ თავად გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (სუსგ საქმეზე №ბს-985(კ-20), 2021 წლის 24.11.2021 წ.).

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მატერიალური ზიანის სახით ნ. ჯ-ის სასარგებლოდ პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (სა-

ექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, შემოიფარგლა ნ. ჯ-ის სარჩელთან დაკავშირებით მის მიერ წარდგენილი არასაკმარისი მასალების შეფასებით და ისე რომ დამატებითი მტკიცებულების წარდგენა სასამართლოს არც მოსარჩელისთვის დაუვალეზია და არც ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოუთხოვია, მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადაწყვეტა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის ნ. ჯ-ის სასარგებლოდ პროცენტის სახით საბანკო დანესებულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და პროცესუალურ წინამძღვრებს, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის აბსოლუტური საფუძველი – გადაწყვეტილება, მითითებულ ნაწილში, იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც თავის მხრივ, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და ამ ნაწილში საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება, საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის ნ. ჯ-ის სასარგებლოდ პროცენტის სახით საბანკო დაწესებულებისათვის გადახდილი თანხის 5 302 ლარისა და 99 თეთრის (საექსპერტო მომსახურების თანხაზე დარიცხული პროცენტის 2 274 ლარისა და 22 თეთრის და გირაოს თანხაზე დარიცხული პროცენტის 3 028 ლარისა და 77 თეთრის) ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტები, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, დარჩეს უცვლელად;
4. სასამართლოს ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი

გადანყვებითლება საქართველოს სახელით

№ბს-1170(კ-19)

18 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვით გამოწვეუ-
ლი მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. რ-ამ 26.04.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქარ-
თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმე-
თა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, საქართვე-
ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტა-
მენტის ძველი თბილისის სამმართველოსა და საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი
თბილისის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების მიმართ
მოპასუხეებისთვის 1500 ლარის ოდენობით არაქონებრივი (მორალუ-
რი) ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

გ. რ-ამ აღნიშნა, რომ იგი დააკავეს 2016 წლის 26 მარტს ადმინის-
ტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის დარღვე-
ვის გამო, რაზედაც შედგა 26.03.2016წ. ადმინისტრაციული დაკავების
ოქმი. გ. რ-ას მიმართ ასევე შედგა 08.04.2016წ. ადმინისტრაციული სა-
მართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების (თვითმმარ-
თველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) ჩადენის გამო, ოქმის თა-
ნახმად გ. რ-ა ასრულებდა წარწერას ნაგვის ურნაზე. თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ.
დადგენილებით, გ. რ-ას მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალ-

დარღვევის საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. მოსარჩელე, სასამართლოს 26.04.2016წ. დადგენილებაზე მითითებით, აღნიშნავს, რომ მის მიმართ ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ გამოყენებით მას მიადგა არაქონებრივი (მორალური) ზიანი, რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ. გ. რ-ა დაკავებულ მდგომარეობაში შეიყვანეს შსს ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში და სწორედ დაკავებულ მდგომარეობაში წარსდგა ის სასამართლოს წინაშე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ. №4/2237-16 დადგენილებით გ. რ-ას მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, მის ქმედებაში სამართალდარღვევის ნიშნების არარსებობისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. სასამართლოს დადგენილება კანონიერ ძალაშია შესული, ის არ გასაჩივრებულა დამკავებელი და ოქმის შემდგენელი ორგანოს მიერ. სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან კანონით დადგენილ ვადაში მოსარჩელემ მისი დაკავება გაასაჩივრა ზემდგომ ორგანოში და პროკურორთან, რომლითაც მოითხოვა დაკავების/პირადი გასინჯვის უკანონოდ ცნობა და ზიანის ანაზღაურება. გ. რ-ამ გასაჩივრების საფუძველად მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. გ. რ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით, პოლიციის ორგანოებში გადაყვანა – იძულებითი წარდგენით, მან განიცადა უსამართლობის შიში, განიცადა სულიერი ტკივილი, მას დაუფულა უსამართლობის და დაუცველობის განცდა, მის მიმართ მტკიცებულებათა წარუდგენლობით თავი იგრძნო შეურაცხყოფილად, უსამართლო დევნილად, შეელახა პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია.

მოსარჩელემ საქართველოს კონსტიტუციის მე-18, 42-ე მუხლებზე, აგრეთვე სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 317-ე, 1005-ე მუხლებზე, ევროპული კონვენციის მე-3, მე-5 მუხლებზე მითითებით მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. განსახილველი დავის ფარგლებში უნდა განიმარტოს სკ-ის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ადმინისტრაციული წესით დაკავებულ

პირზე, უნდა გაირკვეს აგრეთვე დაკავების უკანონობის ცნობის შესაძლებლობა. იმ პირობებში, როდესაც შსს და პროკურატურაში გასაჩივრების შედეგად ადმინისტრაციული დაკავება უკანონოდ ცნობილი არ ყოფილა, უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საჯარო ინტერესი და მეორე მხრივ, პოლიციელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის აუცილებლობას შორის. დაკავების დროს იზრდება დასაბუთებულობის მოთხოვნაც. უფლების შეზღუდვის მიზანი არის სხვა სიკეთის დაცვა, ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანაზომიერების დაცვას. დაკავების გასაჩივრებისა და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება სამართალდამრღვევად. საპროცესო აქტი, რომლითაც მოსარჩელე გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სამართალდარღვევის აღკვეთისათვის საჭირო ფართო უფლებამოსილებებით, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ პირის მიმართ ზემოქმედების ისეთი ზომების გამოყენებას, რომლებიც იწვევს პირისათვის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეზღუდვას. სკ-ის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისათვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღება, ვინაიდან ამით დასტურდება, რომ პირს არ ჩაუდენია სამართალდარღვევა.

მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით მოსარჩელე აღნიშნავს, რომ არამატერიალური ზიანისა ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დაზარალებულის დაკმაყოფილება, ზიანის მიმყენებელზე ზემოქმედების მოხდება და სხვა პირის მიერ უფლების ხელყოფის თავიდან აცილება. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია დადებითი ემოციების გამოწვევა, თანხა უსამართლო და შეუსაბამოდ არაგონივრული არ უნდა იყოს, უნდა საბუთებოდეს მისი გამოთვლის რაიმე წესი, ამასთანავე, მოცულობა უნდა შეაკავოს მოპასუხეები სამომავლოდ, მხარეს უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ მის მიმართ განხორციელებულ უკანონობაზე ბრალეულმა პირმა აგო პასუხი არა ბუტაფორულად, ზიანის მიმყენებლასაც უნდა დარჩეს განცდა, რომ მან აგო პასუხი უკანონო მოქმედების გამო, მოცულობამ მას სამომავლო ქცევა უნდა შეუცვალოს.

მოსარჩელემ მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის სო-

ლიდარულად ადვოკატის დახმარებისათვის თანხის ანაზღაურება. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული ხარჯის, სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩელის და მისი წარმომადგენლის სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების გამო ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯის, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე, მტკიცებულებათა ასლების დამზადებაზე, აკინძვაზე, საფოსტო კავშირზე, კვებაზე დახარჯული ხარჯების, აგრეთვე სასამართლოში მოცდენილი დროის ანაზღაურება, აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება.

შს სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საქალაქო სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში აღინიშნა, რომ სკ-ის 1005-ე მუხლი შეიცავს მითითებას კონკრეტული საფუძვლით ზიანის მიყენების ფაქტობრივ გარემოებებზე და ვერ იქნება ანალოგიით გამოყენებული ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემისა და ადმინისტრაციული წესით დაკავების დროს. ანალოგიის გამოყენების წინაპირობა არის კანონის დაუგეგმავი წინასწარ გაუთვალისწინებელი არასრულყოფილება. იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელი ურთიერთობას მოწესრიგების გარეშე შეგნებულად ტოვებს კანონის ანალოგია არ გამოიყენება. ნორმა ანალოგიურია თუ არა უნდა გადაწყდეს ნორმის განმარტების საფუძველზე. ამდენად, განმარტება და ანალოგია სამართლის მეთოდოლოგიის ცენტრალური ინსტიტუტებია. ანალოგიის გამოყენების დასაშვებობაზე პასუხს იძლევა კანონის მიზანი. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ აღნიშნული არის საგამონაკლისო ნორმა. სპეციალური ხასიათის ნორმა, რომელიც სპეციალურ სუბიექტთა ურთიერთობას აწესრიგებს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სპეციალური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ანალოგიის სახით. ადმინისტრაციული პატიმრობა შეუძლებელია გაიგივებულ იქნეს ადმინისტრაციულ დაკავებასთან. აღნიშნული ორი ინსტიტუტი ცალსახად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციული დაკავება თავისი არსით არის უზრუნველყოფის ღონისძიება და არა საბოლოო შედეგი. სკ-ის 1005.3 მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობის შემთხვევაში რეაბილიტაციის შესაძლებლობას და არა ადმინისტრაციული დაკავების დროს. ადმინისტრაციული დაკავება თავისი არსით იმდენად მცირე ჩარევაა ადამიანის თავისუფალი გადაადგილების უფლებაში, რომ იგი კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ დაპატიმრების რეგულაციის სფეროში არ ხვდება. ადმინისტრაციული დაკავება არ შეიძლება გაიგივდეს ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, ვინაიდან ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ აღემატება 12 საათს, ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება

და ამდენად, იგი ვერ იქნება მიჩნეული კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის იმგვარ ფორმად, რომელიც სკ-ის 1005.3 მუხლის დეფინიციის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ადმინისტრაციული დაკავება არის დანაშაულის პრევენციის, მისი დროული აღკვეთის და გამოვლენის მექანიზმი, ადმინისტრაციული დაკავების ტესტი არის „საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის,“ – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად („პოლიციის შესახებ, კანონის მე-2 მუხ.). საკანონმდებლო რეგულაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ვარაუდი იქცეს საფუძველად, თუმცა აპრიორი არ გულისხმობს ვარაუდის ჭეშმარიტებას. შესაგებლის ავტორი თვლის, რომ სარჩელში განმარტებული მიდგომის სასამართლო პრაქტიკად ქცევა ზიანის მომტანი იქნება საჯარო ინტერესისათვის. შესაგებლის ავტორი ასევე თვლის, რომ მორალური ზიანის მოთხოვნილი მოცულობა არაგონივრულია და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.02.2019წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. რ-ას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინებით გ. რ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.02.2019წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: 26.03.2016წ., 05:05 საათზე, შედგა ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული წესით დააკავეს გ. რ-ა კერძოდ, ნავის ურნაზე სალებაზეთ სხვადასხვა სახის წარწერებისა და ნახატების შესრულების მოტივით. მას ჩაუტარდა პირადი გასინჯვა. გ. რ-ა შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში წარადგინეს 26.03.2016წ. 05:12 საათზე, ხოლო გათავისუფლდა 26.03.2016წ., 06:36 საათზე. სასკ-ის 150-ე მუხლის საფუძველზე, 08.04.2016წ., გ. რ-ას მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ. დადგენილებით გ. რ-ას მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, ვინაიდან არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. გ. რ-ას წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, სა-

ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს, ქ. თბილისის პროკურორსა და სახალხო დამცველს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარება/ცნობის მოთხოვნით, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან საჩივრები არ იქნა დაკმაყოფილებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის სკ-ის 1005.3 მუხლით დაკმაყოფილების საფუძველი. აღნიშნული ნორმა რეაბილიტირებული პირისთვის ზიანის ასანაზღაურებლად ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებს, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მხოლოდ „ვ“ (გამასწორებელი სამუშაო) და „ზ“ (ადმინისტრაციული პატიმრობა) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ძირითადი ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. გ. რ-ას მიმართ არ ჰქონია ადგილი სკ-ის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული და შესაბამისად ანაზღაურებას დაქვემდებარებული ღონისძიების (გამასწორებელი სამუშაოს ან ადმინისტრაციული პატიმრობის) გამოყენებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს თორმეტ საათზე მეტ ხანს და აღნიშნა, რომ მოსარჩელის ადმინისტრაციული დაკავება სულ გრძელდებოდა 1 (ერთი) საათი და 31 (ოცდათერთმეტი) წუთი. ამდენად, აღნიშნული ნორმის მოთხოვნა არ დარღვეულა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის სკ-ის 1005.1 მუხლით დაკმაყოფილების საფუძველი. აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გადამწყვეტი იყო არა მოსარჩელის მხრიდან სამართალდარღვევის ფაქტის არ არსებობა, არამედ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის არსებობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საკასაციო სასამართლოს №ბს-1143-1137(2კ-17) საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან გ. რ-ას დაკავების ფაქტი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჩივრის განხილვის ფარგლებში არ ყოფილა უკანონოდ ცნობილი, ამასთან, ადმინისტრაციული წესით დაკავების კანონიერება მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდარა არც სასარჩელო წესით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილი პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით დაკავება იყო კანონშესაბამისი, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების

სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, პალატამ აღნიშნა, რომ ასეთ სასარჩელო მოთხოვნაზე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მტკიცებულებას წარმოადგენდა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული პოლიციური ღონისძიების – ადმინისტრაციული დაკავების კანონით დადგენილი წესით გასაჩივრების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება და რაც შემდგომ საფუძველად დაედებოდა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ უშუალოდ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაზე სასარჩელო წარმოებისას სასამართლოს არ გააჩნდა მოსამსახურის მიერ მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის დადგენის შესაძლებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. რ-ას წარმომადგენელმა.

კასატორი თვლის, რომ ადმინისტრაციული დაკავება ექცევა სკ-ის 1005.3 მუხლით გათვალისწინებულ ფაქტობრივ შემადგენლობაში. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, რაც ავტომატურად განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. სკ-ის 1005.3 მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, რადგან ამგვარი აქტი ადასტურებს, რომ გამართლებულ პირს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, რაც თავის მხრივ განაპირობებს მის უფლებებში აღდგენას – რეაბილიტაციას. აღნიშნული გარემოების არსებობა საკმარისია პირისთვის ზიანის ანაზღაურებისთვის. სარჩელი საფუძვლიანია მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ არაა აღიარებული ადმინისტრაციული დაკავების უკანონობა და არაა დადგენილი პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით ზიანის მიყენება. აუცილებელი არ არის, პირს გასაჩივრებული ჰქონდეს ადმინისტრაციული დაკავება ან დაკავება უკანონოდ იქნეს აღიარებული შესაბამისი ორგანოს მიერ. კასატორმა მიუთითა სამართლებრივი ნორმებით დაცულ არაქონებრივ უფლებებზე, რომელთა ხელყოფა წარმოშობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს. კასატორი ითხოვს ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრებას

ყველა მოპასუხისთვის. ადმინისტრაციული დაკავება განახორციელებს სამინისტროს თანამშრომლებმა, შესაბამისად, ზიანის მიმყენებლებს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისივე პოლიციის დეპარტამენტი და დასახლებული ყველა სხვა მოპასუხე.

კასატორმა მოითხოვა მოპასუხეებისთვის სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის გადახდის დაკისრება, კერძოდ: ადვოკატის დახმარებისთვის 9 400 ლარი; მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადებების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამონმებისთვის გაღებული სანოტარო ხარჯი – 70 ლარის ოდენობით; საკასაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას აპელანტებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯი – 100 ლარის ოდენობით; მტკიცებულებათა მოძიებამოპოვებაზე გაღებული ხარჯი, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 20 ლარის ოდენობით; საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად მეორე ინსტანციის სასამართლოში საჩივრის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისთვის – 70 ლარი; საკასაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯები – 40 ლარი; მათ აკინძვაზე დახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯი – 0.1 ლარი; საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯი – 60 ლარი; საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯის – 10 ლარი; ასევე კასატორის და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეული გაზრდილი დანახარჯები – 100 ლარი; სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება – 5 000 ლარის ოდენობით; საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 200 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ.რ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. რ.-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაკისრების საკითხი. მოცემული დავის ფარგლებში დასადგენია არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმომშობი ნორმა, შესაფასებელია სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლო დადგენილების მარეაბილიტირებელ გარემოებად მიჩნევის საკითხი, ასევე შესაფასებელია უშუალოდ ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრების მნიშვნელობა მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, დასადგენია ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და ასევე ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244.1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავება წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი სამართლებრივ ღონისძიებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის 1-ელი ნაწილის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს თორმეტ საათზე მეტ ხანს. გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული აუცილებლობის გამო, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები. ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ძირითადი უფლება იცავს პირს თავისუფლების ნებისმიერი ხანგრძლივობით უკანონო აღკვეთისას, რაოდენ ხანმოკლეც უნდა იყოს იგი (*Krupko and Others v. Russia*, no. 26587/07, §35, 26.06.2014). საპოლიციო ღონისძიება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ფიზიკური თავისუფლების აღკვეთად, თუნდაც იგი გრძელდებოდეს ძალიან მოკლე დროით (*Creangă v. Romania [GC]*, no. 29226/03, §§91-93, 23.02.2012; *Foka v. Turkey*, no. 28940/95, §75, 24.06.2008). ასე მაგ. თავისუფლების აღკვეთად იქნა მიჩნეული პირის მიერ პოლიციის განყოფილებაში 45 წუთის განმავლობაში ყოფნა (*Shimovolos v. Russia*, no. 30194/09, §48, 57, 21.06.2011), ასევე შემთხვევა, როდესაც პირის პოლიციის ოფისში მიყვანა, შემონმება და იზოლაციაში მოთავსება არ აღემატებოდა ერთ საათს (*Novotka v. Slovakia (dec.)*, no. 47244/99, §a, §2, 04.11.2003). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ღონისძიების ხანგრძლივობის მიუხედავად, თავისუფლების აღკვეთას წარმოადგენს პირის ნების საწინააღმდეგოდ მისი მიყვანა პოლიციის

ოფისში, იზოლატორში მოთავსებით (Ostendorf v. Germany, no. 15598/08, §64, 07.03.2013) ან იზოლატორში მოთავსების გარეშე (Krupko and Others v. Russia, no. 26587/07, §36, 26.06.2014). ღონისძიების თავისუფლების აღკვეთად დაკვალიფიცირებისთვის გადამწყვეტია იძულების, ძალდატანების ელემენტის არსებობა. ასეთ დროს, პირს არ გააჩნია, ფაქტობრივი და/ან სამართლებრივი თვალსაზრისით, შესაძლებლობა მიიღოს თავისუფალი გადაწყვეტილება პოლიციის ოფისში მისვლაზე უარის თქმის თაობაზე ან მისვლის შემთხვევაში, ოფისის ნებისმიერ მომენტში დატოვების შესახებ ისე, რომ მის მიმართ არ დადგეს არახელსაყრელი შედეგები (Creangă v. Romania [GC], no. 29226/03, §§94-100, 23.02.2012; Rozhkov v. Russia (no. 2), no. 38898/04, §79, 31.01.2017). 26.03.2016წ. ღონისძიების ფიზიკური თავისუფლების აღკვეთად მიჩნევისთვის მეორე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს პირის მოთავსება (გადაყვანა) სახელმწიფოს მიერ შერჩეულ შემოზღუდულ სივრცეში. პირი დაკავებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მას ფიზიკური თავისუფლება დახურულ სივრცეში გადაყვანის მიზნით შეეზღუდება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლ. იზორია და დ.-მ. შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. №1/2/503,513 გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ დაკავებად კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენ ხანს – წუთსა თუ საათს გასტანა დაკავებამ. სასამართლო მიუთითებს, რომ ნათელი უნდა იყოს უფლების შეზღუდვის მიზნები, მისი საფუძვლები, ასევე განჭვრეტადი უნდა იყოს ის შედეგებიც, რომლებიც შესაძლებელია უფლებაში ჩარევას მოჰყვეს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. №1/2/503,513 გადაწყვეტილება). საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების თანახმად, გ. რ.-ა 05:05 საათზე დააკავეს (ამ დროს არის შედგენილი გ. რ.-ას მიმართ ადმინისტრაციული დაკავების ოქმი), 05:12 საათზე გ. რ.-ა გადაიყვანეს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში, იმავე დღის 06:36 საათზე გ. რ.-ამ დატოვა ადმინისტრაციული შენობა. ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების გამომძიებლის 26.03.2016წ. პატაკის თანახმად, დაკავება განახორციელეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა, ამასთან მოპასუხე არ მიუთითებს გარემოებებზე, რომლებიც დაადასტურებდნენ გ. რ.-ას ადმინისტრაციულ შენობაში ნებაყოფლობით მისვლასა და შენობის დატოვებაზე ნებაყოფლობით უარის თქმას. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. რ.-ას აღეკვეთა ფიზიკური თავისუფლება 1 (ერთი) საათისა და 31 (ოცდათერთმეტი) წუთის განმავლობაში.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექცევა სკ-ის 1005.3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. „დაკავება“ თავისი არსით, თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ნაკლებად მძიმე ფორმაა, რომელიც მოქცეულია კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებში, ექვემდებარება დამოუკიდებელ შემოწმებას. დაკავება, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ხანმოკლე ფორმა, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაკავება წინ უსწრებს ამავე კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების – წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას და თავისი შინაარსით განსხვავდება თავისუფლების აღკვეთისაგან, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელის სახეს წარმოადგენს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ დაკავებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244.1 მუხლის შესაბამისად პირის ადმინისტრაციული დაკავება დასაშვებია საკანონმდებლო აქტით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები პიროვნების დასადგენად. სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად (ადგილზე შედგენის შეუძლებლობის შემთხვევაში), საქმის დროულად და სწორად განხილვისა და საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, კონკრეტულ პირთან მიმართებით არსებობს იმ სახის ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნულმა პირმა ეს კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა (სისხლის სამართლის პროცესში პირის მიმართ დაკავების ღონისძიების გამოყენების ეტაპზე მოქმედებს „გონივრული ეჭვის“ სტანდარტი, რომელიც ხაზს უსვამს მხოლოდ გამოძიების წარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მცდელობას – სარწმუნო მტკიცებულებებით დაადასტუროს შესაძლო დანაშაულის არსებობა. გონივრული ეჭვის სტანდარტს ბრალდების მხარე იყენებს პირისათვის ბრალდების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად). ადმინისტრაციული დაკავების საკანონმდებლო ფორმულირება არ შეიცავს მინიშნებას გონივრული ეჭვის თაობაზე, თუმცა უდავოა, რომ აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვის ფორმის გამოყენებისას დაკავებაზე უფლებამოსილი პირი არ უნდა მოქმედებდეს ინტუიციით, სუბიექტური განცდით. პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილნი

არიან სამართალდარღვევის აღკვეთისთვის საჭირო ფართო უფლება-
მოსილებებით, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ პირის
მიმართ დაკავების ღონისძიების გამოყენებას. საკასაციო პალატა აღ-
ნიშნავს, რომ თავისუფლების შემზღუდავი სხვა ღონისძიებების მსგავსად,
ადმინისტრაციული დაკავებაც სამართალდარღვევის საქმეთა წარ-
მოებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირისათვის რეაგირების უკი-
დურეს საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. სკ-ის 1005.3 მუხლი პირ-
დაპირ არ შეიცავს მითითებას რეაბილიტირებული პირისათვის ადმი-
ნისტრაციული წესით უკანონოდ დაკავების შედეგად მიყენებული ზი-
ანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების შესაძლებლობაზე. სკ-ის
1005.3 მუხლში არსებული პირის მარეაბილიტირებელი გარემოებების
არსებობის პირობებში „უკანონოდ შეფასებადი“ ქმედებების ჩამონათ-
ვალი უკავშირდება როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაცი-
ულ სამართალდარღვევათა სფეროს („მსჯავრდება“, „სისხლის სამარ-
თლის პასუხისგებაში მიცემა“, „აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმ-
რობის გამოყენება“, „ადმინისტრაციული პატიმრობა“, „დისციპლინუ-
რი პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრა-
ციული სახდელის დაკისრება“). ამასთანავე, სისხლის სამართლის საქ-
მეებზე გამოყენებად თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიებებთან მი-
მართებაში ნორმა უფრო დეტალიზებულია – შეიცავს მითითებას პი-
რის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემიდან მისთვის სასჯე-
ლის შეფარდების ჩათვლით კანონით გათვალისწინებულ ღონისძიება-
თა ჩამონათვალს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვე-
ვათა კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, სკ-ის 1005.3 მუხ-
ლი შეიცავს მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელების – „ადმინისტრა-
ციული პატიმრობისა“ და „გამასწორებელი სამუშაოების“ შესახებ ჩა-
ნაწერს. „ადმინისტრაციული დაკავება“, როგორც სამართალდარღვე-
ვის საქმეზე რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ მისაჩნევი ზე-
მოქმედების ღონისძიება, ნორმაში მითითებული არ არის. საკასაციო
სასამართლოს თვლის, რომ სკ-ის 1005.3 მუხლში „ადმინისტრაციული
დაკავების“ შესახებ ჩანაწერის არარსებობა არ ადასტურებს, რომ ად-
მინისტრაციულ დაკავებას, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ფორ-
მას, არ გააჩნია მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზ-
ნებისათვის. ადმინისტრაციულ დაკავებასა და სკ-ის 1005.3 მუხლში მი-
თითებულ ადმინისტრაციულ პატიმრობას შორის გასხვავება არის მის
ინტენსივობაში, ხანგრძლივობასა და ხარისხში, ამასთან, ადმინისტრა-
ციული დაკავება არის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო ადმინის-
ტრაციული პატიმრობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის სა-
ხეს, თუმცა თავის არსით და დამდგარი ნეგატიური შედეგებით, რაც
გამოიხატება დახურულ სივრცეში გარკვეული დროით მოთავსებაში,

უარყოფითი განცდების წარმოქმნაში, ისინი ერთმანეთს ჰგვანან. ფიზიკური თავისუფლების შემზღუდველი ადმინისტრაციული დაკავების ინსტიტუტი გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით და შესაბამისად მისი მომწესრიგებელი ნორმები უნდა განიმარტოს ნორმატიული ძალით იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი სამართლებრივი აქტების მხედველობაში მიღებით. ადამიანის (ფიზიკური) თავისუფლება დაცულია ძირითადი უფლებების რანგით, რაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს, მისი უკანონოდ აღკვეთა წარმოშობს გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ადამიანის (ფიზიკური) თავისუფლება დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. საქართველოს კონსტიტუციის 13.1 მუხლის მიხედვით, ადამიანის თავისუფლება დაცულია, ხოლო 13.3 მუხლის თანახმად, ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ხელშეუხებლობის დაცვა განსაკუთრებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიებს საჭიროებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19.10.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დ. მაღანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-33). „ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს, როგორც „ultima ratio“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლის მიხედვით, არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად გარდა შემთხვევებისა, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავადაა მითითებული კონვენციის 5.1 მუხლის „a“ ქვეპუნქტებში. კონვენციის მე-5 მუხლი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებთან ერთობლიობაში, მიეკუთვნება იმ ძირითადი უფლებების კატეგორიას, რომელიც პირის ფიზიკურ უსაფრთხოებას იცავს და მას აქვს უმაღლესი მნიშვნელობა. მისი ძირითადი მიზანი თავისუფლების თვითნებური ან გაუმართლებელი აღკვეთის პრევენციაა (Lukanov v. Bulgaria, 20 March 1997, §41, Reports 1997-II; Assanidze v. Georgia [GC], no. 71503/01, §171, ECHR 2004-II; and Ilaşcu and Others v. Moldova and Russia [GC], no. 48787/99, §461, ECHR 2004-VII). ამდენად, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საგამონაკლისო შემთხვევები, რომ-

ლებიც გათვალისწინებულია კონვენციის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტებით და რომელთა დროსაც გამართლებულია თავისუფლების აღკვეთა, დაყოფილი არაა სამართლის დარგების მიხედვით, რის გამოც მათი მოქმედება ვრცელდება ფიზიკურ თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევის მიმართ განურჩევლად თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების სამართლის დარგისადმი კუთვნილებისა, რაც დასტურდება კონვენციის მაგალითად 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებით (Engel and Others v. the Netherlands, 08.06.1976, §68, Series A no. 22). კონვენციის მე-5 მუხლში მითითებული ტერმინი „თავისუფლების აღკვეთა“ ზოგადი მნიშვნელობისაა და მოიცავს ნებისმიერი სახის დაკავებას, დაპატიმრებას თუ სხვაგვარ თავისუფლების შეზღუდვას. მე-5 მუხლთან მიმართებაში ევროპული სასამართლო გასცდა კონვენციის ტერმინების სიტყვასიტყვით განმარტებას, ასე მაგ. დისციპლინური სახდელი, რომელიც უკავშირდება ჰაუბტვახტში მოთავსებას, სტრასბურგის სასამართლოს მიერ შემუშავებული სტანდარტებით ერთმნიშვნელოვნად ხვდება ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოქმედების არეში (იხ. „ენგელი და სხვები ნოდერლანდების წინააღმდეგ“, Engel and others v. the Netherlands, 08.06.1976), მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შეზღუდვის ფორმაზე კონვენციის მე-5 მუხლში ჩანანერი არ არსებობს).

ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებზე ხორციელდება სასამართლო კონტროლი უფლების როგორც პირველადი, ასევე მეორადი დაცვის სამართლებრივი საშუალებებით, მათ შორის ზიანის ანაზღაურების გზით. საქართველოს კონსტიტუციის 13.6 მუხლის მეორე წინადადების თანახმად, უკანონოდ თავისუფლებაზეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. თვითნებური დაკავება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილთან, რომლითაც სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი არის ზოგადი ხასიათის ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირს შეუქმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორ-

მეზი. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული უფლების რესტიტუციის შესაძლებლობას იძლევა „პოლიციის შესახებ„ კანონის 59-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მითითება, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი წესრიგდება სზაკ-ის XIV თავით დადგენილი ნორმებით. სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სზაკ-ის 208-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, სზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. კონვენციის 5.5 მუხლის მიხედვით, ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება. აღნიშნული გარანტიების ქმედითი რეალიზების მიზნით სკ-ის 1005.3 მუხლში მითითებულია ყველა სახელისუფლებო ღონისძიება, რომელიც ზღუდავს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას გარდა ადმინისტრაციული დაკავებისა. მიუხედავად ამისა, ფიზიკური თავისუფლების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით და ნორმის სისტემური განმარტების საფუძველზე, რომლის ამოსავალია მართლწესრიგის ერთიანობა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სკ-ის 1005.3 მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 13.6 მუხლის მეორე წინადადებასთან ერთობლიობაში, წარმოშობს უკანონო ადმინისტრაციული დაკავებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

სკ-ის 1005.3 მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: ზიანის დადგომა, ქმედების მართლწინააღმდეგობა – ფიზიკური თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიების უკანონობა, მიზეზობრივი კავშირი უკანონო ღონისძიებასა და დამდგარ ზიანს შორის, აგრეთვე პირის მარეაბილიტერებელი გარემოების არსებობა. სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ სა-

სამართლო დადგენილება, რომელიც ადასტურებს პირის არაბრალეულობასა და სამართალდარღვევის ჩაუდენლობის ფაქტს, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, წარმოადგენს მარეაბილიტირებელ გარემოებას. სკ-ის 1005-ე მუხლი არ შეიცავს მარეაბილიტირებელ გარემოებათა ჩამონათვალს, ნორმა ანიჭებს რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავს მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად რეაბილიტაციის საფუძვლის არსებობა სასამართლოს დასადგენია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, რაც განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას, შეწყვეტის თანმდევი შედეგია ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის მსგავსად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება შეიცავს სასამართლოს დასკვნას პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედების დაუდასტურებლობის შესახებ და მათ შორის არ არსებობს განსხვავება დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის თვალსაზრისით, რადგან ორივე საფუძველი წარმოადგენს პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მარეაბილიტირებელ გარემოებას. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.16წ. დადგენილება წარმოადგენს მოსარჩელის რეაბილიტაციის საფუძველს, რადგან თანმდევი შედეგის სახით უტყუარად დასტურდება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემის უსაფუძვლობა და პირის მიმართ გამოყენებული თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიების არამართლზომიერება. მართალია, გ. რ-ას მიმართ დაკავება განხორციელდა ფორმალურად კანონიერების პრინციპის დაცვით, თუმცა შეწყდა რა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოება, დადასტურდა, რომ მოსარჩელეს მოუწია კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებზე შემზღუდავი ზემოქმედების ატანა, ვინაიდან მოსარჩელე არ იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი. რეაბილიტაცია არის იმ პირის უფლებების და თავისუფლებების აღდგენა, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებლად დაექვემდებარა პასუხისმგებლობას. პირის რეაბილიტაციის იურიდიული საფუძველია გამამართლებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული დაკავების, ადმინისტრაციული პატიმრობის საკითხები, სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან გან-

სხვაგვებით, წყდება არა სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული იუსტიციის იურისდიქციის ფარგლებში, ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში ადმინისტრაციული დაკავების (დაპატიმრების) და ადმინისტრაციული კატეგორიის სხვა საქმეების განხილვა, არსებული სასამართლო პროცედურის ამბივალენტობის გამო, განსხვავებულ პრინციპებს ემყარება, თუ უკანასკნელის მიმართ მოქმედებს ადმინისტრაციის ბრალის პრეზუმფცია, პირველის მიმართ მოქმედებს პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, გადაცდომის ნაკლები მნიშვნელობის გამო არ დაიშვება პირის პასუხისგებაში მიცემის გარანტიების ჩამორთმევა. მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში პირს უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან პირის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ „სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას“. სახელმწიფოს მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში სახელმწიფო სახსრებიდან ზიანის ანაზღაურება აღიარებულია (საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 5.5 მუხლი, კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლი, სზაკ-ის 207-ე, 208-ე მუხლები).

საქმის განმხილველი სასამართლო ვერ გამოიკვლევს გამართლების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს, პირის სრულად გამართლების ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სრულად შეწყვეტის შემთხვევაში ყოველი დაპატიმრება ან დაკავება, რომელიც წინ უძღოდა გამართლებელ განაჩენს ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტას, თანმდევი შედეგის სახით, გამოიწვევს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას. გამოჩაქვლის წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი, რამდენიმე ქმედების ჩადენისათვის არის პასუხისგებაში მიცემული და სასამართლოს დასკვნა გამართლების ან საქმის შეწყვეტის შესახებ ეხება მხოლოდ ერთ ეპიზოდს ან ერთი ქმედების შემადგენლობას და გამოყენებული თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიება – დაკავება (დაპატიმრება) შესაძლოა მიეკუთვნოს ქმედების იმ შემადგენლობას, რომელშიც პირი

დამნაშავედ ან სამართალდარღვევად იქნა ცნობილი, თუმცა თითოეული ასეთი შემთხვევა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და სამართლომ რეაბილიტაციის საფუძვლის არსებობის მიუხედავად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს დასახელებული გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ამ საკითხის შეფასების წინაშე არ დგას, რადგან მოსარჩელის მიმართ სრულიად შეწყდა საქმის წარმოება სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. როგორც გამამართლებელი განაჩენის, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო ვერ იმსჯელებს „არსებულ ან ჯერ კიდევ არსებულ ეჭვებზე“, ასევე ვერ შეაფასებს დაკავების მიზეზებს და გამამართლებელი განაჩენის მიღების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს, რამეთუ ეჭვი (ვარაუდი) დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, როგორც დაკავების კანონიერების მტკიცების საფუძველი, ვერ იქნება გათვალისწინებული სრულად გამამართლებელი განაჩენის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების სრულად შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ (სუსგ 23.05.23წ. №ბს-1340(კ-20)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დელიქტური სარჩელის განხილვა არ ქმნის კანონიერ ძალაში მყოფი პროცესუალური აქტის (საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების) კანონიერების გადამოწმების, მისი გაუქმების პირობას. კანონიერ ძალაში მყოფი დადგენილებით შეწყდა საქმის წარმოება სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო, ამდენად, დადგენილებით დადასტურდა მოსარჩელის არაბრალეულობა, სახეზეა მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა (უკანონო დაკავება), შესაბამისად წარმოიშვა სკ-ის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის მიხედვითაც ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ პოლიციისთვის არაპრაქტიკული გახდეს მათი მოვალეობის შესრულება შეინარჩუნონ წესრიგი და დაიცვან საზოგადოება, იმ პირობით, რომ ღონისძიება შესაბამემა ნორმის გამოკვეთილ პრინციპს, – დაიცვას ფიზიკური პირი სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისგან (Austin and Others v. the United Kingdom [GC], nos. 39692/09 and 2 others, §56, ECHR 2012). პოლიცია უნდა სარგებლობდეს გარკვეული თავისუფლებით (დისკრეციით) ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. ამგვარი გადაწყვეტილებები როგორც წესი რთულია და პოლიცია ყოველთვის საუკეთესო პოზიციაში იქნება მათ მისაღებად, რადგან იგი ფლობს იმ ინფორმაციასა და ოპერატიულ მასალას, რომელიც ხელმიუწვდომელია

საზოგადოებისთვის (P.F. and E.F. v. the United Kingdom (dec.), no. 28326/09, §41, 23.11.2010). „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 16.1 მუხლის თანახმად, „პოლიციის ძირითადი ფუნქციაა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილება.“ იმავე კანონის 18.1 და 18.2 მუხლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ახორციელებს არამხოლოდ სამართალდარღვევაზე რეაგირების, არამედ მისი პრევენციის ღონისძიებებს. სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიება პირდაპირ უკავშირდება წარსულში (თავისუფლების აღკვეთამდე) დაწყებულ ქმედებას/სამართალდარღვევის ფაქტს და მიზნად ისახავს დამრღვევის მიმართ სამართლებრივი დევნის განხორციელებას, მის დასჯას აკრძალული ქმედების ჩადენის გამო. პრევენციული ღონისძიებებით სახელმწიფო იცავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს, რომელიც მოიცავს ქვეყნის შიგნით სიმშვიდის შენარჩუნების ვალდებულებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ფიზიკური თავისუფლების კანონიერი ან უკანონო აღკვეთის შემთხვევებისგან განსხვავდება ისეთი ადმინისტრაციული შეზღუდვა, რომლის დროსაც სახელისუფლებო ღონისძიებით უზრალოდ იზღუდება მიმოსვლის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის 14.2 მუხლის თანახმად, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. უნდა გაიმიჯნოს თავისუფლების აღკვეთა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის გაგებით და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა, რომელსაც მოიცავს კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მეორე მუხლი (ადამიანის თავისუფლებას შეეხება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი, ხოლო მიმოსვლის თავისუფლებას – მე-14 მუხლი). თავისუფლების შეზღუდვისას სახელმწიფოს მკაცრი მოთხოვნები წაყენება, თავისუფლების შეზღუდვა მოიცავს გადაადგილების თავისუფლების აღკვეთასაც, თუმცა კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული სიკეთისაგან განსხვავებით, ხასიათდება ჩარევის მაღალი ინტენსივობით, ამასთან, მე-14 მუხლით გარანტირებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას პირს არ აქვს აკრძალული გარესამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობა მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთისას დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეზღუდული აქვს გარეშე პირებთან ურთიერთობა. პირისთვის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის დასადგენად მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ სიტუაციას, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სადავო ღონისძიების სახეობა, ხანგრძლივობა, აღსრულების შედეგები და მეთოდი (Guzzardi v. Italy,

6 November 1980, 92, Series A no. 39). ღონისძიების ფიზიკური თავისუფლების აღკვეთად დაკვალიფიცირებისთვის სახეზე უნდა იყოს ორი გარემოება კუმულატიურად: იძულების ელემენტის არსებობა და პირის მოთავსება (გადაყვანა) სახელმწიფო ორგანოს მიერ შერჩეულ შემოზღუდულ სივრცეში, რასაც ადგილი არ აქვს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვისას, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში იგი იმყოფება მის მიერ შერჩეულ სივრცეში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი (ამჟამად მოქმედი რედაქციის 13.1 მუხლი) განამტკიცებს ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის, მისი პირადი თავისუფლების უფლებას, ის ფუნდამენტური უფლებების ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს და კონსტიტუციის თანახმად საგანგებო დაცვას ექვემდებარება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. № 1/2/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლ. იზორია და დ.-მ. შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დადგენილი ერთ-ერთი ძირითადი სტანდარტია ის, რომ ამომწურავი სახითაა ჩამოყალიბებული ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის საგამონაკლისო შემთხვევები (საფუძვლები), რომლებიც მკაცრად უნდა განიმარტოს (*Buzadji v. the Republic of Moldova* [GC], no. 23755/07, §84, 05.07.2016). კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემომწების სიმკაცრის ხარისხს ზრდის ის გარემოებაც, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა – თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). გ. რ.-ას დაკავება არ შეესაბამებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. აღნიშნული ნორმა შეიცავს იმ კონკრეტული სამართალდარღვევების ჩამონათვალს, რომელთა ჩადენის შემთხვევაში შინაგან საქმეთა ორგანოებს, 244.1 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით, შეუძლიათ ადმინისტრაციული დაკავების გამოყენება. შესაბამისად, ადმინისტრაციული დაკავების გამოსაყენებლად უნდა არსებობდეს ორივე გარემოება კუმულატიურად – როგორც დაკავების საფუძველი (244.1 მუხლი), ასევე საკანონმდებლო აქტით უშუალოდ გათვალისწინებული კონკრეტული სამართალდარღვევა, რომლის შემთხვევაშიც შესაძლებელია დაკავება (246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული პატიმრობა არის ადმინისტრაციული სახდე-

ლის სახე, ანუ სამართლებრივი შედეგი, ხოლო ადმინისტრაციული დაკავება არის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როდესაც ამონურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად (244.1 მუხ.). თავისუფლების ძირითად უფლებაში ჩარევა კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად ემსახურება ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორიცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა, საქმის დროული და სწორი განხილვა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული დადგენილების აღსრულება. აღსანიშნავია ისიც, რომ პირის ადმინისტრაციულ დაკავებას კანონი მხოლოდ მას შემდეგ ითვალისწინებს, როცა ამოიწურება ზემოქმედების სხვა ზომები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 26.03.2016წ. შედგენილი №... ადმინისტრაციული დაკავების ოქმში არ არის მითითებული თუ რატომ იქნა მიღებული დაკავების გადაწყვეტილება, არაა მითითებული თუ რა საფუძველი არსებობდა დაკავებისათვის. ოქმის „დაკავების მოტივის“ გრაფაში გადატანილია არა დაკავების საფუძველები, არამედ მასში გადატანილია 08.04.2016წ. სამართალდარღვევის არსი, სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებები.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარებაზე/ცნობაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ უარის თქმა, ასევე ასეთი უარის სასარჩელო წესით გაუსაჩივრებლობა. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 56.3 მუხლის თანახმად, საპოლიციო ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე ხორციელდება, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. სკ-ის 1005.2 მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. მითითებული ნორ-

მა ზიანის ანაზღაურების სამართალში თანაბრალეულობის პრინციპის გამოვლინების განსაკუთრებული ფორმაა, რომლის ფუნქციაა უფლების დაცვის პირველად სამართლებრივ საშუალებებთან მიმართებით ზიანის ანაზღაურების როგორც მეორადი ვალდებულებისთვის დახმარებითი მექანიზმის ბუნების განმტკიცება და ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ღონისძიებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის დაქვემდებარება. არ არსებობს პირის არჩევანის თავისუფლება უფლების პირველადი (როგორიცაა მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების კენ მიმართული სარჩელი) და მეორადი (როგორიცაა მოქმედების განხორციელებით გამოწვეული შედეგების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის კენ მიმართული მოთხოვნა) დაცვის საშუალებების გამოყენებას შორის. აღნიშნული სტანდარტი შეეხება შემთხვევებს, როდესაც ღონისძიების წინააღმდეგ მიმართული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება იქნება ფაქტობრივი შედეგის მომტანი ანუ გამოიწვევს ღონისძიების განხორციელებაზე უარის თქმას ან მისი შემდგომი გაგრძელებისგან შეწყვეტას. აღსრულებული ღონისძიების მიმართ პირს გააჩნია მისი უკანონობის დადასტურების ინტერესი, რაც შემდგომ საფუძველად დაედება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების მიზნით წარდგენილ საჩივარზე მიღებულ დადებით გადაწყვეტილებას შესაძლოა მიენიჭოს მარეაბილიტირებელი გარემოების სტატუსი. მოცემულ შემთხვევაში, გ. რ.-ას მიმართ ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა შეადგენდა 01 საათსა და 31 წუთს. არც საქმის მასალებით დასტურდება და არც მხარე მიუთითებს იმის შესახებ, რომ მოსარჩელისთვის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის პერიოდში არსებობდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ საჩივრის განხილვის დაწყებისა და გადაწყვეტის შესაძლებლობა, რათა უფლების დაცვის პირველად საშუალებას მოეტანა ფაქტობრივი შედეგი. ადმინისტრაციული წესით თავისუფლების შეზღუდვის წინასწარ სანქცირებაში ან გადაუდებელ შემთხვევაში მისი გამოყენებისას – შემდგომში კანონიერად ცნობაში სასამართლო არ მონაწილეობს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად, სასამართლო კონტროლი ასრულებს თავისუფლების და უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტიის, დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ სასამართლოს გარეშე დაკავებული პირის ბედის განსაზღვრის პრევენციის ფუნქციას, თუმცა ადმინისტრაციული წესით დაკავების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი იმწუთიერად გამოყენების საჭიროებისა და ხშირად დაკავების მცირე დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, შეუძლებელი ხდება ადმინისტრაციული სახდელის დადების საკითხის გადანყვეტამდე, მითი-

თებულ პროცედურაში სასამართლოს ჩართულობა. ამდენად, დაუსაბუთებელია განსახილველ შემთხვევაზე სკ-ის 1005.2 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის გამომრიცხავი გარემოების გავრცლება. სკ-ის 1005.3 მუხლის საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია ერთი მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ. დადგენილება წარმოადგენს მარეაბილიტირებელ გარემოებას. ამდენად, აუცილებელი არაა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან საჩივრის დაკმაყოფილებით ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარება/ცნობა. კასატორს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის და დაკავების უკანონოდ აღიარების მიმართ კანონიერი ინტერესი არ გააჩნია, ვინაიდან მის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა, საქმის წარმოების შეწყვეტით გამოირიცხა მოსარჩელის მიერ იმ ქმედების ჩადენა, რომლის აღკვეთის მიზანსაც ემსახურებოდა ადმინისტრაციული დაკავება, აღნიშნული ფაქტი საკმარისია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარების და ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის აუცილებლობის გარეშე, მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა თავისთავად წარმოშობს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს დადგენილება ადასტურებს პირის მიერ სამართალდარღვევის არჩადენას, რომლის აღკვეთის მიზანსაც ემსახურებოდა ადმინისტრაციული დაკავება, წარმოების შეწყვეტა საკმარისია ზიანის ანაზღაურების საკითხის დასმისათვის, აღნიშნულის პირობა არ არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 251-ე მუხლით გათვალისწინებული წესის, უცილობლად გამოყენება, რომლის თანახმად ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირმა შეიძლება გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხსენებული მუხლის საფუძველზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დაკავების უკანონოდ ცნობისა და უკანონოდ აღიარების მოთხოვნით საჩივრით მიმართა შსს გენინსპექციას, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს, ქ. თბილისის პროკურორს, საჩივრები არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ გარემოებას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელობა ორგანოს მუშაკის დისციპლინური დევნისათვის, რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მიზნებს, აღნიშნულს მაშინ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა,

როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, რაც იმთავითვე არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონობას, როდესაც დასტურდება პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თუმცა მის მიმართ დაირღვა ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების მატერიალური ან ფორმალურ-სამართლებრივი (პროცედურული) ნორმები. განსახილველ შემთხვევაში კასატორის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია, აღნიშნულს არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შედეგი, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველასათვის, სასამართლო გადაწყვეტილებით არ დადასტურდა გ. რ.-ას მიერ სამართალდარღვევის ჩადენა, რაც განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. ამდენად, მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლების არსებობის პირობებში, აღარ დასტურდება მოსარჩელის ინტერესი შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მიმართ, რამდენადაც მოსარჩელის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე სასამართლოს აქტით შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სკ-ის 1005-ე მუხლის მოიაზრებს როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებას (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). სკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უკავშირდება რეაბილიტირებული პირისათვის, არ დაიშვება ნორმის ისეთი განმარტება, რომ გამართლებულ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ქმედითი შესაძლებლობა („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონ-

ვენციის“ მე-13 მუხ.). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის შედეგად კომპენსაციის მიღების უფლებას ასევე განამტკიცებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი. საქმეზე „პოლოსიანი და ბაღდასარიანი სომხეთის წინააღმდეგ“ (Case of Pogosyan and Bagdasaryan v. Armenia, 12.09.2012w., განაცხადი N22999/06) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ უკანონო მსჯავრდების დადასტურებისას, პირისათვის დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული დანაწესის არარსებობის შემთხვევაშიც (§51). საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, უკანონოდ თავისუფლებაზეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით გარანტირებული სტანდარტები არ იზღუდება სამართლის ერთი დარგით ან ერთი კონკრეტული საკანონმდებლო აქტით. 13.3 მუხლის მიხედვით, პირის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. ამ შემთხვევაში ტერმინი „დაკავება“ კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა სახის დაკავებას გულისხმობს, შესაბამისად, ამავე მუხლის საფუძველზე სასამართლოსადმი წარდგენის საპროცესო გარანტია ყველა სახის დაკავებულ თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდულ პირზე ვრცელდება. კონსტიტუციით გარანტირებული დაცვა ვრცელდება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებასა და დაპატიმრებაზე, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოწესრიგებულ იმავე ურთიერთობაზეც (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415, 04.02.2005წ. №2/1/263 გადაწყვეტილებები). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უკანონო დაკავება ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი არაქონებრივი უფლების რესტიტუცია, რადგან მას ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაციო ფუნქციას შეადგენს. სამოქალაქო კოდექსის 413.1 მუხლში

მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს, ამ გარემოებათა შორისაა ბრალის ხარისხი და სხვ. (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 08.04.2009წ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფიზიკური თავისუფლების უკანონო აღკვეთით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების საქმეებზე ასანაზღაურებელი ოდენობის გამოანგარიშებისთვის ამოსავალ გარემოებას წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პირს უწევდა ნეგატიური შედეგების თმენა, სოციალურ ურთიერთობებში მონაწილეობის განთავის შეკავება. ამასთან, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრად დამატებით მხედველობაშია მისაღები პირისთვის შესაძლო სამართალდარღვევად შერაცხული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების სიმსუბუქე დანაშაულთან შედარებით, რაც გავლენას ახდენს ადამიანის მორალური განცდების სიღრმეზე, ინსტენსიუობაზე, ორგანოს ბრალის ხარისხი, ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის პერიოდში დაკავებულის უფლებების სხვა ქმედებებით ხელყოფა. მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ოდენობის გამოანგარიშების მიზნით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: მოსარჩელეს შესაძლო სამართალდარღვევად შეერაცხა მსუბუქი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედება („მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ტერიტორიის იერსახის დამახინჯება“), ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა შეადგენდა 91 წუთს, აღნიშნულ პერიოდში ადგილი არ ქონია ორგანოს სხვა ქმედებებით დაკავებულის უფლებების ხელყოფას, მხარეს არ წარმოუდგენია ცნობები მისი ქონებრივი და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ წყდება, მორალური ზიანის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (სუსგ 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17)). საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნილი თანხა (1500ლ) მიყენებული მორალური ზიანის რელევანტური, გონივრული და სამართლიანი არ არის, მოთხოვნილი თანხა არ არის განცდების სიღრმის, დამდგარი ზიანის, გამოყენებული იძულების ფორმის სიმძიმის პროპორციული. მორალური ზიანის შეფასებისას სასამარ-

თლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის ობიექტური გარემოებები და დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ. მოსარჩელის მიმართ გამოყენებული თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიების ნაკლებად ინსტენსიური ხასიათის, თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობის და საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, მახასიათებლები და თავისებურებები, მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიჩნეულ უნდა იქნეს – 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად ეკისრება მის მიერ მითითებულ ყველა მოპასუხეს. სკ-ის 998.1 მუხლის მიხედვით, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საზიანო შედეგის დადგომაში ორგანოს მონაწილეობის საკითხის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამსახურებრივი მოვალეობის საკითხს, კერძოდ იმას, თუ რომელი ორგანოსთვის დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით, შესრულებით ან შეუსრულებლობით (უმოქმედობით) წარმოიშვა ზიანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს უშუალოდ ამ ზიანის გამომწვევ ოქმის შემდგენ, დამკავებელ და სასამართლოში წარმდგენ ორგანოს. ოქმის შემდგენი და მოსარჩელის დამკავებელი პირები მოქმედებდნენ მათთვის სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, შს მინისტრის 30.09.2015წ. №747 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ (ძალადაკარგულია – „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 01.02.2019წ. №9 ბრძანებით) და შს მინისტრის 31.12.2013წ. №993 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ზიანის დადგომა გამოიწვია ადმინისტრაციულმა დაკავებამ, რომელიც 26.03.2016წ. №... ოქმის თანახმად, განახორციელა ძველი თბილისის სამმართველოს I-მა განყოფილებამ. ოქმის შემდგენელი აღასრულებდა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტისთვის და არა უშუალოდ სამინისტროსთვის მინიჭებულ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს. დაკავების მომენტში მოქმედი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 30.09.2015წ. №747 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ 5.2 მუხ-

ლის თანახმად, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი და მასში შემავალი დანაყოფები ახორციელებენ პატრულირებას იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორიები. შესაბამისად, უფლებამოსილებები სამინისტროსა და სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს შორის გამიჯნულია ტერიტორიულობის პრინციპით. ამავე დებულების 5.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას შეადგენდა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის გამოვლენა, თავიდან აცილება და აღკვეთა. დებულების 8.2 მუხლის თანახმად, დეპარტამენტის რაიონული დანაყოფი იყო ძველი თბილისის სამმართველო. ამდენად, იგი აღასრულებდა ტერიტორიული ორგანოსთვის მინიჭებულ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს. დებულების 2.2 მუხლიდან გამომდინარე, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს მინიჭებულ ჰქონდა სახაზინო კოდიც. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საზიანო შედეგის დადგომაში მონაწილეობდა მხოლოდ სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი, რის გამოც მხოლოდ ეს უკანასკნელია სათანადო მოპასუხე, ხოლო დანარჩენი ორგანოები (1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველო, 3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილება) – არასათანადოა. სსკ-ის 178.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოსარჩელე განსაზღვრავს პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია როგორც სათანადო მოპასუხის (სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის), ასევე სხვა არასათანადო მოპასუხეების მიმართ, რის გამოც სარჩელი შესაძლოა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, ხოლო სხვა მოპასუხეებთან მიმართებით არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას

მიაჩნია, რომ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება თავისუფლების უკანონო აღკვეთით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინება, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. რას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და დაეკისროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 150 (ასორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

კასატორმა მოითხოვა მოპასუხეებისთვის სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის გადახდის დაკისრება. სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სასამართლოს გარეშე ხარჯების განაწილების მთლიან პროცესში, მათი პროპორციულად განაწილების მიზნით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა ადვოკატის დახმარებისთვის 9 400 ლარის ანაზღაურების თაობაზე. სსკ-ის 53.1 მუხლის მესამე წინადადების თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. მითითებული ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა

შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი, ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. საკასაციო პალატა თვლის, რომ ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ოდენობა უნდა განისაზღვროს სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგის – მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების გათვალისწინებით. ამასთან, ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები საქმის სირთულე, უფლებების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ასევე ის გარემოებები, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის ეტაპზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, ხოლო პირველი ინსტანციით სამართალწარმოებისას გამართულ სხდომებს მოსარჩელის წარმომადგენელი არ დასწრებია. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხე – ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს უნდა დაეკისროს ადვოკატის მომსახურების ხარჯი 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა სასამართლოს გარეშე იმ სხვა ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც არ უკავშირდებიან ადვოკატის დახმარებას. სსკ-ის 37.3 მუხლის თანახმად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს გარეშე ხარჯად მიიჩნევა მხარის მიერ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ფაქტობრივად განეული არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ აუცილებელი ხარჯი. ამასთან, სსკ-ის 215.1 მუხლის თანახმად, მხარე ვალდებულია სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით, მან უნდა წარადგინოს მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, მტკიცებულება მოთხოვნილი ოდენობით ხარჯის რეალურად განევის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიც-

ცების ტვირთს ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს, თუმცა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მეორე მხარე არ თავისუფლდება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულებებისაგან, რომლებზეც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას თუ შესაგებელს. ამდენად, კანონის მითითებული დანაწესი მოსარჩელეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან ამტკიცოს მის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა/კანონშესაბამისობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისი ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა ვერ წარმოადგინა მოთხოვნის – ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაუსაბუთებელია კასატორის მითითება გადაადგილების გამო ტრანსპორტირების ხარჯების გაწევის, ასევე დროის მოცდენისა და ამ საფუძვლით ხარჯის ანაზღაურების თაობაზე. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის ეტაპზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, ხოლო პირველი ინსტანციით სამართალწარმოებისას გამართულ სხდომებს (თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.07.2018წ., 28.09.2018წ., 03.12.2018წ., 06.01.2019წ., 11.02.2019წ. სხდომებს) მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი არ დასწრებიან, ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება ჩაბარების მიზნით ეგზავნებათ მხარეებს, რის გამოც ასეთი დოკუმენტის ჩასაბარებლად აუცილებელი არაა პირის მიერ რაიმე ხარჯის გაღება. დაუსაბუთებელია ასევე სააღსრულებო ხარჯის გაწევაზე მითითება, რადგან ამ ეტაპზე არ დასტურდება მოპასუხის მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაზე უარის თქმა. კასატორს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა ხარჯების გაწევასა და ოდენობას ქალაქდთან, ასლების გადაღებასთან, მასალის აკინძვასთან, დოკუმენტების მოძიება მოპოვებასთან დაკავშირებით. საქმის მასალებში წარმოდგენილია სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუმცა არ დასტურდება, რომ მინდობილობა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოცემული დავის წარმოების მიზნით არის გაცემული, შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ვერ იქნება მიჩნეული უშუალოდ განსახილველ საქმეზე განეულ ხარჯად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული

ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. რ.-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2019წ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. რ.-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს გ. რ.-ას სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
5. გ. რ.-ას სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს გ. რ.-ას სასარგებლოდ დაეკისროს ხარჯების გადახდა საადვოკატო მომსახურებისთვის 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;
7. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე
სასარჩელო ხანდაზმულობა**

**გადანყვეთილება
საქართველოს სახელით**

№ბს-626(2კ-23)

20 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ნ-ემ 2021 წლის 30 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ამავე სამსახურის პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №... დაწესებულების, დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის №... დაწესებულების მიმართ და მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 100 000 ლარის დაკისრება მოითხოვა. სარჩელის თანახმად, კ. ნ-ემ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დააფუძნა უკანონო პატიმრობას, ვინაიდან მან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დამატებით დაყო 4 თვე და 13 დღე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მითითებული გარემოების გამო დაირღვა მისი კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები და პრინციპები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენით დაკმაყოფილდა ...ის რაი-

ონული პროკურატურის შუამდგომლობა; დამტკიცდა თბილისის ...ის რაიონული პროკურატურის პროკურორ – გ. გ-სა და ბრალდებულ კ. ნ-ეს შორის 2008 წლის 17 აპრილს დადებული საპროცესო შეთანხმება; კ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და 2007 წლის 27 სექტემბრის ეპიზოდისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვით, 2007 წლის 24 ოქტომბრის ეპიზოდისთვის – 6 (ექვსი) თვით, ხოლო 2007 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, მთლიანად შეიკრიბა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები და კ. ნ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, კ. ნ-ეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა 6 თვე, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი, სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალი პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება. მსჯავრდებულ კ. ნ-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა. მსჯავრდებულ კ. ნ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2008 წლის 21 იანვრიდან. მას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალი 2007 წლის 27 სექტემბრიდან 2007 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი, ასევე, 2007 წლის 24 ოქტომბრიდან 2007 წლის 26 ოქტომბრამდე პატიმრობაში ყოფნის დრო. მსჯავრდებულ კ. ნ-ეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემდეგ, საქართველოს სსკ-ის 65-66-ე მუხლების საფუძველზე, დაევალი, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე, არ შეეცვალა მუდმივი ბინადრობის ადგილი და არ დაემყარებინა ურთიერთობა იმასთან, ვისაც შეიძლება იგი ჩაება ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, ამასთან, მის ყოფაქცევაზე კონტროლი და დახმარების განხორციელება დაევალი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის პრობაციის ბიუროს. დასახელებული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა მიღებისთანა-

ვე და დაექვემდებარა აღსრულებას;

– საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დ. დ-ის მიერ 2008 წლის 17 აპრილს გაცემული ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამავე კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენით კ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით და ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, ასევე წარმოდგენილია 2008 წლის 18 აპრილისა და 2008 წლის 5 მაისის ცნობები განაჩენის გამოტანის შესახებ, რომლებიდანაც ირკვევა, რომ 2008 წლის 17 აპრილს სასამართლოს მიერ გასამართლებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №... საპყრობილის პატიმარი კ. ნ-ე, რომელსაც მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე ცნობით №... საპყრობილის სპეციალური განყოფილების უფროსი ალ. ჯ-ა მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს, რათა საპყრობილეში სასწრაფოდ იქნეს გადაგზავნილი განაჩენის ასლები, დამონმებული გერბიანი ბეჭდით;

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით, მსჯავრდებულ კ. ნ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენში შევიდა ცვლილება. კერძოდ, კ. ნ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 თვის და 17 დღის ვადით განახევრდა და, საბოლოოდ, მას მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 23 დღის ვადით. ვინაიდან კ. ნ-ეს 2008 წლის 28 ნოემბრისთვის მოხდილი ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, დარჩენილი სასჯელი – 23 დლით თავისუფლების აღკვეთა, ჩაეთვალა პირობითად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი. ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ კ. ნ-ე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო სასჯელაღსრულების შესაბამისი დაწესებულებიდან;

– დადგენილია, რომ №... სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა 2008 წლის 18 ნოემბერს წერილით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა მსჯავრდებულ კ. ნ-ის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენისა და განკარგულების გადაგზავნა პირად საქმეზე დასართავად. აღნიშნული წერილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2008 წლის 28 ნოემბრის მიმართვით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯე-

ლალსრულების დეპარტამენტში გადააგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის დადგენილება. ამავე მიმართვაში შენიშვნის სახით მითითებულია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტს დადგენილება ჩაჰბარდა 2008 წლის 2 ნოემბერს და მას თან ერთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის განაჩენის ასლი;

– 2008 წლის 17 აპრილის განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ კ. ნ-ეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში უნდა გაეტარებინა 2008 წლის 21 იანვრიდან 2008 წლის 15 ივლისამდე პერიოდი, ხოლო მან კანონიერი საფუძვლის გარეშე სასჯელალსრულების დაწესებულებაში დაყო 4 თვე და 13 დღე და გათავისუფლდა 2008 წლის 28 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების შესაბამისად, კ. ნ-ემ 2021 წლის 17 ივნისს განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენის ასლი. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის 2021 წლის 17 ივნისის მიმართვით კ. ნ-ეს გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის განაჩენის ასლი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 130-ე, 1008-ე მუხლები, ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით, ასევე მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილებაზე – „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხარპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (სუსგ 07.12.2020წ. №ბს-326(კ-19)). (სუსგ 21.06.2022წ. №ას-34-2022, 177, 179 პ.), (სუსგ 13.09.2021წ. №ბს-1320(კ-19)) და მიიჩნია, რომ კ. ნ-ეს ზიანის ანაზღაურების საკითხი შეიძლება დაეყენებინა 2008 წლის 28 ნოემბრიდან სამი წლის განმავლობაში. კერძოდ, იმ დროიდან, როდესაც სასამართლოს მიერ განხილულ იქნა 2008 წლის 21 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების საკითხი და სასამართლოს დადგენილების საფუძველზე კ. ნ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასჯელალსრულების დაწესებულებიდან. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა კ. ნ-ისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის გამამტყუნებელი განაჩენის ჩაბარების ფაქტი, თუმცა ამის მიუხედავად, მისთვის ცნობილი იყო სას-

ჯელის სახის და ზომის შესახებ და მოსარჩელემ ვერ შეძლო იმის დამტკიცება, თუ რა გახდა ხელისშემშლელი გარემოება იმისა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მოეთხოვა და მიეღო მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ასლი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის სასამართლოში წარმოდგენის დროისთვის – 2021 წლის 30 ნოემბრისათვის გასული იყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ნ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს კ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 7000 ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველს არ ქმნიდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო პალატამ ყურადღება მიექცია უდავო ფაქტობრივ გარემოებას, რომ სხდომას, რომელზეც გამოცხადდა განაჩენი, ესწრებოდა მსჯავრდებული კ. ნ-ე. პალატამ ხსენებული ფაქტის შეფასებისას მიიჩნია, რომ მას არანაირი სამართლებრივი დატვირთვა არა ჰქონდა განსახილველი დავის მიმართ, რადგან მსჯავრდებულმა, მართალია, მოისმინა გამოტანილი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი, თუმცა აღნიშნული გარემოება არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მას ევალებოდა ან/და შესაძლებლობა ჰქონდა სარეზოლუციო ნაწილში განსაზღვრული წესებით გამოეთვალა სასჯელის დაწყებისა და დასრულების ვადა. მსჯავრდებულისათვის ამგვარი ვალდებულების დაკისრებას არ ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამასთანავე, უდავოა, რომ განაჩენის გამოცხადების დღეს წერილობითი სახით მსჯავრდებულს განაჩენი არ გადასცემია. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ კ. ნ-ე 2008 წლის 28 ნოემ-

ბერს გათავისუფლდა სასჯელალსრულების დაწესებულებიდან. არ დასტურდება, რომ გათავისუფლებისას მას გადაეცა მის მიმართ გამოტანილი განაჩენების ასლები. ასევე არ დასტურდება, რომ მას ეცნობა დარღვეული უფლების თაობაზე და განემარტა ზიანის ანაზღაურების უფლება. მოცემულ საქმეზე არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ კ. ნ-ემ იცოდა სასჯელის ვადის ამოწურვის შესახებ და არ ითხოვდა დაწესებულების დატოვებას. დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ დაცული იყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

დავის ძირითად არსთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენის თანახმად, მსჯავრდებულ კ. ნ-ეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში უნდა გაეტარებინა 6 თვე, კერძოდ, 2008 წლის 21 იანვრიდან 2008 წლის 15 ივლისამდე. თუმცა, მისი განთავისუფლება მოხდა 2008 წლის 28 ნოემბერს, მაშინ როდესაც გასული იყო სასჯელის მოხდის 6-თვიანი ვადა. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა კ. ნ-ის უკანონო პატიმრობა 4 თვითა და 13 დღით. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის უკანონო ქმედება, რაც გამოიხატა მსჯავრდებულის საპატიმრო დაწესებულებაში იმაზე მეტი დროით მოთავსებაში, ვიდრე მისჯილი ჰქონდა. აღნიშნულმა ქმედებამ განაპირობა მოსარჩელის უკანონო თავისუფლების აღკვეთა. მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის დგინდება იმ გარემოებით, რომ საპატიმრო სახდელის აღსრულება და მის შესრულებაზე კონტროლი „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით ევალებოდა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და მისდამი დაქვემდებარებულ პენიტენციურ დაწესებულებებს. ანალოგიური შინაარსის ვალდებულებაზე მიუთითებდა კ. ნ-ის პატიმრობის დროს მოქმედი „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონიც. აღნიშნული ფაქტების ერთობლიობა კი ქმნიდა მოსარჩელესთან მიმართებაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

კასატორი – სპეციალური პენიტენციური სამსახური მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე, 1008-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს სასარჩელო მოთხოვნის სასამართლოში წარდგენის ხანდაზმულობის ვადა, ხოლო სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ მოცემულ საკითხზე ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო არა 2008 წელს, არამედ 2021 წელს,

როდესაც მხარემ საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოითხოვა მის მიმართ 2008 წლის 17 აპრილს დადგენილი განაჩენი. კასატორის მოსაზრებით, საქმეში დაცული დოკუმენტაციისა და ახსნა-განმარტებებში ჩამოყალიბებული მსჯელობის მხედველობაში მიღებით, ცალსახაა, რომ მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების საკითხი უნდა დაეყენებინა 2008 წლის 28 ნოემბრიდან 3 წლის განმავლობაში, ე.ი. იმ დროიდან, როდესაც კ. ნ-ე 2008 წლის 28 ნოემბრის სასამართლო დადგენილების საფუძველზე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასჯელალსრულების დაწესებულებიდან. ამ მომენტიდან კ. ნ-ეს შეეძლო მიემართა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის და მოეთხოვა განაჩენის მისთვის გადაცემა, რაც შემდეგ გახდებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველი.

რაც შეეხება დავის ძირითად არსს, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეზე დადასტურებული გარემოებების შესაბამისად, გამოირიცხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბრალეული ქმედება, რის გამოც არ არსებობს მისი პასუხისმგებლობის დადგომის სამართლებრივი საფუძველი.

კასატორი – კ. ნ-ე სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს იმ ნაწილში, რომლითაც მის მიმართ მორალური ზიანის – 7000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა მხოლოდ სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებას და აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად უნდა დაკისრებოდეთ ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №... დაწესებულებას და დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის №... დაწესებულებას, ვინაიდან ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ მის მიმართ უკანონო პატიმრობის დადგომის საკითხში.

კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაში გატარებული ყოველი დღე წარმოადგენდა მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმას, სწორედ უკანონო პატიმრობის გამო, იგი მოწყვტილი იყო საკუთარ ოჯახს, ვერ ურთიერთობდა შვილებთან, მეუღლესთან, ასაკოვან დედასთან, გადაიტანა ნეგატიური განცდები და სტრესი, რაც უარყოფითად აისახა მის ჯანმრთელობაზე, ასევე შეილახა მისი პატივი და ღირსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველები, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2023 წლის 27 ივლისის განჩინებით კ. ნ-ისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ კ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეთათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობების არსებობა, ასეთი წინაპირობების არსებობის დადასტურების შემთხვევაში კი – ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა, თუმცა, მოცემული გარემოებების დადგენამდე და შეფასებამდე, პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, რამეთუ, ზოგადად, „ვადის უფლებანარმომშობი და უფლებააღმკვეთი თვისება გამოკვეთილია არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, არამედ იგი დამახასიათებელია მთელი სამართლისათვის. დრო იწვევს სამართლებრივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული... სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობა შეზღუდულია ნორმატიულად იმპერატიულად განსაზღვრული ვადებით. კანონმდებლობით გათვალისწინებულია დროის ის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც უნდა მიმართოს მხარემ სასამართლოს თავისი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად. სასარჩელო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების შემოღების ერთ-ერთ მიზანს საქმის სწორად გადაწყვეტა წარმოადგენს. კერძოდ, „გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუ-

არობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისგან...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები – „თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21, 23).

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ვადების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა უფლება დაუსრულებლად, განუსაზღვრელად არ იყოს საეჭვო. ამასთანავე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დროული განხორციელება ემსახურება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არაჯეროვანი გამოყენება, სასამართლოსათვის ვადის დარღვევით მიმართვა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. კერძოდ, მოთხოვნის უფლება აგრძელებს არსებობას, მაგრამ, მისი საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვერ დაექვემდებარება იძულებით აღსრულებას და დარღვეული უფლების აღდგენა მხოლოდ დამრღვევის მიხედულებაზე იქნება დამოკიდებული. უფრო მეტიც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული შეცილებითი და მავალდებულებელი სარჩელის წარდგენისას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვა წარმოადგენს სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ კრიტერიუმს და ასეთი ვადის დაუცველობა საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობას ქმნის. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასა-

მართლო ვალდებულია, შეამოწმოს მითითებული ვადების მხარეთა მიერ დაცვის ფაქტი. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა მოიცავს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უფლებაშელახულ პირს შეუძლია, მოითხოვოს საკუთარი დარღვეული უფლების სამართლებრივი გზით დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლას უკავშირდება კონკრეტული იურიდიული შედეგი – სასამართლოს მეშვეობით უფლების იძულებითი განხორციელების შეუძლებლობა. ამასთან, ვინაიდან, ხანდაზმულობა არსებით გავლენას ახდენს პირის უფლება-მოვალეობებზე, პალატის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს მისი ათვლის მომენტი. ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების წესს კი ადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმის მიხედვით, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება მოთხოვნა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის განსხვავებულ (სპეციალურ) ვადებს. კერძოდ, დელიქტიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნებისათვის სპეციალური ხანდაზმულობის ვადა დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით, რომლითაც, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, ზოგადი წესის მსგავსად, ასევე დაწესებულია ხანდაზმულობის ვადის ათვლის წინაპირობები, რაც გულისხმობს დელიქტით მიყენებული ზიანის ფაქტის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ დაზარალებულის ინფორმირებას. მას შემდეგ, რაც უფლებაშელახული პირი შეიტყობს დელიქტით მიყენებული ზიანის ან ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ვინაობას, მას აქვს სამი წლის ვადა დარღვეული უფლების აღსადგენად. ამრიგად, კანონმდებლობით იმპერატიულად არის განსაზღვრული დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სასამართლო წესით მხოლოდ სამი წლის განმავლობაში მოთხოვნის შესაძლებლობა, ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ინფორმაციის შეტყობის მომენტიდან.

საკასაციო პალატა გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყების მომენტის განსაზღვრისთვის მიუთითებს საქმეზე უდავოდ დადასტურებულ

გარემოებებზე: განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენით დაკმაყოფილდა ...ის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობა და დამტკიცდა ბრალდების მხარესა და განსასჯელ კ. ნ-ეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება; საბოლოოდ, კ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ასევე ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, კ. ნ-ეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა 6 თვე, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი. საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის დადგენილებაზე, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენში შევიდა ცვლილება და კ. ნ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 თვის და 17 დღის ვადით განახევრდა და, საბოლოოდ, მას მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 23 დღის ვადით. ვინაიდან კ. ნ-ეს 2008 წლის 28 ნოემბრისთვის მოხდილი ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, დარჩენილი სასჯელი – 23 დღით თავისუფლების აღკვეთა, ჩაეთვალა პირობითად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი. ამავე დადგენილებით კ. ნ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის შესაბამისი დაწესებულებიდან. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ 2008 წლის 28 ნოემბერს სასჯელალსრულების დაწესებულებაში გაიგზავნა კ. ნ-ის მიმართ მიღებული დადგენილება, რომლითაც ის ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. მიმართვას ასევე ახლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დ. დ-ის მიერ კ. ნ-ის მიმართ 2008 წლის 17 აპრილს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ასლი. ამავე მიმართვაში შენიშვნის სახით დატანილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტს დადგენილება ჩაჰბარდა 2008 წლის 2 ნოემბერს და მას თან ერთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის განაჩენის ასლი. ამის შემდეგ დაწესებულებამ კ. ნ-ეს აცნობა განაჩენისა

და დადგენილების შესახებ და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სას-
ჯელალსრულების დაწესებულებიდან. აღნიშნული ფაქტის დასტურად
საქმეში ასევე წარმოდგენილია პირად საქმეში დაცული ცნობის ასლი,
რომლითაც კ. ნ-ე ხელმოწერით ადასტურებს 2008 წლის 17 აპრილის
განაჩენისა და იმავე წლის 28 ნოემბრის დადგენილების შინაარსის გაც-
ნობის ფაქტს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გა-
მოიკვლია რა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, მიუ-
თითა გამამტყუნებელი განაჩენის მხარისთვის სათანადო წესით 2021
წლამდე ჩაუბარებლობაზე, რის გამოც მიიჩნია, რომ არ არსებობდა ხან-
დაზმულობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძ-
ვლები. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვი-
ლა ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, კერძოდ, 2008 წლის 28 ნოემბრის
დადგენილებაზე, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი 2008 წლის 17
აპრილის განაჩენით კ. ნ-ისათვის დანიშნული სასჯელი, ასევე ამნისტი-
ით აქტით მისი შემსუბუქება და, საბოლოოდ, მითითებულია სასჯელალ-
სრულების დაწესებულებიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების ბრძა-
ნებაზე. ამრიგად, საკასაციო პალატა, საქმეზე დადასტურებული ფაქ-
ტობრივი გარემოებებისა და მათი მომწესრიგებელი სამართლებრივი
ნორმების ურთიერთშეჯერების შედეგად, მიიჩნევს, რომ კ. ნ-ის ზია-
ნის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხი შეეძლო დაეყენებინა 2008
წლის 28 ნოემბრიდან სამი წლის განმავლობაში. კერძოდ, იმ დროიდან,
როდესაც სასამართლოს მიერ განხილულ იქნა 2008 წლის 21 ნოემბრის
„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების საკითხი. საქ-
მის მასალების მიხედვით, დასტურდება, რომ 2008 წლის 28 ნოემბრის-
თვის კ. ნ-ისთვის ცნობილი იყო მოცემული ფაქტის შესახებ და საგუ-
ლისხმოა, რომ სწორედ ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე
კ. ნ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასჯელალსრულების დაწესე-
ბულებიდან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელის სასამართლოში
წარდგენის დროისთვის – 2021 წლის 30 ნოემბრისთვის გასული იყო სა-
სარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რაც სარჩე-
ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნიდა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალა-
ტა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებ-
რივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და
სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული
ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქ-
მდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მი-
ღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე

უარის თქმის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. კ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. კ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო

№ბს-504(კ-22)

7 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „...მა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა): ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 4 აგვისტოს №04/43857 გადაწყვეტილება; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 20 მაისის №04/26325 გადაწყვეტილება; გ) მოპასუხეს დაევალოს მოსარჩელის მიერ პაციენტ ნ. ჩ-ის, გ. მ-ის, ბ. ძ-ის, დ. ჭ-სა და ე. ჩ-ის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება 5124,99 ლარის ოდენობით; დ) მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის ანაზღაურება 1397,97 ლარის ოდენობით, ასევე, წელიწადში 5124,99 ლარის 9,5%-ის ოდენობით 2021 წლის 28 ივნისიდან.

სარჩელის თანახმად, შპს „...ში“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაენია პაციენტებს: ნ. ჩ-ეს, გ. მ-ს, ბ. ძ-ს, დ. ჭ-ს და ე. ჩ-ს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 4 აგვისტოს №04/43857 გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ზემოაღნიშნულ პაციენტებზე გაწეული მომსა-

ხურების ანაზღაურებაზე, ხოლო 2019 წლის 20 მაისის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის 2018 წლის 7 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივარი.

მოსარჩელე არ ეთანხმება აღნიშნულ აქტებს და ამასთან, მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ ხარჯების აუნაზღაურებლობით მიადგა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით, კერძოდ, მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე და განმარტავს, რომ კლინიკას დროულად, რომ მიეღო შემოსავალი შეეძლო აღნიშნული თანხის ანგარიშზე განთავსებით მიეღო საპროცენტო სარგებელი. მოპასუხე მხარეს 2018 წლის მაისის თვის ჩათვლით უნდა განეხორციელებინა 5124,99 ლარის ჩარიცხვა 36-ე დადგენილების მე-14 მუხლის საფუძველზე (60 დღის ვადაში). 2018 წლის 1 ივნისიდან დაიწყო ვადაგადაცილება და სარჩელის შეტანის დღისათვის (28/06/2021წ) ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა არის – 1123 დღე. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი 2018 წლის 1 ივნისიდან 2020 წლის 14 აპრილამდე შეადგენდა 8,5%, ხოლო 2020 წლის 15 აპრილიდან – 9,5%. შესაბამისად მიღებული შემოსავალი უნდა გაიყოს 365 დღეზე, გამოითვალოს ყოველდღიური სარგებლის ოდენობა და გამრავლდეს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 ივლისის განჩინებით მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 4 აგვისტოს №04/43857 გადაწყვეტილება და 2019 წლის 20 მაისის №04/26325 გადაწყვეტილება. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს დაევალა, მოსარჩელეს აუნაზღაუროს №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევები 5124,99 ლარის ოდენობით. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 1397,97 ლარის ოდენობით, ასევე, 2021 წლის 28 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – თვეში 40,5 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) პაციენტი ნ. ჩ-ე (დაბადებული ... წლისს) შპს „...ში“ სამკურნალოდ 2018 წლის 31 იანვრის 15:15 სთ-დან 2018 წლის 3 თებერვლის 17:00 სთ-მდე იმყოფებოდა. აღნიშნულ სამედიცინო შემთხვევასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: დიაგნოზი: ...; სხვა – ...; სხვა –

...; ... – ...; დედის სისხლის კუთვნილება – AP; ბავშვის სისხლის კუთვნილება – AP ; ორსულობის პერიოდის გართულებები: დედა იღებდა ფოლიუმის მჟავას, MgB 6, DH – კომბი, ვიტრუმ – D3, ფენიქსელი. მშობიარობის ტიპი ვაგინალური. აპგარი 8/9 ქ; ახალშობილი დაიბადა ...ში, გაენერა ბინაზე 29.01.2018 და სტაციონარს მომართა 31.01.2018-ში“; ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები: „სისხლის ჯგ/რეზუსი. სსა. C რეაქტიული ცილა, ბილირუბინი“; ავადმყოფობის მიმდინარეობა: „ახალშობილის ზოგადი მდგომარეობა განყოფილებაში შემოსვლისას შეფასდა საშუალო სიმძიმის, კლინიკურად გამოეხატა გაკონტროლდა T.BIL – 326, 1 mmol/l. მიეკუთვნა საშუალო რისკის ჯგუფს, გესტაციის და პროტოკოლის გათვალისწინებით დაწყებულ იქნა ფოტოთერაპია. განმეორებით 24 და 48 საათიანი კონტროლის მიხედვით T.BIL – 227 mmol/l და T.BIL – 218 mmol/l, რის გამოც შეწყდა ფოტოთერაპია... ახალშობილი გაენერა ბინაზე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში“; ჩატარებული მკურნალობა: ფოტოთერაპია – 1 დღე, ვიტამინები, კარნიტინი. აღნიშნული სამედიცინო შემთხვევა ნომრით ... ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაეცა ანაზღაურების მიზნით 2018 წლის 31 იანვრის 16:15 სთ-დან 2018 წლის 3 თებერვლის 17:00 სთ-მდე გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების – I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის კომპონენტით; ბ) პაციენტი გ. მ-ი (დაბადებული ... წლისს) შპს „...ში“ სამკურნალოდ 2018 წლის 11 თებერვლის 12:00 სთ-დან 2018 წლის 19 თებერვლის 17:00 სთ-მდე იმყოფებოდა. აღნიშნულ სამედიცინო შემთხვევასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: დიაგნოზი: ...; სხვა – ...; გესტაციურ ასაკთან შედარებით დიდწონიანი ახალშობილი P08.1; ახალშობილთა სხვა კვების პრობლემები P92.8; ახალშობილის სინდრომი დედისგან, რომელიც დაავადებულია; – მოკლე ანამნეზი: „...; ორსულობა – III, მშობიარობა – III, დაბადების მასა – 4000 გრ, სიგრძე – 50 სმ; დედის სისხლის კუთვნილება – AN; ბავშვის სისხლის კუთვნილება – OP; მშობიარობის ტიპი საკეისრო კვეთა, ჩვენება: 1-ჯერ გადატანილი საკეისრო კვეთა, არასრულფასოვანი ნაწიბური საშვილოსნოზე. აპგარი 7/7 ქულა; ახალშობილი დაიბადა ...ში, დაბადებიდან მე-4 დღეს გამოეხატა ...ის დათრგუნვა, ... გაკონტროლდა TBIL, მაჩვენებლისა და პროტოკოლის გათვალისწინებით საჭიროებდა ფოტოთერაპიას, რის გამოც მოთავსდა I დონის მეთვალყურეობის ქვეშ“; ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები: „სისხლის ტესტი, რეაქტიული ცილა, გლუკოზა სისხლში, TBIL, რეტიკულოციტი“; ინსტრუმენტული გამოკვლევები: ნეიროსონოგრაფია; ჩატარებული მკურნალობა: ფოტოთერაპია, ვიტამინები, ჩაუტარდა ვაქ-

ცინაცია, ჩაუტარდა სკრინინგი ... გაენერა ბინაზე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. აღნიშნული სამედიცინო შემთხვევა ნომრით ... ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაეცა ანაზღაურების მიზნით 2018 წლის 11 თებერვლის 12:00 სთ-დან 2018 წლის 19 თებერვლის 17:00 სთ-მდე გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების – I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის კომპონენტით; გ) პაციენტი ბ. ძ-ი (დაბადებული წლის) შპს „...ში“ სამკურნალოდ 2018 წლის 3 თებერვლის 15:00 სთ-დან 2018 წლის 6 თებერვლის 18:00 სთ-მდე იმყოფებოდა. აღნიშნულ სამედიცინო შემთხვევასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: დიაგნოზი: ... ; ... – 41 კვ; ორსულობა – I, მშობიარობა – I, დაბადების მასა 3400 გრ, სიგრძე – 50 სმ, დედის სისხლის კუთვნილება – OP, ბავშვის სისხლის კუთვნილება – AP , ორსულობის პერიოდის გართულებები – I ტრიმესტრში ღებულობდა ფოლიუმის მჟავას, II ტრიმესტრში – ულტროჟესტანს, III ტრიმესტრში – მაგენიას. მშობიარობის ტიპი – ფიზიოლოგიური მშობიარობა, ნაყოფის თავით წინმდებარეობა, I დროული მშობიარობა, კეფით წინმდებარეობა, წინა სახე. აპგარი 7/8 ქულა“; – ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები: „სისხლის ტესტი, სსა C რეაქტიული ცილა, ბილირუბინი, რეტიკულოციტი“; ავადმყოფობის მიმდინარეობა: „02.02.2018 20:40 სთ-ზე ახალშობილი დაიბადა ...-ში. მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი. იმყოფებოდა დედასთან ერთად პალატაში, ძუძუთი კვების აქტიურ რეჟიმზე. დინამიკაში ახალშობილს გამოეხატა გაკონტროლდა T.BIL– 184 mmol/l, პროტოკოლის გათვალისწინებით საჭიროებდა ფოტოთერაპიას, რის გამო 03.02.18 15:00 ახალშობილი მოთავსდა გახანგრძლივებული მოვლის განყოფილებაში, I დონის მეთვალყურეობა, დაწყებულ იქნა ინტენსიური ფოტოთერაპია... 04.02.18 20:00 T.BIL– 174,0 mmol/l-ის კონტროლის საფუძველზე შეწყდა ფოტოთერაპია“; ჩატარებული მკურნალობა: ფოტოთერაპია, ვიტამინები ... გაენერა ბინაზე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. აღნიშნული სამედიცინო შემთხვევა ნომრით ... ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაეცა ანაზღაურების მიზნით 2018 წლის 3 თებერვლის 15:00 სთ-დან 2018 წლის 6 თებერვლის 18:00 სთ-მდე გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების – I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის კომპონენტით; დ) პაციენტი დ. ჭ-ა (დაბადებული ... წლის ...) შპს „...ში“ სამკურნალოდ 2018 წლის 24 თებერვლის 16:00 სთ-დან 2018 წლის 28 თებერვლის 16:00 სთ-მდე იმყოფებოდა. აღნიშნულ სამედიცინო შემთხვევასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით შემდეგი მონაცემები და-

ფიქსირდა: დიაგნოზი: ...; – ...– 36 + 5/7 კვ; ორსულობა – III, მშობიარობა – II, დაბადების მასა 3650 გრ, სიგრძე – 51 სმ, დედის სისხლის კუთვნილება – AN, ბავშვის სისხლის კუთვნილება – AP, ორსულობის პერიოდის გართულებები – ... მკურნალობა, შემანარჩუნებელი თერაპია. მშობიარობის ტიპი – საკეისრო კვეთა, ჩვენება: ნაყოფის არამადაკმაყოფილებელი მდგომარეობა. აპგარი 8/9 ქულა“; ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები: „სისხლის ტესტი, სსა C რეაქტიული ცილა, გლუკოზა სისხლში, T.BIL, რეტიკულოციტი“; ავადმყოფობის მიმდინარეობა: „...24.02.18 გამოიხატა ..., კრამერის შკალით IV ზონა. გაკონტროლდა T.BIL ... საჭიროებდა ფოტოთერაპიას, რის გამოც“ ახალშობილს 2018 წლის 24 თებერვალს 16:00 სთ-ზე დაენყოლიონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლა. პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ შეწყდა ფოტოთერაპია. ფოტოთერაპიის შეწყვეტიდან 24 საათისა და 48 საათის შემდეგ მაჩვენებელი აღარ საჭიროებდა ჩარევას, თუმცა აღინიშნებოდა წინა მაჩვენებელთან შედარებით T.BIL-ის მაჩვენებლის ზრდა, რის გამოც ახალშობილი კვლავ საჭიროებდა სტაციონარულ მეთვალყურეობას. დინამიკაში ახალშობილის ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესდა...“ ჩატარებული მკურნალობა: ფოტოთერაპია, ვიტამინები... გაენერა ბინაზე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. აღნიშნული სამედიცინო შემთხვევა ნომრით ... ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაეცა ანაზღაურების მიზნით 2018 წლის 24 თებერვლის 16:00 სთ-დან 2018 წლის 28 თებერვლის 16:00 სთ-მდე გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების – I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის კომპონენტით; ე) პაციენტი ე. ჩი-ჩ-ე (დაბადებული ... წლისს) შპს „...ში“ სამკურნალოდ 2018 წლის 25 თებერვლის 11:32 სთ-დან 2018 წლის 27 თებერვლის 16:00 სთ-მდე იმყოფებოდა. აღნიშნულ სამედიცინო შემთხვევასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: დიაგნოზი: ნაყოფის და ახალშობილის; – ...– 39 + 5/7 კვ; ორსულობა – II; მშობიარობა – II; დაბადების მასა – 3100 გრ; სიგრძე – 51 სმ; დედის სისხლის კუთვნილება – OP; ბავშვის სისხლის კუთვნილება – BP; ორსულობის პერიოდის გართულებები – ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი. I ტრიმესტრი – ფოლის მჟავა, კლექსანი 75 მგ. II ტრიმესტრი MGB6, III ტრიმესტრი – კლექსანი 0,2 მგ. ტიპი – ვაგინალური მშობიარობა. აპგარი 8/8 ქ“; – ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები: „სსა, ჯგუფი და რეზუსი, C რეაქტიული ცილა, გლუკოზა სისხლში, სისხლის მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა, ბილირუბინი, რეტიკულოციტები“; ინსტრუმენტული გამოკვლევები: ნეიროსონოკოპია; ავადმყოფობის მიმდინარეობა: „...25.02.2018 11:32 ახალშო-

ბილთან გამოიხატა T.BIL კონტროლით საჭიროებს ფოტოთერაპიას, რის გამო ახალშობილი მოთავსდა I დონის ინტენსიური მეთვალყურეობის განყოფილებაში. დაწყებულ იქნა უწყვეტი ფოტოთერაპია... 27.02.18 16:00 ახალშობილის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია... “ჩატარებული მკურნალობა: ფოტოთერაპია, ვიტამინები... – გაენერა ბინაზე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. აღნიშნული სამედიცინო შემთხვევა ნომრით ... ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაეცა ანაზღაურების მიზნით 2018 წლის 25 თებერვლის 11:32 სთ-დან 2018 წლის 27 თებერვლის 16:00 სთ-მდე გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების – I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის კომპონენტით; ე) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 4 აგვისტოს №04/43857 გადაწყვეტილებით შპს „...ს“ უარი ეთქვა პაციენტ ნ. ჩის, გ. მ-ის, ბ. ძ-ის, დ. ჭ-სა და ე. ჩ-ის მიმართ განეული სამედიცინო მომსახურების – №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურებაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლით იმაზე მითითებით, რომ განსახილველ შემთხვევებზე არ დასტურდებოდა I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლა. „ანაზღაურებაზე უარისა“ და „სადავო“ სტატუსის მქონე შემთხვევათა რეესტრის მიხედვით, მითითებული სამედიცინო შემთხვევების სახელმწიფო პროგრამით ასანაზღაურებელმა თანხამ 5124,99 ლარი შეადგინა; ზ) 2018 წლის 7 სექტემბერს შპს „...ს“ წარმომადგენელმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 4 აგვისტოს №04/43857 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ადმინისტრაციული საჩივრით სააგენტოს მიეთითა სადავო შემთხვევებზე სამედიცინო ბარათების მონაცემები და განემარტა, რომ აღნიშნული მონაცემები ადასტურებდა I დონის ინტენსიურ მკურნალობა/მოვლას; თ) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 20 მაისის №04/26325 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მიეთითა, რომ შპს „...ს“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თუმცა ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევებზე დასტურდებოდა I დონის ინტენსიურ მკურნალობა/მოვლა, რის გამოც აღნიშნული შემთხვევები ექვემდებარებოდა ანაზღაურებას; ი) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენ-

ტის უფროსის 2018 წლის 4 აგვისტოს №04/43857 გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 20 მაისის №04/26325 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ასევე, ამ გადაწყვეტილებებით განხილული შემთხვევების ანაზღაურებისა და ანაზღაურების დაყოვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შპს „...მა“ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2019 წლის 13 ივნისს. 2019 წლის 12 ივლისის შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმაზე მითითებით, რომ სადავო აქტებით გათვალისწინებულ სამედიცინო შემთხვევებზე არ დასტურდებოდა I დონის ინტენსიურ მკურნალობა/მოვლა; კ) №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურების – 5124,99 ლარის გადახდის დაყოვნების გამო აღნიშნული შემთხვევების პირადი სახსრებით დაფინანსებიდან გამომდინარე შპს „...ს“ ადგება ზიანი იმ მიუღებელი შემოსავლის სახით, რასაც იგი ამ თანხის საბანკო ანგარიშზე არსებობის შემთხვევაში მიიღებდა. აღნიშნული ზიანის მოცულობა 2021 წლის 28 ივნისამდე პერიოდისათვის 1397,97 ლარს, ხოლო 2021 წლის 28 ივნისიდან – თვეში 40,5 ლარს შეადგენს. სს „...ის“ 2021 წლის 17 მარტის წერილის მიხედვით, ...ში შპს „...ს“ ანგარიშებს ლარში 2020 წლის 14 აპრილამდე ერიცხებოდა სარგებელი წელიწადში 8,5%-ის ოდენობით, ხოლო 2020 წლის 5 აპრილიდან – წელიწადში 9,5%-ის ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხაზე შპს „...ს“ 2020 წლის 14 აპრილამდე ერიცხებოდა სარგებელი წელიწადში 8,5%-ის ოდენობით, რაც თვეში 0,708%-ს შეადგენს, 2018 წლის ივნისიდან 2020 წლის 14 აპრილამდე შესაბამის ანგარიშზე 5124,99 ლარის არსებობის შემთხვევაში მიიღებდა 816,4 ლარს (5124,99 ლარის 0,708% – 36,28 ლარი*22,5 თვეზე). იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხაზე შპს „...ს“ 2020 წლის 14 აპრილიდან ერიცხება სარგებელი წელიწადში 9,5%-ის ოდენობით, რაც თვეში 0,79%-ს შეადგენს, 2020 წლის 14 აპრილიდან 2021 წლის 28 ივნისამდე შესაბამის ანგარიშზე 5124,99 ლარის არსებობის შემთხვევაში მიიღებდა 587 ლარს (5124,99 ლარის 0,79% – 40,5 ლარი*14,5 თვეზე).

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება პაციენტების – ნ. ჩ-ის, გ. მ-ის, ბ. ძ-ის, დ. ჭ-სა და ე. ჩ-ის მიმართ 2018 წლის თებერვალში დადგენილი დიაგნოზის გათვალისწინებით ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული კონკრეტული სამედიცინო მომსახურების გაწევის ფაქტი, მოპასუხის მხრიდან კი არ ყოფილა დასაბუთებული და დადასტურებული შესაბამისი სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრულ საფუძველი. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დასრულებამდე – 2021 წლის 27

სექტემბრის სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ არსებობდა ნ. ჩ-ის, გ. მ-ის, ბ. ძ-ის, დ. ჭ-სა და ე. ჩ-ის მიმართ განეული სამედიცინო მომსახურების – №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, რის გამოც მოპასუხე ეთანხმებოდა და ცნობდა სარჩელს სადავო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 411-ე მუხლზე და განმარტა, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში 2018 წლის თებერვალში მოსარჩელემ განახორციელა პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ნ. ჩ-ის, გ. მ-ის, ბ. ძ-ის, დ. ჭ-სა და ე. ჩ-ის მიმართ და შესაბამისი სამედიცინო შემთხვევების – №..., №..., №..., №..., №... შესახებ შეტყობინებები გადასცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც, ამავე პროგრამის პირობებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო, საანგარიშგებო დოკუმენტები განეხილა არაუმეტეს 60 სამუშაო დღის ვადაში (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-14 მუხლი) და უზრუნველყო ანაზღაურება, თუ არ იქნებოდა გამოვლენილი ანაზღაურებაზე უარის თქმის პროგრამის პირობებით განსაზღვრული საფუძველი. №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი არ ირკვევა და ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ პროგრამის პირობების დარღვევით, დაუსაბუთებლად უთხრა უარი მოსარჩელეს მათ ანაზღაურებაზე, ანაზღაურების დაყოვნებით კი მოსარჩელეს მიადგა ზიანი. მოპასუხე ვალდებულია, მოსარჩელეს აუნაზღაუროს №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურების დაყოვნებით მიყენებული ზიანი – 1397,97 ლარის ოდენობით, ასევე, 2021 წლის 28 ივნისიდან – თვეში 40,5 ლარის ოდენობით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ ზიანის ანაზღაურებისა და აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილება გასაჩივრდა იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 1397,97 ლარისა და 2021 წლის 28 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – თვეში 40,5 ლარის ოდენობით).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 მარტის განჩინებით სსიპ ჯანმრთელობის ეროვ-

ნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 207-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. კანონმდებლობა ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ზიანი, რომელიც წარმოიშვა თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი. სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანად მიიჩნევა ისეთი ზიანი, რომელიც დადგა პირის მიერ შრომითი საქმიანობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას ან სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადამეტებისას. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა გამოიხატოს ქონების დაზიანებაში, შემოსავლის მიუღებლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების განწევაში და ა.შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს ზიანის ორ სახეს: ფაქტობრივად მიყენებულ (რეალურ) ზიანს და მიუღებელ შემოსავალს. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს რა სავარაუდო შემოსავალს, მისი დადგენისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი კი ისაა, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობს მის მიუღებლობაში, მაგრამ უნდა შეფასდეს, რომ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება, რამდენად მიიღებდა მხარე ამ სარგებელს და რამდენად რეალური იქ-

ნებოდა აღნიშნული. ამრიგად, მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ ხსენებული უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში 2018 წლის თებერვალში მოსარჩელემ გაუწია პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ნ. ჩ-ეს, გ. მ-ის, ბ. ძ-ს, დ. ჭ-სა და ე. ჩ-ს და შესაბამისი სამედიცინო შემთხვევების – №..., №..., №..., №... შესახებ შეტყობინებები გადასცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც ვალდებული იყო, საანგარიშგებო დოკუმენტები განეხილა არაუმეტეს 60 სამუშაო დღის ვადაში და უზრუნველყო შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც არ განუხორციელებია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 4 აგვისტოს №04/43857 გადანაცვტილებით შპს „...ს“ უკანონოდ ეთქვა უარი პაციენტ ნ. ჩ-ის, გ. მ-ის, ბ. ძ-ის, დ. ჭ-სა და ე. ჩ-ის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე, რის გამოც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მართებულად დაეკისრა №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურების ვალდებულება 5124,99 ლარის ოდენობით. შესაბამისად, დადგენილია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით შპს „...ს“ დაბრკოლდა მიედო კანონმდებლობით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება 5124,99 ლარის ოდენობით. თავის მხრივ კი, ვინაიდან მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, სამედიცინო დაწესებულებამ ვერ მიიღო შესრულებული სამუშაოს სანაცვლო ანაზღაურება. კლინიკა იძულებული გახდა მოეხდინა აღნიშნული სამედიცინო შემთხვევების პირადი სახსრებიდან დაფინანსება, რითაც მიაღწა მატერიალური ზიანი იმ მიუღებელი შემოსავლის სახით, რასაც იგი ამ თანხის საბანკო ანგარიშზე არსებობის შემთხვევაში მიიღებდა. საქმეში წარმოდგენილი სს „...ს“ 2021 წლის 17 მარტის წერილის მიხედვით, შპს „...ს“ გახსნილი აქვს ანგარიშები, რომელზეც ერიცხება სარგებელი, კერძოდ, მოსარჩელეს მიმდინარე ანგარიშზე არსებულ თანხაზე 2020 წლის 14 აპრილამდე ერიცხებოდა სარგებელი წელიწადში 8,5%-ის ოდენობით, ხოლო 2020 წლის 15 აპრილიდან – წელიწადში 9,5%-ის ოდენობით. ამდენად, დადგენილია და მხარეები სადავოდ არ ხდიან მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ საბანკო ანგარიშზე 5124,99 ლარის ოდენობით თანხის არსებობის პირობებში, მოსარჩელე მიიღებდა სარგებელს 2018 წლის ივნისიდან 2021 წლის ივნისამდე პერიოდისათვის

1397,97 ლარის, ხოლო 2021 წლის 28 ივნისიდან – თვეში 40,5 ლარის ოდენობით.

პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე კლინიკისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სასამართლოს მიერ უკანონოდ და შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხეს დაეკისრა გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება, ასევე არსებობდა ზიანის სახით მიუღებელი შემოსავლის სრულად ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან თანხის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის პერიოდიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 მარტის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად კი მიუთითებს, რომ მოსარჩელეს გახსნილი აქვს სს „...ში“ ანგარიშები, რომელზეც ერიცხება სარგებელი და დაფინანსებული თანხა რომ განეთავსებინა საბანკო ანგარიშზე მიიღებდა საპროცენტო სარგებელს. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ვერც ერთი მტკიცებულება მოსარჩელე ვერ ადასტურებს მოთხოვნის საფუძვლიანობას.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 992-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების კუმულატიურ წინაპირობებს წარმოადგენს: ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება და ცალსახად დადასტურება იმისა, რომ პირი შემოსავალს მიიღებდა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის სახეზე. იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი (ზიანი) და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია. ამასთან, ზიანის არსებობის ფაქტისა და ამ ზიანის სწორედ მოპასუხის ქმედებით გამოწვევის მტკიცების ტვირთი პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სათანადოდ ვერ ადასტურებს, რომ პაციენტების მომსახურებისათვის პროგრამულად ანაზღაურებული

თანხების (რომელიც მოიცავს კონკრეტულ სამედიცინო შემთხვევაზე განეულ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს) ანაბარზე სრულად მიმართვით იღებს შემოსავალს.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა წარმოედგინა მიყენებული ზიანისა და ზიანის მოცულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც შექმნიდა შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით ობიექტურ რეალურ სურათს და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა პირის სუბიექტური შეფასებით.

კასატორის განმარტებით, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისთვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის. ამავდროულად მნიშვნელოვანია სამედიცინო დანესებულებების მიერ არ მოხდეს სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი თანხების ხელოვნურად გაზრდა, ვინაიდან იგი დაუშვებელია როგორც სამართლებრივი, ასევე მორალური თვალსაზრისით. სწორედ იმიტომ, რომ არ მომხდარიყო სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა და დაზოგილიყო დავის გახანგრძლივების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების შესაძლო ხარჯები, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებით, თუმცა სააგენტო აღნიშნულ გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ეთანხმება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მაისის განჩინებით, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ

იქნეს ახალი გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში შპს „...ს“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები). ამავ კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 4 აგვისტოს №04/43857 გადაწყვეტილება და 2019 წლის 20 მაისის №04/26325 გადაწყვეტილება. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს დაევალა, მოსარჩელეს აუნაზღაუროს №..., №..., №..., №..., №... სამედიცინო შემთხვევები 5124,99 ლარის ოდენობით. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 1397,97 ლარის ოდენობით, ასევე, 2021 წლის 28 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – თვეში 40,5 ლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ მხოლოდ ზიანის ანაზღაურებისა და აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში – სადავო აქტების ბათილად ცნობისა და სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით დადგენილია სადავო აქტების უკანონოა, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მხრიდან სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურების ვალდებულება და საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს მხოლოდ გასაჩივრებული ნაწილი – მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობა.

მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მოსარჩელე ამყარებს სს „...ის“ მიერ გაცემულ ინფორმაციაზე, რომლის მიხედვით, შპს „...ს“ ბანკში გახსნილი აქვს ან-

გარიშები და მოცემულ ანგარიშებზე კომპანიას ერიცხებოდა სარგებელი ამავე დოკუმენტში მითითებული საპროცენტო განაკვეთით.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის (ამჟამად მოქმედი რედაქციის 18.4 მუხლი) უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამონაკლისი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დაზარალებულ ზარალს შორის.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ

ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. „ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.“ (სუს 10.04.2014წ. №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება). ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის უნდა დადასტურდეს ნორმატიულად განსაზღვრული შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა: ქმედების უკანონობა; პირისთვის ზიანის მიყენება; მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა დამდგარ შედეგსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, ასევე, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა გამოიხატოს ქონების დაზიანებაში, შემოსავლის მიუღებლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების გაწევაში და ა.შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი გამოყოფს ზიანის ორ სახეს: ფაქტობრივად მიყენებულ (რეალურ) ზიანს და მიუღებელ შემოსავალს.

მიუღებელი შემოსავლისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ მოგებას, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. იმისათვის, რომ

შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების ისეთი ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. აღსანიშნავია მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით. შემოსავლის მიუღებლობა დასტურდება იმგვარი მტკიცებულებებით, რომლებიც ქმნიან ქონებრივი ნამეტის მიღების მოსალოდნელობასთან დაკავშირებით ობიექტურ, რეალურ სურათს და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე (სუს 16.05.2019წ. №ბს-740-736(კ-17) განჩინება).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის მართებულად გადაწყვეტისთვის, რაც განპირობებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაწესით, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში, რომლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამრიგად, მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზე-

პირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის, ისევე როგორც მოსარჩელის მხოლოდ ახსნა-განმარტება ვერ იქნება მიჩნეული სათანადო მტკიცებულებად, იმ დროს, როდესაც მის მიერ მითითებული ფაქტის დასადასტურებლად წარსადგენია დავის საგანთან რელევანტური წერილობითი მტკიცებულებები.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავლის თაობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნის არსებობისას მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა. სწორედ მოსარჩელეს ევალება შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ობიექტური და არა ვარაუდზე ან ალბათობაზე დაფუძნებული შემოსავლის მიღების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით დადგენილია გასაჩივრებული აქტების უკანონოობა და მოპასუხის ვალდებულება სამედიცინო შემთხვევების ანაზღაურებაზე, თუმცა საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოსარჩელე კლინიკას მიადგა მატერიალური ზიანი იმ მიუღებელი შემოსავლის სახით, რასაც იგი ამ თანხის საბანკო ანგარიშზე არსებობის შემთხვევაში მიიღებდა.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართალურთიერთობის ხასიათზე. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წინამდებარე პროგრამა და თანდართული დანართები, ამ პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის და შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან რაიმე და-

მატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შესაბამისად, პროგრამაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი და ეფუძნება ერთი მხრივ სახელმწიფოს მიერ დადგენილი პირობებისა და სტანდარტების დაკმაყოფილებას და მეორე მხრივ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სამედიცინო დანესებულების ნებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ობიექტურად არ დასტურდება შემოსავლის მიღების შესაძლებლობა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების პირობებში, კერძოდ, მოსარჩელე მიუღებელ შემოსავალს უკავშირებს იმ სარგებელს, რასაც მიიღებდა მოპასუხის მიერ ასანაზღაურებელი თანხის საბანკო ანგარიშზე არსებობის პირობებში, თუმცა, გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ მოსარჩელე არის სამედიცინო დანესებულება და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსება ხდება სამედიცინო მომსახურების ფარგლებში, მხოლოდ სს „...ის“ მიერ გაცემული ცნობა, რომ შპს „...ს“ ბანკში გახსნილი აქვს ანგარიშები, ვერ გახდება მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან აღნიშნულთან ერთად მოსარჩელემ უტყუარად უნდა დაადასტუროს, რამდენად განათავსებდა თანხებს საბანკო ანგარიშებზე სარგებლის მიღების მიზნით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს სარჩელში მითითებული ფაქტები, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ამგვარი ქმედების ნეგატიური შედეგები სავარაუდო უნდა იყოს მეორე მხარისათვის. აღნიშნულის გარეშე, მიუღებელი შემოსავლის მხოლოდ თანხის დაყოვნების მოტივით მოვალისათვის დაკისრება დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის პრინციპს, ვინაიდან დაუშვებელია, მოვალეს ეკისრებოდეს იმის გამორკვევის ვალდებულება, თუ რა მიზნით აპირებს კრედიტორი მისგან მიღებული შესრულების განკარგვას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, შესრულების საგნის ამგვარი ფორმით კრედიტორის მიერ განკარგვის ინტერესი მოვალის მხრიდან განჭვრეტადი და სავარაუდოა. აღნიშნულის დამაჯერებლად მტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც სამედიცინო დანესებულებების მიერ, რომელთა ბუნებრივ და ყოველდღიურ საქმიანობას თანხის ანაზღაურება განათავსებით მიღებული პროცენტის გამოყენება არ წარმოადგენს, თანხის უცილობლად ანაზღაურება განათავსება და მისგან სარგებლის მიღება ნაკლებ სავარაუდოა, ხოლო მიუღებელი შემოსავალი, არა მხოლოდ ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი, არამედ ასევე, მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-

თლო მიიჩნევს, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების ნაწილში შპს „...ს“ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

საკასაციო საჩივარში კასატორი მიუთითებს, რომ ხარჯების დაზოგვის მიზნით მან აღასრულა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სრულად, რის გამოც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ითხოვს აღსრულებული თანხის დაბრუნებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267² მუხლის შესაბამისად, (1) აღსრულებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის, საქმის წარმოების შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოპასუხეს მოსარჩელემ უნდა დაუბრუნოს ყოველივე, რაც მას მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა გაუქმებული გადაწყვეტილებით. (2) გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხს მოპასუხის განცხადების საფუძველზე წყვეტს ახალი გადაწყვეტილების ან განჩინების მიმღები სასამართლო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება წარმოადგენს იმ მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, რომლის მიმართაც მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნებისათვის აუცილებელია ორი პირობის ერთდროულად არსებობა: ა) იმ გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც უკვე აღსრულებულია და ბ) იმ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, რომლის მიმართაც გამოტანილი იყო ადრე აღსრულებული გადაწყვეტილება, საქმის წარმოების შეწყვეტა ან ამ სარჩელის განუხილველად დატოვება. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შემთხვევაში მოსარჩელემ მოპასუხეს უნდა დაუბრუნოს ყოველივე, რაც მან მიიღო მოპასუხისაგან გადაწყვეტილების აღსრულებით. ზემოდასახელებული საკანონმდებლო ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება შეიძლება განხორციელდეს მოპასუხის შუამდგომლობით. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ან, კიდევ, განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. თუ არსებობს მო-

პასუხის შესაბამისი განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ, მაშინ ახალი გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ მიუთითებს ამ ახალ გადაწყვეტილებაში, ხოლო თუ ასეთი განცხადებით მოპასუხე მიმართავს სასამართლოს მას შემდეგ, როდესაც გამოტანილი იქნა ახალი გადაწყვეტილება, მაშინ სასამართლო, რომელმაც ეს ახალი გადაწყვეტილება გამოიტანა ნიშნავს სასამართლო სხდომას, ამ განცხადების განსახილველად, რის შესახებაც აცყობინებს მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს განცხადების განხილვას.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 1397,97 ლარის ოდენობით, ასევე, 2021 წლის 28 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – თვეში 40,5 ლარის გადახდა. შესაბამისად, დადგენილია, რომ მოპასუხეს სასამართლო გადაწყვეტილებით კონკრეტული, ანუ ფიქსირებული თანხის გარდა, ასევე დაკისრებული ჰქონდა ყოველთვიურად 40,5 ლარის გადახდა. ვინაიდან კასატორი შუამდგომლობაში არ მიუთითებს თუ რა ოდენობის თანხა იქნა მის მიერ გადახდილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით და ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება აღსრულებულია, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, წინამდებარე საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხი განიხილოს სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. შესაბამისად, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული შუამდგომლობის განხილვა მოხდება საკასაციო საჩივრისაგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ სარ-

ჩელზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 259,32 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 105,62 ლარი გადახდილია მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილზე, რომელიც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით, ხოლო საკასაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, რომლის ანაზღაურებაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების გამო უნდა დაეკისროს შპს „...ს“ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 მარტის განჩინება და იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 1397,97 ლარის ოდენობით, ასევე, 2021 წლის 28 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – თვეში 40,5 ლარის ოდენობით, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...ს“ სარჩელი, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსათვის შპს „...ს“ სასარგებლოდ 1397,97 ლარის ოდენობით, ასევე, 2021 წლის 28 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – თვეში 40,5 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „...ს“ მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 105,62 ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. შპს „...ს“ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge